# ლელო

№112 (12 181)

15 მაისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალქალაქი განწირულია პრეზიდენტობისთვის

## დღეს რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება: მორიგი ტრაგიკომედია უკვე ამ კვირაში?



**ნემსაძე ოფიციალურად გადადგა**




## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის უჩა უგულავას პრესკონფერენცია

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, რომელიც 13 მაისს ჩატარებული არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს შეეხო.

- დღეს, 2007 წლის 14 მაისს, ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი ნემსაძემ და სფფ-ის ახლადარჩეული აღმასკომის 9 წევრმა (ივანე ხორგუაშვილი, ნუკრი კაკილაშვილი, ნუგზარ ბექაური, დილარ ხაბულიანი, ლაშა მინდელი, დავით სილაგაძე, ვალერი მანაგაძე, სერგო კვარაცხელია, ალექსანდრე ახვლედიანი) ფედერაციის გენერალურ სამდივნოში წერილობითი განცხადებები შემოიტანეს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში მოწვეული იქნება ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც შედგება საპრეზიდენტო და აღმასკომის არჩევნები.

უეფასთან კონსულტაციების საფუძველზე ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა არ იცვლება. რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ პრეზიდენტობისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის იგივე კანდიდატები, მათივე თანხმობის შემთხვევაში.

რიგგარეშე ყრილობა მხოლოდ ორ საკითხს განიხილავს: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის არჩევას.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნო მუშაობის 24 - საათიან რეჟიმზეა გადასული და რიგგარეშე ყრილობის თარიღს ხვალ გამოაცხადებს.

**- არჩევნებამდე ვინ უხელმძღვანელებს ფეხბურთის ფედერაციას?**

- წესდების მიხედვით ამ ფუნქციის შესრულება გენერალურ სამდივნოს ევალება. უეფასთან ამ საკითხზეც გავიარეთ კონსულტაციები.

**- რის გამო გადადგა გიორგი ნემსაძე?**

- პირადი მოსაზრების გამო და სწორედ ეს წერია მის მიერ ფედერაციის გენერალურ სამდივნოში შემოტანილ განცხადებაში.

**- უეფასგან რაიმე სანქციებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- უეფასთან ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს და ყველა წესისა და ნორმის დაცვით ვმოქმედებთ

**- როდის ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები?**

- ეს ხვალ გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

*P.S. ჩვენი ინფორმაციით, არჩევნები ამ კვირაში გაიმართება.*



## გოგი ქავთარაძე: ახალქალაქი კენჭს ისევ იყრის

ჩვენი ხმები ნემსაძისკენ წავიდა, ამის მიზეზს მალე გავარკვევთ

2



## მამუკა კვარაცხელია: არჩევნების შემდეგ ნემსაძე გაიტაცეს

პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ყველაფერს ფიფასა და უეფას აცნობებს

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური ყრილობის გამოხმაურება

# გოგი ქავთარაძე: ახალკაცს პრეზიდენტობის მორალური უფლება აქვს



**ფეხბურთის ფედერაციაში ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობისას ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე გახლდათ, ვისაც უშუალო კავშირები აქვს სახელისუფლო წრეებთან. 13 მაისს ფედერაციის ყრილობის შემდეგ მომხდარ ამბებს სწორედ ხელისუფლებას უკავშირებენ, სხვა ლოგიკა პრეზიდენტად არჩეული გიორგი ნემსაძის იმ დღესვე გადადგომას უბრალოდ არ აქვს. მაინც, რა მოხდა ყრილობის შემდეგ და რა მოხდება დღეს-ხვალ? მიიღებს თუ არა ფედერაციის დამდეგ არჩევნებში მონაწილეობას ახალკაცი? ქავთარაძეს ამ საკითხებზე ვესაუბრეთ.**

**- როგორ დააკავშირებდით მომხდარს ქვეყნის ხელისუფლებასთან?**

- რაც 13 მაისს მოხდა, პოლიტიკა ამაში არაფერ შუაშია. ეს იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდათ რაღაცა გადააქციონ პოლიტიკურ შოუდ.

**- როგორ ფიქრობთ, ახალკაცი მონაწილეობას მიიღებს ფედერაციის ხელახალ არჩევნებში?**

- ალბათ კი, უფრო სწორად, ამაში დარწმუნებული ვარ. მან ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ფედერაციაში და აქვს მორალური უფლება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

**- არჩევნები ნემსაძემ მოიგო...**

- თუ რატომ გადადგა ნემსაძე, მას უნდა ჰკითხოთ, მე ვერაფერს გეტყვით.

**- გავრცელდა ხმები, რომ ახალკაცის გუნდი რევაზ არველაძემ დატოვა...**

- ამას კატეგორიულად უარვყოფ, ეს მონაჭორია.

**- იმასაც ამბობენ, თუ კიდევ ახალკაცი გაპრეზიდენტდება, ნემსაძე ფედერაციაში მნიშვნელოვან პოსტს დაიკავებსო...**

- ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ. ჯერ არჩევნების თარიღი დადგინდეს, მერე ის, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი და თუ ისევ ჩვენ მოვალთ ფედერაციაში, ამ ორგანიზაციის კარი ყველასთვის ღია იქნება, მათ შორის ნემსაძისთვისაც. ქართულ ფეხბურთში ყველანაირი დაპირისპირება უნდა გამოირიცხოს. ნემსაძის მიმართ ძალიან დადებითად ვარ განწყობილი. მოკლედ, ვნახოთ...

**- 13 მაისის არჩევნებში ახალკაცის გუნდი რამდენ ხმას ელოდა?**

- არჩევნების შედეგი ჩვენთვის მოულოდნელი იყო. თუ რა მოხდა, ამის გასაანალიზებლად უფრო მეტი დროა საჭირო. 19 ხმას ველოდით და ყველაფერი პირიქით მოხდა.

**დავით თავართქილაძე**



# ნემსაძე გაიტაცეს

13 მაისის არჩევნებში გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა, ნოდარ ახალკაცს ექვსი ხმით მოუგო. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე "ლელომ" ყრილობის დელეგატთა ხმების სავარაუდო მაჩვენებლები გამოაქვეყნა და თითქმის ყველაფერი ზუსტად გამოიცნო - ახალკაცმა 13 ხმა მიიღო, დანარჩენი მისმა ოპონენტმა. "თითქმის" იმიტომ, რომ ახალკაცს ორი ოპონენტი ჰყავდა და არ დაგვიკონკრეტებია, მათგან ვინ რამდენ ხმას მიიღებდა. ახალკაცის ოპოზიციური, ცხრამეტივე ხმა ნესაძემ მიიღო. პრეზიდენტობის მესამე კანდიდატმა მამუკა კვარაცხელიამ - არც ერთი. თუმცა კვარაცხელია ახალკაცის ალბათ ყველაზე აქტიური და მწვავე კრიტიკოსია და როგორც ირკვევა, ისევ აგრძელებს ბრძოლას ახალკაცის წინააღმდეგ.

**მას გუშინ შევეხმიანეთ, სანამ ფედერაციის სამდივნოში ნემსაძის წერილი შევიდოდა გადადგომის თაობაზე და კომენტარი ვთხოვეთ მის განცხადებაზე, რომელიც მან არჩევნებიდან დაახლოებით ერთ საათში გააკეთა - პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, სამ კვირაში ახალი არჩევნები დაინიშნებაო...**

- ნემსაძეზე დიდი ზეწოლა იყო და ამას ვერ გაუძლო, არ აღმოჩნდა მზად. მას მინდა ვუთხრა, გამაგრდეს და უკან არ დაიხიოს, მას თანამშრომლობას ვთავაზობ და ვფიქრობ, ის კაცი ვარ, რომელიც მას სჭირდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ ქართული ფეხბურთის მტრები. ახლა მთავარია, ვაჟკაცობა გამოიჩინოს და განცხადება არ დაწეროს გადადგომის თაობაზე.

თუ ნემსაძე ჩემთან თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამს, ჩემს გასაკეთებელს მაინც გავაკეთებ, ყველაფერს დეტალურად ვაცნობებ ფიფა-უეფას.

**- ეს როდის მოხდება? უკვე გაქვთ დეტალური ინფორმაცია?**

- ეს მაშინ მოხდება, როცა სრული ინფორმაცია მექნება... მე ყოველთვის ფაქტებით ვლაპარაკობ. რაც მოხდა, ეს არის ქართული ფეხბურთის აბუჩად აგდება, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ფიფა-უეფამ.

**- რა არასრულ, კულუარულ ინფორმაციას ფლობთ?**

- ყრილობის შემდეგ ნემსაძე ფაქტობრივად გაიტაცეს, მანქანაში ჩასვეს და მასზე ზეწოლა განახორციელეს მთავრობის იმ წევრებმა, რომლებიც ახალკაცს უჭერდნენ მხარს.

როცა გაცხადდა, რომ ნემსაძემ განცხადება დაწერა ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგომის თაობაზე, კვარაცხელიას ხელმეორედ შევეხმიანეთ და ვკითხეთ, მიიღებდა თუ არა ხელახალ არჩევნებში მონაწილეობას.

- მანამდე რობიკო სტურუასთან უნდა მივიდე რეპეტიციაზე, რამეთუ დამდეგ ყრილობა სპექტაკლი იქნება. რაც მოხდება, იმას არჩევნებს კი არა, დანიშვნას დავარქმევდი, - გვითხრა კვარაცხელიამ.

**დავით თავართქილაძე**

# ქომაგთა ლიგა: გაგვრიცხავენ!

ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ პეტრიაშვილი** გუშინ მედიას შეხვდა და განცხადება გააკეთა. თუმცა მანამდე მცირე შესავლით დაიწყო:

- გიორგი ნემსაძეს ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა (ქ.ფ.ქ.ლ) თავიდანვე გვერდში დაუდგა. ის პრეზიდენტობისთვის იმიტომ კი არ იბრძოდა, რომ პოსტი უხაროდა, არამედ იმიტომ მისი ხედვა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის უკეთესი იყო. მე არ ვიცი, რატომ გააკეთა განცხადება გადადგომაზე, მაგრამ არჩევიდან მცირე ხანში გადადგომა აშკარად მიუთითებს, რომ მასზე არის გარკვეული ზეწოლა. ვისგან, კონკრეტულად ამის თქმა ძნელია. თუმცა თავისთავად მოვლენების განვითარება ამაზე მიუთითებს. უეფას დამკვირვებელმა, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ ინფორმაცია წაიღო რომ არჩევნები წესების სრული დაცვით ჩატარდა. ის უეფაში მიიტანს ამ ინფორმაციას. საკმარისია იქ გაიგონ, რომ ყრილობის გადაწყვეტილება არ ალსრულდა, გამარჯვებული ერთ საათში გადადგა, რომ ეჭვები ალეძვრებათ. თუ რა შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს ჩარევას, ამაზე აზერბაიჯანის, საბერძნეთის და ალბანეთის მაგალითები მიუთითებს. არ მინდა, ამ სიას საქართველოც შეუერთდეს. დარწმუნებული ვარ, მომხდარით ჩვენსავით არის შეწუხებული ნოდარ ახალკაცი, მისი გუნდი და ნებისმიერი გულშემატკივარი. გარიცხვის საფრთხე რეალური მგონია და ეს სასჯელი თავიდან უნდა ავიშოროთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# რას ფიქრობენ ფეხბურთელები



**ზურაბ ხიზანიშვილი:** *"არჩევნებში გამარჯვება ნემსაძეს ახალკაცმაც მიულოცა, ხოლო ამის მერე რა მოხდა, არ ვიცი. ჰოდა, კომენტარისგანაც თავს შევიკავებ. რაც შეეხება ბრალდებებს კლაუს ტოპმიოლერის მიმართ, თუ მან ვიღაცას სიკეთე გაუკეთა და სწორ გზაზე დააყენა, ეს დასაფასებელია. არ მესმის, რატომ ამბობენ მასზე, არგენტინაო. ასეთი ბრალდება მონაჭორი მგონია".*



**კახა კალაძე:** *"გიორგი ნემსაძის გადაწყვეტილების ზუსტი მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. იმედია, ეს გაუგებრობა მალე დასრულდება. მთავარია, საერთო საქმე ნაყოფიერად ვაკეთოთ. ფეხბურთელები ნაკრებზე ვართ კონცენტრირებულნი, იმედია, ლიტვასა და საფრანგეთში წარმატებით ვითამაშებთ. რაც შეეხება კლაუს ტოპმიოლერს, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, მწვრთნელის ხშირად ცვლას კარგი შედეგი არავისთვის მოუტანია".*



**ლევან კობიაშვილი:** *"არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მწირი ინფორმაცია მაქვს. ნემსაძის ქმედება ძალიან გასაკვირია, საერთოდაც, ბევრი რამაა ბუნდოვანი. ალბათ, ყველაფერი მალე გაირკვევა და ფედერაცია ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. მთავარია, მოახლოებული სანაკრებო მატჩებისთვის გეგმის მიხედვით მოვემზადოთ".*

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური ყრილობის გამოხმაურება

# ქართული ფეხბურთის პოლიტიკა

13 მაისის არჩევნებმა აჩვენა, თუ რამდენს ნიშნავს ფეხბურთი საქართველოსთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში, ფეხბურთი არა როგორც მისი წმინდა სპორტული კუთხით, არამედ როგორც საჯილდაო ქვა, დიდი პოლიტიკური ნიშნით. ხშირად ამბობენ, რომ სახელმწიფო ფეხბურთის სამზარეულოში არ უნდა ერეოდეს. მაგრამ გააჩნია, რას ვეძახით "ჩარევას". რა თქმა უნდა, სახელმწიფო გულგრილი არ უნდა იყოს ფეხბურთის მიმართ, რადგან მასში მძლავრი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები დევს. ეს არის იარაღი, რომელსაც ყველა დალაგებული სახელმწიფო ეფექტურად იყენებს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ საქართველო არ არის დალაგებული ქვეყანა და, შესაბამისად, აქ ფეხბურთის (და არა მარტო) გარშემო მიმდინარე მოვლენები უაღრესად მახინჯ ფორმებს იღებს. სწორედ ამის ნათელი დემონსტრირება იყო 2007 წლის 13 მაისის ამბები...

გავიხსენოთ, რა მოხდა ორი წლის წინ. საქართველოს პრეზიდენტის უშუალო ინიციატივით, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცად **ნოდარ ახალკაცი** აირჩიეს. მაშინ, ვითარება იმდენად გარკვეული იყო, რომ **გიორგი ნემსაძემ, ვლადიმერ გუცაევმა** და **რევაზ არველაძემ** კანდიდატურები არჩევნებამდე მოხსნეს. ახალკაცი ალტერნატივის გარეშე დარჩა. პრეზიდენტს ასე სურდა, მორჩა და გათავდა! მერე, სახელმწიფომ მსუყე თანხა გაიღო (რაც მისი მხრიდან კეთილი ნების გამოვლინება იყო) უცხოელი მწვრთნელისთვის და გაჩნდა რალაც იმედი, რომ ქართული ფეხბურთი ნელ-ნელა წუმპიდან ამოძვრებოდა.

რა შეიცვალა ორი წლის შემდეგ? ნემსაძემ კიდევ ერთხელ წამოაყენა კანდიდატურა, მაგრამ ორი წლის წინანდელისგან განსხვავებით, ბოლომდე იბრძოლა. რატომ? ვისი იმედით? ცხადია, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ამჯერად, მხარდაჭერის მყარი გარანტია მიიღო. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ, რომ ხელისუფლების შიგნით დაჯგუფებები არ არის, ან კიდევ ის, თითქოს ამ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირება მითია, ფედერაციის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიამ და უშუალოდ არჩევნებმა აჩვენა, რომ არ არის ასე, რბილად რომ ვთქვათ. ყველა ხედავდა და ფაქტია, რომ ახალკაცისა და ნემსაძის უკან სწორედ ხელისუფლების სხვადასხვა დაჯგუფება იდგა. მგონი, დაკონკრეტებას აზრი აღარ აქვს, ისედაც ცნობილია. წინასწარვე ცნობილი იყო ისიც, თუ ვინ ვის აძლევდა ხმას. გადაშალეთ 8 მაისის "ლელო" (N 106) და ნახავთ, რომ ხმების განაწილება იუველირული სიზუსტით გამოვიცანით: ახალკაცის 13 ნემსაძის 20-ის (გურიის ხმის ჩათვლით, რომელიც არჩევნებზე გაუქმებული იყო და გამოვიდა 19) წინააღმდეგ...

ნემსაძემ გაიმარჯვა, ახალკაცმა მიულოცა და წარმატებები უსურვა... და ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. "ზემოთ" არჩევნების შედეგები არ მოეწონათ. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ვეღარც მალავდნენ. მაგრამ აქ ნემსაძეში არ არის საქმე. ზოგადად, ეჭვქვეშ დგება ქვეყანაში, ოდესმე, სამართლიანი არჩევნების ჩატარებისა და მისი ცნობის (გნებავთ, დამარცხების აღიარების) იდეა. აქ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა ხდება საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი არჩევნების დროს. ჩვეულებრივი ამბავია? არა! ქვეყანაში საყოველთაო ნიჰილიზმის დამკვიდრება, რისი ნიშნებიც უკვე გამოჩნდა - აი, რა არის ყველაზე საშიში!

დავუბრუნდეთ საფეხბურთო არჩევნებს. მოკლედ, ისევ ნოდარი უნდა იყოს, იმიტომ, რომ მხოლოდ ის არის **კლაუს ტოპმიოლერის** საქართველოში დარჩენის გარანტია. რა თქმა უნდა, ტოპმიოლერი უნდა დარჩეს და არა მხოლოდ ერთი ციკლით. წარმოუდგენელია საკითხის ასე დაყენება! არ გამოვრიცხავ, რომ **მიხეილ სააკაშვილი**, რომელიც ტოპმიოლერის დარჩენის მომხრეა და ამას მათი ერთი კვირის წინანდელი შეხვედრაც მოწმობს, "ვილაცამ" შეცდომაში შეიყვანა - ანუ, დაარწმუნა, რომ თუ პრეზიდენტი ახალკაცი არ იქნებოდა, ტოპმიოლერი საქართველოში აღარ იმუშავებდა. არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში ტოპმიოლერის კარტის გათამაშება, ამ ადამიანით სპეკულირება და მისი ჩათრევა ამ ბინძურ თამაშში. ყველა შემთხვევაში, ეს იყო მართლაც ბინძური და ამავდროულად უნიჭო სცენარი. თუ ეს ახალკაცის იდეა იყო, საბედისწეროდ შემცდარა და ეგაა. მაგრამ იდეის ავტორს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, შეცდომაა ნებისმიერ შემთხვევაში. ჩვეულებრივი შავი "პიარია": **მამუკა კვარაცხელიას** ნათქვამი ნემსაძეს მიაწერეს. აკი თქვა კიდეც ტოპმიოლერმა, ქართული არ ვიცი და რასაც მეუბნებიან, ეს არისო. ეგ იყო, რომ ნემსაძის ერთ-ერთმა მომხრემ კლაუსი "ეზოს მწვრთნელზე" დაბლა დააყენა. არ ვიცი, რა სტატუსი აქვს იმ მომხრეს ნემსაძის გუნდში, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შეურაცხმყოფელმა ფრაზამ თავად კანდიდატის წინააღმდეგ იმუშავა. ისე, საარჩევნო გზაზე ნემსაძე ტაქტიკასაც ცვლიდა, ცვლიდა იმის მიხედვით, როგორც სიტუაცია ითხოვდა. მაგალითად, ის თავიდან ამბობდა - ტოპმიოლერმა ეს ციკლი ჩაამთავროს, შედეგები შევაჯამოთ და მერე ვილაპარაკოთო. თუმცა მერე ლამის ბიბლიაზე დაიფიცა - თუ არჩევნებს მოვიგებ, გერმანელთან კონტრაქტს კიდევ ორი წლით გავაგრძელებთო. ვერ უშველა, დააგვიანდა. ახალკაცი კი მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა...

აქვე განვმარტავ, რომ ახალკაცის წინააღმდეგი არ ვარ. თუმცა ორი წლის წინ, ამ გაზეთში (მაშინდელ "სპორტში"), სერიოზული და ხშირად დაუნდობელი კრიტიკა იბეჭდებოდა ახალი პრეზიდენტის პირველ ნაბიჯებზე (ახლა იმ თემებს აღარ ჩამოვთლი). მაგრამ ნოდარი ჭკვიანი კაცია. ის მიხვდა, რომ ჩვენი პოზიცია კრიჭაში დგომა არ იყო და ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს. ვინც არ უნდა აკრიტიკოს, მე პირადად მიმაჩნია, ორ წელიწადში ის ბევრს ვერაფერს მოასწრებდა. შესაბამისად, მომდევნო ოთხი წელი მისთვის სერიოზული კრედიტი იქნებოდა საფეხბურთო პროგრესისთვის. ალალად გეტყვით იმასაც, რომ შინაგანად ჯერ არც მქონდა ფედერაციაში ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა თუ სურვილი. იმიტომ, რომ... კიდევ ერთხელ ვამბობ - ამ ქვეყანას ორ წელიწადში მაღალი დონის ჩემპიონატი ვერ ექნება! არც ორ წელიწადში და არც ათში!

ახლა, რაც შეეხება ბოლო აკორდს. ჩემთვის ცხადია, რომ ნემსაძე, თვალსაჩინო მომავალში, არ იტყვის, რა მოხდა 13 მაისს, ან ცოტა უფრო ადრე, როცა კანდიდატურის წამოყენება გადაწყვიტა, არ იტყვის წმინდა სუბიექტური მომენტების გამო. ნათელია, რომ ამავე მიზეზით ის ვერც პრინციპული იქნებოდა, თუმც პრინციპულობა კარგი თვისებაა ასეთივე გაგებით.

მაგრამ ახალკაცი? სიმართლე გითხრათ, არ მინდა დავიჯერო, რომ ამ ამბების შემდეგ ნოდარი კიდევ ერთხელ წავა არჩევნებზე და კიდევ ერთხელ აქცევს ამ არჩევნებს ერთი კაცის შოუდ, მით უმეტეს, იმ სიტყვების მერე, რაც შედეგების გამოცხადებისთანავე თქვა - "არჩევნები ჩატარდა ობიექტურად, ვულოცავ ნემსაძეს გამარჯვებას".

ამ სიტყვების შემდეგ, ის რისკავს, რომ იყოს "ძალით" დასმული და უავტორიტეტო პრეზიდენტი. ხომ ყველამ ვიცით, რაც მოხდა. და ღირს ამად უმაღლესი საფეხბურთო სკამი? ალბათ, ღირს. როცა სახელმწიფო ფეხბურთს ფულს აძლევს, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია, რომ ეს ფული "თავის" კაცს მისცეს. ეს არის და ეს, მაგრამ ეს არ არის ნორმალური. კიდევ უფრო არანორმალური (ესეც რბილად ნათქვამია) და სასაცილო იქნება, იგივე დელეგატები ახალკაცს ერთხმად რომ მისცემენ ხმას...

**პაატა გელაშვილი**





# შებღალული 13 მაისი

13 მაისი ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების დღეა. მაგრამ გუშინ და გუშინწინ განვითარებული მოვლენების ფონზე ვინმეს ახსოვს კი 1981 წლის 13 მაისი და იმდღევანდელი ტრიუმფატორები? ისე, ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ 13 მაისს რომ დაინიშნა. მაგრამ ამ მომენტისათვის ისეთ კურიოზულ, უფრო ზუსტად, გამაოგნებელ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ 13 მაისი, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი სირცხვილის დღედ გადაიქცეს...

...ვერავინ დაგვიმტკიცებს, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან შორსაა. ორივეგან ხომ თამაში მიდის; თამაში ყველანაირი წესებით - დასაშვებით, დაუშვებელით, დაუნდობელით... ჰო, ეგრეა - სპორტშიც და პოლიტიკაშიც მიზანს რომ დაისახავ, ბევრი რამ უნდა გათვალო: ტაქტიკა და სტრატეგია უნდა შეიმუშაო, ერთგული თანამოაზრეები უნდა შემოიკრიბო (სასურველია, პროფესიონალები). ყველა თამაშის ხიბლი კი ის არის, რომ ერთი მხარე იმარჯვებს, მეორე - მარცხდება. მოგებულმაც უნდა შეიფეროს და შეირგოს გამარჯვება, წაგებულმა კი - დამარცხება. ასე იყო და არის ყველგან, ოღონდ, სხვაგან და არა - ჩვენთან!... ჰო, ჩვენ სანამ სუფთა თამაშის წესებს არ ვისწავლით (სპორტშიც და პოლიტიკაშიც), ძალიან ბევრ რამეზე ოცნების უფლებაც არ გვაქვს. ეს "ძალიან ბევრი რამ" კი დემოკრატია, ევროპასთან ინტეგრაცია და კიდევ სხვა ყბადაღებული ცნებებია, ყოველდღიურად რომ გვახსენებენ. ისიც ნამეტნავად "ქართულ მოვლენად" არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს მხოლოდ ჩვენთან მოსდევს ასეთი ვნებათაღელვა? ეგ კი არა, ლამის ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებიც დაიჩრდილოს. თანაც, რა, მხოლოდ 2007 წლის 13 მაისს მოხდა ასე? აბა, გაიხსენეთ 1990, 1994, 1998 და 2002 წლის არჩევნები - ოთხივე შემთხვევაში ვნებები დუღდა და გადადუღდა. თუმცა განსხვავებით წლევანდელისგან, იმ ოთხივე არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი მეორე დღიდანვე თავისი მოვალეობის შესრულებას იწყებდა. ახლა კი რა ხდება? რა ხდება და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე არჩევიდან ერთი საათის შემდეგ გიორგი ნემსაძე საზოგადოებისათვის გამაოგნებელ განცხადებას აკეთებს: ჩემი პრეზიდენტობა თვითმიზანი არ ყოფილა და გადავდექიო? და რატომ თქვა? იმიტომ, რომ ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა არ ისურვა ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა? ან, რბილად რომ ვთქვათ, "ძალიან ზემოდან" წამოვიდა რაიმე დირექტივა? ისე, მეორე ვერსიას ხმამაღლა, ალბათ, ვერც ვერავინ გაახმოვანებს. აბა, როგორია, ეს ხომ მაშინათვე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლას ნიშნავს და ამას რა საერთაშორისო სანქციებიც მოჰყვება, ბევრი საუბარი აღარც ღირს.

მოკლედ, ბევრი უპასუხო კითხვაა. ისევე, როგორც კიდევ ერთი: რატომ დაინიშნა არჩევნები მაინცდამაინც 13 მაისს. არა, თარიღი არაფერ შუაშია. ელემენტარულად, ხომ არ აჯობებდა, რომ ჯერ აქაური სეზონი დაგვესრულებინა - დარჩენილი ორი ტურიც ჩაგვემთავრებინა, თასის ფინალიც, მერე ლაურეატები დაგვეჯილდოებინა. ამას გარდა, ჩვენს უპირველეს გუნდს ხომ სულ მალე ორი პრინციპული მატჩი ელოდება ლიტვასა და საფრანგეთში. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ 23 მაისიდან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ოფიციალური მატჩები ეწყება. ანუ, ეს ყველაფერი წინასწარ ცნობილი იყო და, ალბათ, ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობა იმდენად დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში, რომ ყრილობა 13 მაისს დანიშნა და არა, ვთქვათ - ივნისის შუა რიცხვებში. ანუ მაშინ, როცა ჩემპიონატიც დასრულებული გვექნებოდა, ნაკრებიც ორ გასვლით მატჩს ჩაატარებდა და შესაჯამებელ-გასაანალიზებელიც მეტი იქნებოდა.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური ყრილობის გამოხმაურება



ინტერვიუ ლევან ყიფიანთან

# უფლება რომ მქონდეს, არჩევნებში ჩავერთვებოდი

**ყრილობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა არაერთი მოარული ხმა შვა, რომელთა რაოდენობაც დღემდე იზრდება. გუშინ ნაშუადღევს, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, საფეხბურთო წრეებში ასეთმა ვერსიამაც გაიელვა – ფედერაციის საპრეზიდენტო მარათონს შესაძლოა თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი გენერალური მენეჯერი ლევან ყიფიანი დაემატოსო... გუშინ "იმედის" "ღია ეთერში" გამოჩნდა, რომ ეს ვერსია საფუძველსმოკლებული არ ყოფილა. ლევან ყიფიანთან საუბარი 13 მაისის მოვლენების შეფასებით დავიწყეთ.**

- რაც კვირას, 13 მაისს არჩევნების შემდეგ მოხდა, ეს საფეხბურთო საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. რალა თქმა უნდა, ალმაშფოთა და გადავწყვიტე, ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია დამეფიქსირებინა. ბუნებრივია, ცუდი პრეცედენტია, როცა არჩევნებში გამარჯვებული გიორგი ნემსაძე მოულოდნელ და ალოგიკურ გადაწყვეტილებას იღებს და საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ფედერაციაში განცხადება შეაქვს. ეს პრეცედენტი ფეხბურთს ნამდვილად არ წაადგება.

**- ნოდარ ახალკაცთან გქონდათ შეხვედრა და გითქვამთ, ფედერაციის არჩევნებში ყიფიანი ახალკაცის ნინაალმდეგ არ წავაო. როდის იყო ეს საუბარი?**

- რამდენიმე თვის წინათ...

**- ახლა კი ამბობენ, რომ რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობაზე ფიქრობთ...**

- არაფერი არაა გამორიცხული. ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ არაფერი არაა გამორიცხული. ასე რომ, გავეცნობი, თუ არის იურიდიულად შესაძლებელი ამ არჩევნებში მონაწილეობა რომ მივიღო, მეგობრებს აზრს დავეკითხები და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებ.

**- უჩა უგულავამ განაცხადა, რომ 13 მაისის ყრილობისთვის რეგისტრირებული სამი კანდიდატის გარდა, რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის უფლება სხვას არ აქვს...**

- თუ ასეა, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებ და მხარს დავუჭერ იმ ჯანსაღ კანდიდატს, ვინც ამ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

**- ანუ ვის?**

- ჯერ არ ვიცი ვინ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. გიორგი ნემსაძე გადადგა, რამდენადაც ვიცი ნოდარ ახალკაცი არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.

**- ბოლო მონაცემებით ახალკაცი არჩევნებში ალბათ მიიღებს მონაწილეობას...**

- მომიტევეთ, მაგრამ ალბათობას ვერ ვენდობი...

**- ანუ ახალკაცის მონაწილეობას გამორიცხავთ?**

- არ ვიცი, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით.

**- თუ ახალკაცი ამ რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, მაშინ ერთადერთი კანდიდატი მამუკა კვარაცხელია დარჩება...**

- თუ ასე მოხდა, მაშინ მართლაც კვარაცხელია რჩება ერთადერთ კანდიდატად... ფაქტი ერთია და სამწუხაროდ ასეთ კაზუსურ ვითარებაში, რიგგარეშე არჩევნებს ვგულისხმობ, ჩვენ თავადვე ჩავიგდეთ თავი და შესაბამისად გამოსავალიც ჩვენვე უნდა მოვძებნოთ. ასე რომ, ყველა ჯანსაღ ძალასთან მზად ვარ, ვითანამშრომლო...

**დავით ცაბაძე**

## დავით უგრელიძე:
# ასე არ შეიძლება!

**ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებმა უმაგალითო აჟიოტაჟი გამოიწვია. თბილისის "დინამოსა" და ლანჩხუთის "გურიის" ყოფილ თავდამსხმელ დავით უგრელიძეს ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ:**

- მე და ვეტერანი ფეხბურთელები მომხდარით განცვიფრებულები ვართ. ასეთი რამ არსად მომხდარა. სულ რალაც ნახევარი საათის წინ არჩეული პრეზიდენტი გადადგა - ზეწოლა იყო თუ სხვა რამ, ფაქტია, წესების დაცვით, სამართლიანად არჩეული კანდიდატი ასე არ მოიქცეოდა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ რომ არ მომხდარიყო. ეს ყოველივე დიდ ეჭვებს ბადებს. რა შედეგებით დამთავრდება ეს ყოველივე, არავინ იცის.

**- სხვათა შორის, თავად ნოდარ ახალკაცის მომხრეები არიან უხერხულ მდგომარეობაში. დამარცხებული მხარე არ უნდა ყოფილიყო მსგავსი სცენარის მომხრე.**

- რა თქმა უნდა! წარმოუდგენელია, ამის შემდეგ ახალკაცი როგორ დათანხმდება პრეზიდენტობას კიდევ ერთხელ? ხალხმა გადაირჩია და ვეჭვობ, ვილაც ძალების დახმარებით თანამდებობაზე დაბრუნდეს. ეს უპერსპექტივო საქმე იქნება.

**- თქვენი ინფორმაციით, რატომ გააკეთა ნემსაძემ ასეთი არაადეკვატური განცხადება?**

- ერთ-ერთი ვერსიით, ტოპმიოლერს არ სურს ნემსაძესთან მუშაობა. ასეთი გაუგონარი ამბავი ფეხბურთში მომხდარა? დაქირავებული მწვრთნელი მთელ ქვეყანას ულტიმატუმს უყენებს. ის არის პროფესიონალი მწვრთნელი, რომელიც ვალდებულია ნაკრებში იმუშაოს. ასე აფრიკის ქვეყანაში არ ხდება. ამის უფლება თავს არ უნდა მისცეს. მე მგონია, რომ ვილაცა ხელს აფათურებს ქართულ ფეხბურთში. ის ტკბილი ლუკმაა, რომელსაც ვერ ელევიან. ამ დონის პატრიოტები არიან, ქართული ფეხბურთისთვის კარგი უნდათ და ნემსაძე არ აწყობთ?

**- თქვენი აზრით, ნემსაძის და ახალკაცის შეხვედრა და ვითარების განმუხტვა შესაძლებელია?**

- მგონია, ამ შეხვედრას ახლა არანაირი აზრი არ აქვს. შეუდგეს საქმიანობას ნემსაძე და მერე თვითონ გადაწყვიტოს, ვის შეხვდეს და ვისთან ითანამშრომლოს.

**- კი მაგრამ, სახელმწიფოსგან ასეთი ზეწოლა თუ არის?**

- ეს არის დაუშვებელი. როგორც ვიცი, ფიფა-უეფამდე უკვე მიტანილია საქმე და ძალიან მეშინია, ამას არ მოყვეს უმკაცრესი სანქციები. სავსებით რეალური საფრთხეა, საქმე დისკვალიფიკაციამდე მივიდეს. ამის დაშვება არანაირად არ შეიძლება იმის გამო, რომ რომელიღაც კლანს ქართული ფეხბურთის თავისთვის დაქვემდებარება სურს. ჩვენ ერთმანეთი უნდა გავიტანოთ, რადგან ასეთი პრეცედენტი ფეხბურთსაც აზარალებს და ქვეყანასაც. მაშინ ფეხბურთის მომავალი ეჭვქვეშ დგება. სიმართლე უნდა გავიტანოთ. არ შეიძლება ხელისუფლება ყველაფერში ჩაერთოს და მართოს. ამ სფეროში პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ მართვის სადავეები და სახელმწიფო ფინანსურად და სხვა სახით თუ დაეხმარება, ეს იდეალური ვარიანტი იქნება.

საქმე ფიფა-უეფამდე რომ არ მივიდეს, ვითარება დროულად უნდა განიმუხტოს, გიორგი კი თავის თანამდებობაზე მუშაობას უნდა შეუდგეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლიგა შეუფერხებლად მუშაობს

სანამ ფეხბურთის ფედერაცია თავის საკითხში ბოლომდე გარკვეული არ არის, საქართველო მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატის ორ ტურს ჩაამთავრებს, ხოლო 26 მაისს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის თასის" ფინალია. ორივე ტურნირს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ატარებს, თუმცა პროფლიგა ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტია. ყოველივე ამასთან დაკავშირებით პფლ-ის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილს** მივმართეთ, ვინც 13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში **ნოდარ ახალკაცის** გუნდში იყო.

"პროფლიგა დაუბრკოლებლად განაგრძობს მუშაობას, ჩვენს საქმიანობაში შეფერხებები არ არის, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები და თასის ფინალიც ნორმალურად ჩაივლის. ფედერაციის სუბიექტი კი ვართ, მაგრამ ეს ხელს არაფერში შეგვიშლის" - გვითხრა რამიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

19-წლამდელთა ნაკრები

# ტოპმიოლერმა ჭაბუკებს უხმო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მაისის მინურულს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს: 23 მაისს **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი პორტუგალიას, 25 მაისს მასპინძელ შოტლანდიას, ხოლო 28 მაისს თურქეთს დაუპირისპირდება. პირველი ორი მატჩი ქალაქ პერსში, "მაკდიარმიდ პარკზე" გაიმართება, მესამე კი დანდიში, "დენს პარკზე".

ჩვენი გუნდი შოტლანდიაში 17 მაისს გაემგზავრება და დანდიში დაბინავდება. საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი**, მისი თანაშემწე **ბესიკ ფრიდონაშვილი** და 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** გუნდს 19 მაისს შეუერთდებიან.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა ელიტ-რაუნდის თამაშებისთვის გუნდში შემდეგი ფეხბურთელები მიიწვია:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე, გიორგი მაკარიძე

მცველები: გულვერდ თომაშვილი, გიორგი ხიდეშელი, ამირან სანაია, ზურაბ გვაძაბია

ნახევარმცველები: გიორგი განუგრავა, ნიკო კვასხვაძე, მირზა ბჟალავა, გიორგი ნიკოლაიშვილი, ლევან ყენია, დავით თარგამაძე, ალექსი ბენაშვილი

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე, რატი წინამძღვრიშვილი, ლევან მჭედლიძე, ვახტანგ ფანცხავა, რევაზ ბარაბაძე

# აუდიენცია პლატინისთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და თბილისის "დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია მიშელ პლატინის** საარჩევნო შტაბის წევრი იყო უეფას პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც 26 იანვარს გაიმართა და პლატინის გამარჯვებით დასრულდა. პლატინი ჟორდანიას უეფაში რომელიმე მაღალ თანამდებობას უბოძებს - ასეთი იყო ვარაუდი, თუმცა ჟორდანია უეფაში ჯერაც დაუსაქმებელია.

გუშინ შევიტყვეთ, რომ პლატინიმ ჟორდანია აუდიენციაზე დაიბარა და შეხვედრა რამდენიმე დღეში უნდა გაიმართოს, რაც იმის წინაპირობა იქნება, რომ ჟორდანიას უეფაში კონკრეტულ სამსახურს შესთავაზებენ.

ჟორდანია საქართველოში ორჯერ დააპატიმრეს, ორჯერვე **მიხეილ სააკაშვილის** პრეზიდენტობისას და ორჯერვე "დინამოს" საქმეზე. ის ახლა შვეიცარიაში ცხოვრობს და საქართველოში იშვიათად ჩამოდის.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!


გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 53-7 | 59 |
| 2. დინამო | 24 | 18 | 2 | 4 | 48-17 | 56 |
| 3. ამერი | 24 | 16 | 5 | 3 | 50-14 | 53 |
| 4. ზესტაფონი | 24 | 14 | 9 | 1 | 46-10 | 51 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 8 | 4 | 39-24 | 44 |
| 6. სიონი | 24 | 11 | 4 | 9 | 27-20 | 37 |
| 7. ტორპედო | 24 | 9 | 4 | 11 | 22-29 | 31 |
| 8. ბორჯომი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-32 | 30 |
| 9. ბათუმი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-26 | 27 |
| 10. ლოკომოტივი- | 24 | 6 | 6 | 12 | 17-32 | 24 |
| 11. ჩიხურა | 24 | 5 | 6 | 13 | 13-36 | 21 |
| 12. მერანი | 24 | 4 | 8 | 12 | 15-41 | 20 |
| 13. დილა | 24 | 2 | 5 | 17 | 15-55 | 11 |
| 14. კახეთი | 24 | 0 | 2 | 22 | 20-74 | 2 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 12 | 10 | 2 | 0 | 32-3 | 32 |
| 2. დინამო | 12 | 10 | 1 | 1 | 25-7 | 31 |
| 3. ამერი | 12 | 10 | 3 | 0 | 23-4 | 30 |
| 4. ზესტაფონი | 12 | 9 | 3 | 0 | 28-2 | 30 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 5 | 0 | 23-9 | 26 |
| 6. სიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-5 | 23 |
| 7. ბორჯომი | 12 | 6 | 3 | 3 | 22-16 | 21 |
| 8. ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 13-14 | 20 |
| 9. ჩიხურა | 12 | 4 | 4 | 4 | 8-11 | 16 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-16 | 14 |
| 11. ბათუმი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-12 | 13 |
| 12. მერანი | 12 | 1 | 6 | 5 | 6-19 | 9 |
| 13. დილა | 12 | 2 | 2 | 8 | 7-24 | 8 |
| 14. კახეთი | 12 | 0 | 2 | 10 | 11-33 | 2 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 12 | 7 | 3 | 1 | 20-43 | 27 |
| 2. დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 23-10 | 25 |
| 3. ამერი | 12 | 7 | 2 | 3 | 27-10 | 23 |
| 4. ზესტაფონი | 12 | 5 | 6 | 1 | 18-8 | 21 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-15 | 18 |
| 6. სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 10-15 | 14 |
| 7. ტორპედო | 12 | 3 | 2 | 7 | 8-15 | 11 |
| 8. მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9-22 | 11 |
| 9. ბათუმი | 12 | 2 | 5 | 5 | 8-13 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-16 | 10 |
| 11. ბორჯომი | 12 | 2 | 3 | 7 | 6-16 | 9 |
| 12. ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 5-27 | 5 |
| 13. დილა | 12 | 0 | 3 | 9 | 8-31 | 3 |
| 14. კახეთი | 12 | 0 | 0 | 12 | 9-41 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 17 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| 3-5 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 10 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 10 |
| 6-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 9 |
| 9-10 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 8 |
| 11-12 | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 13-14 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| 15-24 | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 5 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 5 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 5 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 5 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 5 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 5 |
| 25-37 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | შ.ლონდაძე (ზესტაფონი) | 4 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 4 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | კობახიძე (დინამო) | 4 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 4 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 4 |
| 38-53 | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 3 |
| | დარასელია (სიონი) | 3 |
| | გონჩაროვი (დილა) | 3 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 3 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | ნერგაძე (ბათუმი) | 3 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 3 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 21 (17+4) |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 18 (13+5) |
| 3 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 17 (9+8) |
| 4 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დ.) | 15 (8+7) |
| 5 | ტატანაშვილი (ამერი) | 14 (10+4) |
| 6-7 | იონანიძე (ზესტაფონი) | 13 (9+4) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერ.) | 13 (10+3) |
| 9 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯ.) | 12 (10+2) |
| 9-11 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 11 (9+2) |
| 12 | აფციაური (ოლიმპი) | 10 (4+6) |
| 13 | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| 14-18 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 8 (6+2) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 8 (4+4) |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 (5+3) |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 8 (3+5) |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 8 (5+3) |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 4 |
| 3-5 | საჯაია (ბორჯომი/ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| 6 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-22 | შ.კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 1 |
| | ბაჯელიძე (სიონი) | 1 |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 8 |
| 2-4 | ვ.კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-13 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯორჯ.) | 2 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| 14-40 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯაავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |
| | ბ. გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ყონატასი (ზესტაფონი) | 1 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ. /დინამო) | 1 |
| | კირკიტაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკაშვილი (ამერი) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 8 |
| 2 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინ.) | 7 |
| 3-4 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინ.) | 6 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 6 |
| 5-8 | ფიფია (ზესტაფონი) | 5 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 5 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 5 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 9-17 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 4 |
| | შ. ბრიგალაშვილი (დინ./ბორჯ.) | 4 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 4 |
| 18-27 | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 3 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 3 |
| 28-55 | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბაჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | კერესელიძე (ბათუმი) | 2 |
| | გ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | 2 |
| | შ. კაშია (დინამო) | 2 |
| | დეკანოსიძე (ამერი) | 2 |
| | სეთურიძე (ოლიმპი) | 2 |
| | ნავალოვსკი (დინამო/ოლიმპი) | 2 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | სულთანიშვილი (დილა) | 2 |
| | იმედაძე (ზესტ./ტორპედო) | 2 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 2 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 2 |
| | კვარაცხელია (ბათუმი) | 2 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 2 |
| | კოშკაძე (ბათუმი/ბორჯომი) | 2 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 2 |
| 2-30 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სავასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორ.) | 1 |
| | ქუცურუა (ჩიხურა) | 1 |
| | გლუნჩაძე (მერანი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 9 |
| 2-4 | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 7 |
| | ცანავა (ბათუმი) | 7 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 7 |
| 5-8 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-27 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფ./ტორპედო) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 1 |

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-10 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |

### გასულ ტურში

20 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.85)
18 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.57)
0 წითელი ბარათი

# XXIV ტურის სიმბოლური ნაკრები




### გაუღებელი პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 2-11 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ლომიძე (მერანი) | 1 |
| | თევდორაძე (დილა) | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2-4 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| | მერანი-ამერი | 0:6 | (XXIV ტური) |
| 5-10 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტ.-ვიტ ჯორჯია | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |
| | ოლიმპი-ჩიხურა | 5:0 | (XXI ტური) |

### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | გრიშიკაშვილი (დინამო) | 360 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 297 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 264 |
| 4 | სომხიშვილი (ბათუმი) | 239 |
| 5 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 210 |
| 6 | მერლანი (ოლიმპი) | 180 |
| 7 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 170 |

### ჩემპიონატში

377 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.24)
445 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.64)
30 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.17)

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 23 |
| 2 | 1:0 | 21 |
| 3 | 0:1 | 18 |
| 4 | 2:0 | 13 |
| 5 | 3:0 | 12 |
| 6 | 1:1 | 10 |
| 7 | 2:1 | 9 |
| 8 | 3:1 | 7 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხარიტონაშვილი | 15 |
| 2-4 | ვადაჭკორია | 14 |
| | ფანიაშვილი | 14 |
| | მაისურაძე | 14 |
| 5-7 | კვარაცხელია | 13 |
| | სილაგავა | 13 |
| | ბეუქლიშვილი | 13 |
| 8 | კრიჭაშვილი | 12 |
| 9 | სანაია | 11 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 10 |
| 11 | პ. დოგრაშვილი | 8 |
| 12-13 | ჭაჭუა | 7 |
| | ხეცაძე | 7 |
| 14 | ბუიშვილი | 6 |
| 15 | ნონიკაშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |
| 17 | გუმბერიძე | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 621 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 6 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 431 |
| 7 | მერლანი (ოლიმპი) | 375 |
| 8 | კოდალაევი (ტორ./ბორჯომი) | 342 |
| 9 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 10 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |

### უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| 2-5 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალკეს ფანები ჩემპიონობას ემშვიდობებიან?

შალკე

# გელზენკირხენი ცრემლების ოკეანეში ჩაიძირა

## ნუთუ, შალკეს სინი არასდროს ეღირსება?

*"თქვენ ვერასდროს გახდებით გერმანიის ჩემპიონები!"* - შაბათს გამართულ რურის დიდ დერბიში, რომელშიც BVB-მ მოსისხლე მტერი "შალკე" ჯანდაბის გზას გაუყენა, დორტმუნდის "ბორუსიის" გულშემატკივრებმა ამ სიტყვებით გელზენკირხენელი ქომაგების გულები ფეხქვეშ გათელეს. "ბორუსიამ" ოცნება აიხდინა და ჩასვრილი სეზონს მაჟორულ ნოტაზე ასრულებს - დიახ, "დორტმუნდისთვის" არაფერია იმაზე დიდი და სასურველი, ვიდრე "შალკეს" გამწარება.

მთელი გელზენკირხენი ოცნებობდა (უდიდესი ნაწილი დღესაც ოცნებობს), რომ S04, მათი სიამაყე, 49- წლიანი პაუზის შემდეგ, პირველად გახდებოდა გერმანიის ჩემპიონი. რომ ბოლოს და ბოლოს, "შალკე" მოიხსნიდა 2001 წლის შემდეგ თანმდევ წყევლას. ახლა კი, რა? დორტმუნდში განცდილი მარცხის შემდეგ, გელზენკირხენელთათვის "ვერცხლის სინი" მხოლოდ ჰორიზონტზეღა მოსჩანს. საჩემპიონო გუნდი "კოტბუსის" იმედზე არ უნდა იყოს და ისიც ცხადია, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდის ქომაგთა დიდ ნაწილს ძალიან რცხვენია, მათი სიამაყე "კოტბუსს" რომ შესციცინებს, იქნებ მოხდეს სასწაული და "ენერგიმ" ბოლო ტურში "შტუტგარტს" რამე მოუხერხოსო.

*"იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბოლო ტურში "შტუტგარტი" "კოტბუსთან" დამარცხდება და ჩვენ მაინც გავხდებით ჩემპიონები, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება არ იქნება, რადგან მეცოდინება, რომ ტიტული არ დავიმსახურეთ. აქამდე კიდევ მჯეროდა, რომ ჩემპიონობას ყველაზე მეტად "შალკე" იმსახურებდა, მაგრამ დორტმუნდში წაგებამ გული მომიკლა,"* - აცხადებს "ხუმარების" ერთ-ერთი ფანი. ზეიმის ნაცვლად გელზენკირხენში ახლა დიდი გოდებაა, თითქმის ზუსტად ისეთივე, როგორიც 2001 წელს იყო.

მატჩის დასრულების შემდეგ რეჟისორმა ძალიან მოსწრებულად გვიჩვენა მომენტი, სადაც **კევინ კურანი** გუნდის მაისურას იხდის. შიდა მაისურაზე კი აწერია: Gott ist doch auf Schalke! (ღმერთი ნამდვილად შალკეშია). *"არაფერიც, ღმერთი ნამდვილად არ არის შალკელი! მან მიგვატოვა და ფეხებზე დაგვიკიდა!"* - ეს სიტყვები "შალკეს" საკულტო ფიგურას, 75 წლის **ჩარლი ნოიმანს** ეკუთვნის. ასეცაა: იმ ფეხბურთს, რაც გელზენკირხენელებმა შაბათს "ვესტფალენშტადიონზე" წარმოადგინეს, ზებუნებრივ ძალებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. **მირკო სლომკას** სამწყსო ისე თამაშობდა, როგორც ჩასვრილი, უიდეო და კარიკატურული გუნდი. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელები ათვითცნობიერებენ, თუ რაოდენ დიდი დარტყმა მიაყენეს გულშემატკივრებს - იმ 15 000 ფანს, ვინც გუნდს საძულველ ქალაქში ჩაჰყვა, იმ 60 000 ქომაგს, ვინც თამაშს "აუფ შალკეზე" დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე უმზირა და საერთოდ მთელ გელზენკირხენს.

არადა, თამაშის წინ სლომკა გაიძახოდა, 2001 წელს განცდილი ტრაგედია დავიწყებულია, დაგვიჯერეთ, ამჯერად ყველაფერი კარგად იქნებაო. არადა, ერთადერთი შალკელი, ვისაც შაბათის შემდეგ ჩემპიონობა ეკუთვნის, მეკარე **მანუელ ნოიერია**. *"ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით,"* - აღიარებს სლომკა, - *"ცხადია, თითოეულ ფეხბურთელს უნდოდა, რომ დორტმუნდში არ წაგვეგო, მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ მათ ეს მხოლოდ ცალ-ცალკე უნდოდათ და არა ერთად!"* სლომკას მხრიდან ეს თითქმის სკანდალური განცხადებაა იმ ბრალდებების ფონზე, რომ "შალკე" დაჯგუფებებადაა დანაწევრებული. დორტმუნდელები კი ისე იბრძოდნენ, თითქოს ჩემპიონობის შანსი ჰქონდათ.

*"გული მტკივა. აშკარაა, რომ "შალკე" ტიტულს ველარ შესწვდება. ძალიან ვწუხვარ ფანების გამო, ისინი ამას არ იმსახურებენ!"* - ამბობს "ხუმარების" ექს-მენეჯერი **რუდი ასაუერი**. სლომკა კი აგრძელებს: *"ძალიან რთული წარმოსადგენია ის, რომ "ვერცხლის სინი" მაინც მოვიგოთ. ჩვენი მთავარი ამოცანა ისაა, რომ ახლა "არმინია" დავამარცხოთ და მეორე ადგილი შევინარჩუნოთ, რითაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოვიპოვებთ. ამასთან, "კოტბუსის" იმედიც უნდა გვქონდეს."*

*"2001 წელს "შალკემ" ჩემპიონობა ბოლო წამზე დაკარგა. მაშინ მითხარით, რატომ არ შეიძლება, რომ ჩემპიონობა ამჯერად ბოლო წამს მოვიპოვოთ? ვისაც ამისი არ სჯერა, სახლში წავიდეს და დაიძინოს. ჩვენ, ფეხბურთელებს დღესაც გვჯერა, რომ ჩემპიონები გავხდებით,"* - ეს კაპიტან **მარსელო ბორდონის** სიტყვებია. არადა, თუკი "შალკეს" ქომაგთა გარკვეულ ნაწილს ხელი ჩაქნეული აქვს, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, ფეხბურთელების ბრალია...

■■■

გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ "შალკემ" ეს ყველაფერი მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს და არამც და არამც "დორტმუნდს". მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის შემთხვევები, როცა სლომკას გუნდმა გადამწყვეტ მომენტში კარგად, ან ცუდად იმოქმედა. ფაქტი ისაა, რომ S04 მიმდინარე სეზონში სატურნირო ცხრილს 15-ჯერ ლიდერობდა და ამაზე დიდხანს პირველ ადგილზე არავინ ყოფილა ("შტუტგარტი" აქამდე მხოლოდ ერთხელ იყო ლიდერი).

მე-10 ტური (5.11.2006): სლომკამ პირველად ათამაშა ნოიერი (**როსტის** ნაცვლად) და იმ ტურში "შალკე" "ბაიერნთან" 2:2-ს დასჯერდა. სწორედ იმ მატჩის შემდეგ დაიწყო გელზენკირხენელთა წარმატებული სვლა (13-თამაშიანი წაუგებელი სერია გამოაცხვეს).

მე-13 ტური (18.11.2006): კოტბუსში 4:2-ზე გამარჯვების შემდეგ "შალკე" ამ სეზონში პირველად გალიდერდა.

მე-15 ტური (3.12.2006): 0:0 ნიურნბერგში, პირველ ადგილზე "ვერდერი" გადავიდა.

მე-20 ტური (4. 2.2007): "შალკეს" საუკეთესო თამაში მიმდინარე სეზონში - **პეტერ ლოვენკრანდსის** ორი გოლის წყალობით "ხუმარებმა" ბრემენში 2:0 იმარჯვეს და ისევ გალიდერდნენ.

21-ე ტური (10.2.2007): "ჰერტას" 2:0-ზე დამარცხების შემდეგ, "შალკეს" მეორეადგილოსანთან ექვსქულიანი უპირატესობა აქვს.

22-ე ტური (17.2.2007): კრიზისის დასაწყისი - ვოლფსბურგში 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საბოლოოდ 2:2-ს დასჯერდნენ. ამას მოჰყვა საკუთარ კედლებში განცდილი 2 მარცხი - 0:1 "ლევერკუზენთან", ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია **ლინკოლნს** და 0:2 "ჰამბურგთან".

26-ე ტური (17.3.2007): "შალკემ" "შტუტგარტი" **მლადენ კრსტაიჩის** გოლით 1:0 დაამარცხა და შვაბურ კლუბს 7 ქულით გაასწრო!

31-ე ტური (27.4.2007): მიუხედავად იმისა, რომ სლომკას ბიჭები ბოხუმში 1:2 დამარცხდნენ, კობიაშვილის გუნდი მაინც პირველ ადგილზე დარჩა, რადგან "ვერდერმა" ბილეფელდში 2:3 წააგო.

33-ე ტური (12.5.2007): "დორტმუნდთან" მატჩის წინ "შალკე" "შტუტგარტს" 1, ხოლო "ვერდერს" კი 2 ქულით უსწრებდა, მაგრამ დამარცხდა და რაკი შვაბებმა ბოხუმში იმარჯვეს, VFB-ს ბოლო ტურის წინ 2 ქულით დაწინაურების ნება დართო.

დაბოლოს, "შალკეს" ერთ-ერთი გულშემატკივრის ოცნება: "შალკე"-"არმინია" 4:0, "შტუტგარტი"-"კოტბუსი" 1:1...

**გოტფრიდ ლენცი**



მირკო სლომკა გამოუვალ მდგომარეობაში

### ფოსტა ვაგნერისგან

## ღია წერილი შალკეს ფანებს

ძვირფასო შალკელებო, თითქოს რაღაც ახსნა აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმას, რომ თქვენ სულ ტირილი და გოდება გიხდებათ. ისეთი არგუმენტები, როგორიცაა "ეს ხომ ფეხბურთია..." ან "ეს უბრალოდ ცხოვრებაა, სადაც ყველაფერი ხდება", რბილად რომ ვთქვათ, დიდი სისულელეა, რაც კითხვას, თუ რატომ ტირიან მუდმივად შალკელები, პასუხს ვერ სცემს. ჩემი აზრით, თქვენი ცრემლების მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ისე გწამთ "შალკესი", როგორც მე იესო ქრისტესი მწამს. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდია.

ფეხბურთი არ არის ღმერთი და არანაირი კავშირი არა აქვს ღმერთთან. უნდა შეიგნოთ, რომ როცა "შალკე" დორტმუნდში დამარცხდება, ამის გამო მსოფლიო ფეხზე არ დადგება! ჩვენ, ადამიანები ვტიროდით და უნდა ვიტიროთ შიდსით დაავადებულთა გამო, აფრიკის გამო... იმის გამო, რომ მილიონობით ადამიანი შიმშილობს. ჩვენ ვტირივართ და უნდა ვიტიროთ ჩვენი მსოფლიოს გამო. "შალკესთვის" ტირილი კი ზედმეტი ფუფუნებაა!

როგორ გგონიათ, "შალკე" რომ ჩემპიონი გახდეს, ამით შიდსით დაავადებულ აფრიკელს რამე ეშველება? მიმაჩნია, რომ ადამიანების დიდი ნაწილი სისულელეების გამო ტირის...

**ფრანც იოზეფ ვაგნერი**
ბილდი

## მანჩესტერი არ იყიდება

გლეიზერების ოჯახი "მანჩესტერ იუნაიტედის" გაყიდვას არ აპირებს. სპეკულაციების თანახმად, თვენახევრის წინათ, ამერიკელებს ჩინური კონსორციუმი დაუკავშირდა და აქციების 100 პროცენტის სანაცვლოდ 850 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ჩინელები ფიქრობდნენ, რომ მალკოლმ გლეიზერის 650-მილიონიანი ვალი, რომელიც მას "იუნაიტედის" ყიდვისას დაუგროვდა, ამერიკელ მულტიმილიონერს გარიგებაზე დათანხმებას აიძულებდა, მაგრამ გლეიზერები საქმიდან გასვლას არ აპირებენ. ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"არ ყოფილა არანაირი შეთავაზება არანაირი კონსორციუმიდან და რომც ყოფილიყო, ის არ იქნებოდა განხილული. გლეიზერების ოჯახი "მანჩესტერ იუნაიტედის" ერთგულებაში ერთსულოვანია. ისინი ენერგიას არ იშურებენ, რათა კლუბი უფრო წარმატებული გახადონ მინდორზე და მის მიღმა."* ორი წლის წინათ გლეიზერმა კლუბი 800 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას მერე "იუნაიტედმა" ბევრად უფრო სარფიანი სპონსორული და სატელევიზიო კონტრაქტები გააფორმა. მიმომხილველებს ლოგიკურად მიაჩნიათ ის, რომ ასეთ დროს "მანჩესტერის" გასხვისებაზე არავინ ფიქრობს.

## ბერბატოვი ტურინშიც მიიწვიეს

იტალიური სააგენტოები მოულოდნელ ინფორმაციას ავრცელებენ, "იუვენტუსმა" 25 მილიონი ევრო გაამზადა ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვის** სანაცვლოდო. ბულგარელი თავდამსხმელი ლევერკუზენიდან ლონდონში ერთი წლის წინათ, 10.9 მილიონ გირვანქად გადავიდა. მან სეზონი ყველა ტურნირზე გატანილი 23 გოლით დაასრულა. "ქალბატონის" გარდა, ბერბატოვს "მანჩესტერ იუნაიტედიც" აკვირდება. "ემმაკებს" მაღალი კლასის თავდამსხმელი სურთ. ისინი **სამუელ ეტოოს** ხელში ჩაგდების იმედსაც არ კარგავენ. ბულგარელს კი სათადარიგო ვარიანტად მოიაზრებენ.

## ლემპარდი: ესპანეთი თუ იტალია?

სად ითამაშებს **ფრენკ ლემპარდი**? იტალიურ და ესპანურ გამოცემებს თუ დავუჯერებთ, მისი "ჩელსიდან" აბარგება სავსებით რეალურია. "ელ მუნდო დეპორტივო" წერს, რომ "ბარსელონას" ორი კვირა აქვს საიმისოდ, რომ "არისტოკრატებს" ოფიციალური წინადადებით მიმართოს. ლემპარდს "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. მისი ხელში ჩაგდება "ინტერსა" და "იუვენტუსსაც" სურთ. იტალიელებმა ინგლისელებს თავიანთი წინადადებები უკვე გაუგზავნეს. ფრენკის აგენტი **სტივ კუტნერი** მოლაპარაკებებისთვის ემზადება. ნახევარმცველის კონტრაქტში დარჩენილი ორი წელი, ფეხბურთელს უფლებას ანიჭებს, კონტრაქტი საბაზროსთან შედარებით ბევრად დაბალ ფასში გამოისყიდოს. ეს გარემოება ლემპარდის მიმართ ინტერესს ერთი-ორად აძლიერებს.

## რივალდო საბერძნეთიდან მიდის

**რივალდომ** სამწლიანი ბერძნული კარიერა დაასრულა. კვირას მისმა "ოლიმპიაკოსმა" აუტსაიდერ "იონიკოსს" 5:3 მოუგო. ბრაზილიელმა ვეტერანმა ორი გოლი გაიტანა (სულ 17 გოლი 25 მატჩში). 35 წლის თავდამსხმელი პირეოსელებთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს მართავდა. მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. რივალდო ბრაზილიაში მიემგზავრება. თუმცა უცნობია, სამშობლოში დარჩება ის თუ საზაფხულო არდადეგების დასრულებისთანავე რომელიმე საპენსიო ლიგაში მოეწყობა. ფეხბურთელი კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას წარმოადგენენ შვაბები?

# შტუტგარტი ჩემპიონი? როგორ? რანაირად?

## გუნდი-პარადოქსი, რომელიც მკვდრეთით აღსდგა...



ვიყოთ გულახდილები: ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია, რომ გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" ხდება. აბა, ვინ წარმოიდგენდა ამას სეზონის დასაწყისში, როცა შვაბურ კლუბში სრული ქაოსი და გაურკვევლობა სუფევდა, როცა **ჯოვანი ტრაპატონის** ხელში ნაჩვენები ანტიფეხბურთის გამო "გოტლიბ დაიმლერ შტადიონს" მაყურებელი ეტაპობრივად აკლდებოდა და როცა ახალი მწვრთნელი **არმინ ფეე**, რომელიც თავის სამწვრთნელო კარიერაში სერიოზული მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, გერმანული ტოტალიზატორების გათვლით პოსტიდან გათავისუფლების ნომერ პირველი კანდიდატი იყო.

შაბათის შემდეგ კი "შტუტგარტი" "ვერცხლის სინს" ცალი ხელით შეეხო. 3:2 ბოხუმში - ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება და პირველი ადგილი ბოლო ტურის წინ. და ეს იმ სეზონში, რომელშიც შვაბები მანამდე მხოლოდ ერთხელ იყვნენ სატურნირო ცხრილის სათავეში. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სენსაციაა. რაღა დარჩა? ერთი მოგება უმოტივაციო "კოტბუსთან", რომელსაც დიდი ვერაფერი გუნდი ჰყავს და VFB გერმანიის ჩემპიონი გახდება - პირველად 15 წლიანი პაუზის შემდეგ და მეხუთედ არსებობის ისტორიაში.

მაინც რა არის იმ გუნდის წარმატების საიდუმლო, რომელსაც სეზონის დაწყებამდე სერიოზულად არავინ აღიქვამდა? გერმანელები ამბობენ, რაკი წელს "ბაიერნმა" თავი შეირცხვინა, "ვერდერმა" ლამის განგებ თქვა უარი ჩემპიონობაზე, "შალკე" ტრადიციულად უიღბლო და უბედური გუნდია, დორტმუნდის "ბორუსიას" ვერავინ ვერაფერი გაუგო, "ჰამბურგმა" თავზე ხელი აიღო, ხოლო "ლევერკუზენი" და "ჰერტა" ისედაც უპასუხისმგებლო გუნდები არიან, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო სათავეში, თუ არა "შტუტგარტი". არის ამაში სიმართლის მარცვალი. მაგრამ მაინც: შვაბთა წარმატებას უფრო დამაჯერებელი და არგუმენტირებული ახსნა უნდა მოეძებნოს.

მეკარე **ტიმო ჰილდებრანდს** არც ისე კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ბოლო თამაშებში გულშემატკივარს მან ისევ ის ტიმო გაახსენა, რისთვისაც თავის დროზე "ტიმონატორად" შერაცხეს. არადა, კომიკური ის არის, რომ ჰილდებრანდმა შვაბებთან კონტრაქტი არ გააგრძელა და დასრულდება თუ არა სეზონი, გუნდს უფასოდ დატოვებს. ცხადია, ევროპის გიგანტები მას არ ეპატიჟებიან, მაგრამ ტიმომ რა იცოდა, რომ ეს გუნდი ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი გახდებოდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს შვაბი ფანებისთვის ჰილდებრანდი გმირია, რადგან შაბათს, "ბოხუმთან" მატჩის უკანასკნელ წუთებზე **დაბროვსკის** დარტყმა სასწაულებრივად მოიგერია და თავისიანები ამ უნიკალური შანსის ხელიდან გაშვებისგან იხსნა.

*"არც კი ვიცი, როგორ მოვიგერიე ის დარტყმა. როცა ბურთი კარს ასცდა, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი. მერე კი ემოციებმაც იფეთქა და ყველანი მივხვდით, რომ ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს ვართ!"* - განაცხადა ჰილდებრანდმა მატჩის შემდეგ.

"შტუტგარტის" ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი 21 წლის თავდამსხმელი **მარიო გომესია**, რომელსაც ერთი წლის წინ ფაქტობრივად არავინ იცნობდა. "შტუტგარტს" აუცილებლად პლუსად უნდა ჩაეთვალოს ის ფაქტი, რომ გომესი ამ ტურამდე, ცხრა კვირის განმავლობაში ტრავმირებული იყო და გუნდს ვერ ეხმარებოდა. საუკეთესო გოლეადორის არყოფნა კი, მით უმეტეს ისეთი გუნდისთვის, რომელიც მაღალი კლასის ოსტატებით განებივრებული არაა, წესით სერიოზული დარტყმა უნდა ყოფილიყო. მაგრამ შვაბებმა გომესის არყოფნა ძალიან მშვიდად გადაიტანეს და ამ ფაქტს მათთვის ხელი არ შეუშლია. სუპერმარიო საკმაოდ ნორმალურად შეცვალა **ბენი ლაუთმა**, თავდამსხმელმა, რომელიც ცოტა ხნის წინ "ჰამბურგიდან" დაიფრინეს და რომელიც გერმანულ საფეხბურთო წრეებში თითქმის აღარავის ახსოვდა.

გომესის არყოფნაში გოლეადორის ფუნქციები ბრაზილიელმა **კაკაუმ** იტვირთა, რომელსაც ახლა უკვე 13 გოლი აქვს გატანილი და სუპერმარიოს მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება. 26 წლის ბრაზილიელმა, გარდა იმისა, რომ "ბოხუმთან" გამარჯვების გოლი გაიტანა, ერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა, რის გამოც ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ქება-დიდება დაიმსახურა. გოლი მართლაც ლამაზი გამოუვიდა: დარტყმა ნახევარბრუნში, **გერდ მიულერის** სტილში. კაკაუც ერთ-ერთი გმირია.

და რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს მწვრთნელიც - **არმინ ფეე**. ეს კაცი ბოლოსთვის სპეციალურად შემოვინახეთ, რადგან ყველაზე მეტი სწორედ მასზე უნდა ვთქვათ. 46 წლის სპეციალისტს ქართველი ქომაგები ალბათ ნაკლებად იცნობენ, რადგან დიდი წარმატებებით ვერასდროს დაიკვეხნიდა. ფეე ექსფეხბურთელია და აქტიური სპორტული კარიერის დროს მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ღირსებას იცავდა - ბუნდესლიგაში 65 თამაში აქვს ჩატარებული (3 გოლი). ტრაპატონის ნაცვლად ფეეს დანიშვნა ბევრმა არასერიოზულ გადაწყვეტილებად მიიღო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მწვრთნელმა გუნდი სულის ლაფვის პროცესში ჩაიბარა და სახედაკარგული "შტუტგარტისგან" ისეთი კოლექტივი შექმნა, როგორიც ვერც მაესტრო ჯოვანიმ ჩამოაყალიბა და ვერც მისმა წინამორბედმა **მათიას ზამერმა**. არადა, ამ უკანასკნელის დროს შვაბები ჩემპიონთა ლიგაში იყვნენ და მერვედფინალამდეც კი მიაღწიეს (მაშინ "შტუტგარტს" გაცილებით უკეთესი შემადგენლობაც ჰყავდა). პარადოქსია ისიც, რომ VFB ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი მაშინაც კი არ იყო, როცა ამ გუნდს მაგიური ტრიო ჰყავდა: **ბობიჩი, ბალაკოვი, ელბერი**.



არმინ ფეემ შტუტგარტს შეიძლება სენსაციური ტიტული მოუტანოს

*"რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ჩემპიონები გავხდეთ. აქამდე ვამბობდით, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იყო, მაგრამ ახლა "ვერცხლის სინი" ძალიან ახლოა და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. მაგრამ ეიფორია ჯერ მაინც ნაადრევია, რადგან წინ კიდევ ერთი თამაშია, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ,"* - აცხადებს ფეე.

ისეთი ექსპერტები, როგორებიც არიან **ბერტი ფოგტსი, ლოთარ მათეუსი** ან **უდო ლატეკი**, შვაბთა თავკაცს გერმანიის წლის საუკეთესო მწვრთნელად ასახელებენ. "ბაიერნის" დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი** კი აი, რას ამბობს: *"არმინ ფეემ წელს გრანდიოზული სამუშაო გასწია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად ასეთი მოულოდნელი წარმატებებისა, მუდმივად სიმშვიდეს ინარჩუნებდა. "შტუტგარტი" ამ სეზონის უდიდესი სენსაციაა. ამ გუნდს დუბლის შესრულება შეუძლია!"* - როგორც იცით, შვაბები გერმანიის თასის ფინალში არიან.

როცა ფეემ ტრაპატონის ფავორიტებზე, **იონ დალ ტომასონზე, დანიელ ლიუბოჟასა** და **იესპერ გრონკიაერზე** უარი თქვა და გუნდში მექსიკელები **პარდო, ოსორიო** და ასევე **რობერტო ჰილბერტი** მიიყვანა, მასხრად აიგდეს. ფეემ ნდობა გამოუცხადა ყველასათვის უცნობ გომესს (21 წლის), **ტასკის** (20) და **ხედირას** (20). დღეს "შტუტგარტში" ამინდს სწორედ ეს ფეხბურთელები ქმნიან. მწვრთნელის დამსახურებაა ისიც, რომ ფიზმომზადების თვალსაზრისით ბუნდესლიგაში საუკეთესოა...

**გოტფრიდ ლენცი**

---

პალერმო. მორიგი ცვლა

# გაიგეთ? გვიდოლინი დაბრუნდა

სერია A-ში წლევანდელი სამწვრთნელო გადაადგილებები უპრეცედენტოა. აქ საუბარი არ არის გადამდგარ თუ გადაყენებულ "გენერალთა" რაოდენობაზე. უცნაური ისაა, რომ მწვრთნელები მიდიან და ისევ ძველ ბუდეში ბრუნდებიან. ამ სეზონში უკვე სამი ასეთი ფაქტი მოხდა. გაგეცინებათ და, "მესინის" მწვრთნელი **ბრუნო ჯორდანო** სულაც ორჯერ გაუშვეს და ორჯერვე დააბრუნეს. იმაზე მეტად, რაც გუშინ ქართული ფეხბურთის თავს მოხდა, რაღამ უნდა გააოგნოს კაცი, მაგრამ აი, რას ვკითხულობთ იტალიურ პრესაში: **ფრანჩესკო გვიდოლინი**, რომელიც 23 აპრილს მოხსნეს, კვლავ "პალერმოს" მწვრთნელია, სულ რაღაც ორი ტურისთვის. მაგრამ ამ ორ ტურშიც არ არის საქმე, აქ სენსაციური ისაა, რომ გვიდოლინი დაბრუნდა **მაურიციო ძამპარინის** "სამეფოში", იმ პრეზიდენტთან, რომელსაც სკანდალურად დაშორდა და რომლისგანაც ყოველდღიურად მძაფრ საჯარო კრიტიკას ისმენდა... ისიც გეხსომებათ, რომ ძამპარინიმ გვიდოლინი ორი წლის წინაც დაითხოვა, მაგრამ ამ სეზონის წინ კვლავ უხმო საჭესთან. ჩანს, ისინი ყოველთვის ახერხებენ საერთო ენის გამონახვას. ახლა, პრეზიდენტი მოთამაშეებზეა აღრენილი:

*"უზომოდ გაბრაზებული ვარ და უკვე აღარც კი მინდა გუნდში ამ ფეხბურთელების ხილვა. ახლა მათ თავდაუზოგავად უნდა იშრომონ, რათა უეფას ზონაში მოხვედრის უკანასკნელი შანსი ხელიდან არ გავუშვათ, თორემ თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, ჩათვალეთ, რომ ამ მოთამაშეებისთვის სიცილიური კარიერა დასრულებულია".*

გვიდოლინის შემცვლელმა ტანდემმა, **რენცო გობომ** და **როზარიო პერგოლიციმ**, სადებიუტო თამაში კი მოიგო, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა. აქედან გამომდინარე, "პალერმო", შეიძლება, უეფას ზონის მიღმა დარჩეს. სწორედ ამან შეაშფოთა ძამპარინი და გამოსავალი ყველაზე სანდო კაცში ნახა. ექსტრემალურ სიტუაციაში გვიდოლინის ამოცანაა, დარჩენილი ორივე თამაში მოიგოს, თუმცა კონკურენტებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. უეფას ზონისთვის "ფიორენტინა" და "ემპოლიც" იბრძვიან. ანუ, სამიდან ერთი ზედმეტია. "ახალი" მწვრთნელი დღეიდანვე შეუდგება მუშაობას. კვირას "პალერმო" მასპინძლობს "სიენას", რომელსაც, თავის მხრივ, ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ასე რომ, თავად განსაჯეთ...



ფრანჩესკო გვიდოლინი

---

## მანჩესტერი: ჰუნტელაარიც და მალუდაც?

"მანჩესტერ იუნაიტედი" "აიაქსთან" მოლაპარაკებებს გააჩაღებს. "მირორის" ცნობით, "ეშმაკებს" 23 წლის თავდამსხმელი **კლაას იან ჰუნტელაარი** სურთ. ის 12 მილიონი გირვანქა ღირს. ამსტერდამელთა ბოლო ორ მატჩს **სერ ალექს ფერგიუსონის** ძმა **მარტინი** დაესწრო. მან ფორვარდს საუკეთესო რეკომენდაცია გაუწია. "იუნაიტედს" "საუთჰემპტონის" თინეიჯერი მარცხენა მცველი **გარეთ ბეილიც** სურს. "დეილი მეილის" ცნობით, "დერბისთან" შაბათის პირველი ფლეი ოფი მისი ბოლო შეხვედრა იყო "წმინდანების" მაისურით. უახლოეს დღეებში ის "იუნაიტედის" საკუთრება გახდება. "მანჩესტერს" ბეილის შეძენა 7 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

და კიდევ, **ფლორან მალუდამ** დაადასტურა, რომ "ლიონიდან" აზარგება სურს. საფრანგეთის ნაკრების გარემარბს "იუნაიტედი" და "არსენალი" ეპატიჟებიან. მას გული მანჩესტერისაკენ მიუწევს. შესაძლო ტრანსფერის დეტალები უცნობია.

## სიტი ტაილანდელთა საკუთრებაში

ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ტაქსინ შინავატრა** "მანჩესტერ სიტისთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავს. შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია. ინგლისური კლუბი 100 მილიონ გირვანქად იყიდება. შინავატრას მრჩევლებმა "სიტის" ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა დაასრულეს. ივნისის დასაწყისში გარიგება იურიდიულად გაფორმდება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეს იქნება პრემიერლიგის მეშვიდე კლუბი ("მანჩესტერ იუნაიტედის", "ჩელსის", "ლივერპულის", "პორტსმუთის", "ასტონ ვილისა" და "ვესტ ჰემის" შემდეგ), რომელსაც უცხოელი ინვესტორი დაისაკუთრებს.

---

მოსალოდნელი დანიშვნა

# დეშამს როსი შეცვლისო...



დელიო როსი

მიუხედავად "იუვენტუსის" მესვეურთა არაერთგზის განცხადებისა, რომ **დიდიე დეშამი** მომავალ სეზონშიც ტურინული გრანდის მწვრთნელი იქნება, იტალიურ პრესაში არ წყდება საუბრები ფრანგი სპეციალისტის მოსალოდნელ შეცვლასთან დაკავშირებით. გუშინდელი ინფორმაციით, დეშამის ერთ-ერთ სავარაუდო ალტერნატივად "ლაციოს" დამრიგებელი **დელიო როსი** მოიაზრება. როგორც ამბობენ, "იუვენტუსის" ყოფილ მოთამაშეს კლუბის დღევანდელ ადმინისტრაციასთან უთანხმოება აქვს. დეშამი უკმაყოფილოა "ქალბატონის" ცალკეულ მესვეურთა აზრით, თითქოს მისი სამწვრთნელო კვალიფიკაცია სერია A-ს დონეს არ შეეფერება. მაგრამ რატომ მაინცდამაინც როსი?

"კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, "ლაციალეს" თავკაცმა კლუბის ოფიციოზისგან ვერ მიიღო დამაჯერებელი პასუხი მის მომავალთან დაკავშირებით. მწვრთნელის ამჟამინდელი კონტრაქტი ორ წელიწადში იწურება. მიუხედავად იმისა, რომ "ბიანკოჩელესტეს" წარმატებული სეზონი ჰქონდა, რაც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრით გამოიხატა, ხელმძღვანელობა ახალ ხელშეკრულებაზე ჯერჯერობით არაფერს ამბობს. თუმცა გასაკვირს ამაში ვერაფერს ვხედავთ. ეს ორი წელი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოს. მომავალი სეზონისთვის ის მეტ პროგრესს ელოდება. როსის კომენტარი კი ასეთია: *"კლუბთან კონტრაქტით კიდევ ორი წელი ვარ დაკავშირებული. მაგრამ ახლა ნამდვილად არ ვიცი, რას მიმზადებს ფორტუნა".*

ალბათ, ასე იტყოდა ყველა მწვრთნელი. დეშამს რაც შეეხება, იცით, რომ ის "ლიონის" სამიზნეცაა, მაგრამ ყველაფერი უფრო იქითკენ მიდის, რომ დიდიე ტურინში მინიმუმ ერთ სეზონსაც გაატარებს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი თვლის, რომ "იუვე", ყოველი შემთხვევისთვის, როსისთან კონტაქტის გაბმას მაინც ეცდება. "ლაციოს" მწვრთნელის წლიური ხელფასი 357 ათასი გირვანქაა. "კორიერეს" ინფორმაციით, ტურინელები მას დაახლოებით სამჯერ მეტს შესთავაზებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# ვენგერი: ხარისხი და არა რაოდენობა

## გაისად ერთი წლით უფროსები ვიქნებით...

**არსენ ვენგერს** აუცილებლად გამოუყოფენ თანხას დიდი ტრანსფერისათვის. მწვრთნელი აღიარებს, რომ წლევანდელი სეზონი წარუმატებელი იყო. გაისად ის უფრო მაღალი მიზნებისათვის აპირებს ბრძოლას: *"ფეხბურთელთა რაოდენობის ზრდა საჭირო არ არის. ხარისხს კი სიამოვნებით ავამაღლებდი. არ ვიცი, რა თანხა მექნება. არა მგონია, ამ გუნდს ბევრი რამ დასჭირდეს. ბოლო ორ წელიწადში ვიეირა, ბერგკამპი, კოული, კემპბელი, პირესი, ედუ, კიოუნი და ვილტორი წავიდნენ. შარშან, როცა საფრანგეთი მუნდიალის ფინალში გავიდა, ვიცოდი, რომ პრობლემები გვექნებოდა. ტიერი ანრი გადაღლილი დაბრუნდა. მერე ახალ სტადიონზე გადავედით. სტადიონს შეჩვევა უნდოდა. უამრავი ტრავმა გადავიტანეთ. ხომ ხედავთ "ჩელსის" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დაშავება ტიტულის დაკარგვად დაუჯდა."* "არსენალმა" ლიგის თასის ფინალში გააღწია. "მეთოფეების" ახალგაზრდულმა გუნდმა "ჩელსისთან" წააგო: *"სულაც არ მახარებს ის, რომ სეზონი უტიტულოდ დავასრულეთ, მაგრამ პროგრამა-მინიმუმი შესრულებულია. წლევანდელ გამოცდილებას სამომავლოდ გამოვიყენებთ. ცოტა ხანში დავრწმუნდებით, რომ ამ პრობლემებთან გამკლავებამ ბევრი რამ შეგვძინა."*

"არსენალის" სისუსტეებზე საუბრისას ვენგერმა საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი და სისწრაფის დეფიციტი აღნიშნა. მწვრთნელმა საინტერესო სტატისტიკა მოიშველია: *"ჩემპიონატის მატჩებში "არსენალმა" 16-ჯერ გახსნა ანგარიში. აქედან 14 მატჩი მოიგო და ორში დამარცხდა (ორჯერვე "ჩელსისთან"). მეტოქემ პირველი გოლი 20 შეხვედრაში გაგვიტანა. ბოლო 15 წუთში 21-ჯერ შევაგდეთ, უფრო მეტჯერ, ვიდრე სხვა გუნდებმა. ეს "არსენალის" ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს, მაგრამ არაერთ მატჩში საკუთარ თავს თვითონ შევუქმენით პრობლემები. ეს კი გამოცდილების არქონის ბრალია. გაისად? გაისად ჩვენი ფეხბურთელები ერთი წლით უფროსები იქნებიან."* მოსიე არსენი ასოციაციის თასის ფინალში "მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვებას წინასწარმეტყველებს: *"ფსიქოლოგიური უპირატესობა მის მხარეზეა. "იუნაიტედმა" ეს-ესაა ჩემპიონატი მოიგო და დუბლის შესრულების შესანიშნავი შანსი აქვს."*



არსენ ვენგერი ახალგაზრდა შეგირდებით კმაყოფილია

ჩელსი

# მოურინიო: თუ შევჩენკოს სურს...

## მწვრთნელი უკრაინელით უკმაყოფილოა, სამაგიეროდ ბალაკს აქებს

**ჟოზე მოურინიომ** ანდრეი შევჩენკოს ლონდონური მომავალი ეჭვქვეშ დააყენა. მიმომხილველებთან საუბრისას მან დაუფარავად განაცხადა, რომ უკრაინელმა სეზონი ჩააგდო და მოლოდინი ვერ გაამართლა. ეს იმის მიუხედავად, რომ ანდრეი გუნდს ყველა ტურნირზე გატანილი 13 გოლით შეეწია.

კითხვაზე, სურს თუ არა, რომ შევჩენკო დარჩეს, მოურინიომ მიუგო: *"ის "ჩელსის" ფეხბურთელია, კონტრაქტი აქვს და თუ უნდა, რომ თამაში გააუმჯობესოს, რა თქმა უნდა, დავიტოვებთ. მოკლედ, ეს მასზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, თვითონაც არ არის კმაყოფილი იმით, რაც გუნდს შესძინა. შევას სეზონი არ იყო ისეთი, როგორსაც ყველა ელოდა, ჩემი ჩათვლით... ბალაკმა, იმის საწინააღმდეგოდ, თუ რას ფიქრობენ მასზე, გუნდზე პოზიტიური გავლენა მოახდინა. მან გაიტანა გოლები, რომელთაც ასოციაციის თასის ფინალში და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაგვიყვანა."*

მოურინიო სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ გეგმავს. მას დიდ თანხას, ალბათ, ისევ არ გამოუყოფენ. ამიტომ ჟოზე ნაწილობრივ თავისუფალი აგენტებით შეეცდება ფონს გასვლას. ერთი ფეხბურთელი, რომელსაც მან უკვე გაუფორმა კონტრაქტი, რედინგელი ნახევარმცველი **სტივ სიდველია**. ეს ბიჭი თადარიგში ყოფნისათვის გადაიბირეს.



ანდრეი შევჩენკო

**გასულ შაბათ-კვირას პრიმერა დივიზიონში ყველაფერი თავდაყირა დადგა. „სამეფო კლუბმა“ საშინაო შეხვედრაში „ესპანიოლს“ აჯობა. „ბარსელონამ“ კი ერთი დღის შემდეგ „ბეტისთან“ პაექრობაში ფრე იკმარა და მადრიდულ გრანდს პირველ ადგილზე გადანაცვლების საშუალება მისცა. ბუნებრივია, „კამპ ნოუზე“ დაფიქსირებულმა დიდმა სენსაციამ ფაბიო კაპელო და მისი შეგირდებ უზომოდ გაახარა. ახლა მათ უკვე ეჭვი არ ეპარებათ, რომ ჩემპიონები გახდებიან. სამეფო კლუბი ხომ მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული. გუშინ „დიარიო ასის“ კორესპონდენტი „ესპანიოლთან“ მატჩის გმირს გონსალო იგუაინს გაესაუბრა.**



გონსალო იგუაინი

ინტერვიუ გონსალო იგუაინთან

# ჩვენ სიზელესამდე მივალთ

## სამეფო კლუბის ფორვარდმა ესპანიოლთან უმნიშვნელოვანესი გოლის შემდეგ დიდხანს ვერ დაიძინა...

**- „რეალი“ უკვე ლიდერია. რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში მოექეცით?**

- დიახ, ჩვენ ლიდერები ვართ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. რა თქმა უნდა, ლიდერობით ყველა მეტისმეტად ბედნიერია. ჩვენი შრომის შედეგებს ვიმკით. დარწმუნებული ვარ, რომ აბსოლუტურად ყველა გულშემატკივარი კმაყოფილი და ბედნიერია. ტყუილად არ ვამბობდით, ჩემპიონობის საუკეთესო შანსი გვაქვს-მეთქი. მჯერა, დარჩენილ ოთხ ტურში მოვლენები სამეფო კლუბისთვის სასიკეთოდ წარიმართება და ბოლოს სიზელესზე გავალთ.

**- „ბარსელონის“ წარუმატებლობა რამდენად მოსალოდნელი იყო?**

- გულწრფელად რომ გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, თუ კატალონიელები საშინაო შეხვედრაში ორ ქულას დაკარგავდნენ. სასიხარულოა, რომ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. ცხრილის სათავეში „რეალი“ მოექცა და ახლა უკვე ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ამიერიდან ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება, რას მოიმოქმედებს „ბარსელონა“. მთავარია, დარჩენილი ოთხი შეხვედრა მოვიგოთ და ჩემპიონები გავხდებით. მომავალს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დიდი ოპტიმიზმით ვუყურებ. სხვათა შორის, ჩემი თანაგუნდელებიც იმედიანად არიან განწყობილები.

**- იოლი შესაძლებელია, მომდევნო ტურში თქვენი უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდოს. „ბარსა“ „კალდერონზე“ „ატლეტიკოს“ ესტუმრება. უკლებლივ ყველა ექსპერტისვარაუდით, რიიკაარდის შეგირდებს სეზონის ყველაზე რთული და დაძაბული შეხვედრის გამართვა მოუწევთ...**

- მეც ასე ვფიქრობ. „ატლეტიკომ“ უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება მოიგო. ახლა მათ დიდი შანსი გაუჩნდათ, უეფას თასის საგზური მოიპოვონ. დარწმუნებული გახლავართ, „როხიბლანკო“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „ბარსელონასთან“ მატჩი აქტივისთვის სამი ქულის შემატებით დაასრულოს. იმედია, კატალონიელები „კალდერონზე“ სულ მცირე ორ ქულას დატოვებენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**- „ესპანიოლთან“ შეხვედრასაც შევეხოთ. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამტყდარი სიგიჟე? მომიტევეთ, მაგრამ ამ თამაშს სიგიჟის მეტს ვერაფერს ვუწოდებ.**

- მართლაც დაუჯერებელი თამაში გავმართეთ. ეიფორიამ მეორე დღესაც არ გამიარა. ბედნიერი ვიყავი, რომ „რეალმა“ გაიმარჯვა და მე გოლი გავიტანე. გოლსაც ხომ გააჩნია, ჩემი ბურთის წყალობით სამი ქულა მოვიპოვეთ. საღამოს კიდევ ერთი ბედნიერი სიახლე შევიტყვე. „ბეტისმა“ საოცარი საჩუქარი მოგვიძღვნა. გენიალური გრძნობაა, როცა აცნობიერებ, რომ პრიმერა დივიზიონს ლიდერობ. ჩემთვის ეს განცდა სრულიად ახალია. არგენტინაშიც დიდი კონკურენცია იყო, მაგრამ აქაურ ატმოსფეროს სულ სხვა სიმძაფრე ახლავს.

**- მაინც რითი იყო განსაკუთრებული „ესპანიოლთან“ მატჩი?**

- იმით, რომ ჩვენი ძალა ყველას დავანახეთ. „რეალმა“ დაამტკიცა, გამოააშკარავა და ხმამაღლა განაცხადა, რომ ჩემპიონის ტიტულს არავის დაუთმობს. თუნდაც გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე უამრავი წინაღობა წარმოგვექმნას. მაინც ყველა სირთულეს გადავლახავთ და სიზელესამდე მივალთ. მოგეხსენებათ, კატალონიელები 3:1 გვიგებდნენ. ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, მაგრამ მეორე ტაიმში საოცარი ფეხბურთი ვითამაშეთ. დარწმუნებული ვარ, დღეს „რეალს“ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია. დასანანია, რომ ჩვენი თამაში მხოლოდ ახლა ვიპოვეთ. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ჩემპიონთა ლიგას არ გამოვეთიშებოდით.

**- „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველი გოლი გაიტანეთ...**

- მადლობა ღმერთს, რომ ასე გამიმართლა. ვერ გადმოვცემ, რამხელა ბედნიერება განვიცადე. „რივერ პლეიტიდან“ გოლების გასატანად ჩამომიყვანეს. ბევრისთვის ჯერაც პატარა ბიჭი ვარ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. სხვადასხვა მიზეზის გამო, „ბერნაბეუზე“ აქამდე ვერ გავიტანე. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. საბედნიეროდ, ჩემი პირველი გოლი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

**- ამ გოლის შემდეგ კარგად გეძინათ?**

- როგორც გითხარით, ეიფორია ძალიან, ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა. არადა, ვფიქრობდი, რომ გონს მალევე მოვეგებოდი. თუმცა რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საწოლში გვიან ჩავწექი. რობერტო კარლოსმა მითხრა, აი, ნახავ დღეს მკვდარივით დაგეძინებაო. მისი სიტყვები არ გამართლდა. ბნელ ოთახში გულაღმა ვიწექი და თვალწინ ისევ „ესპანიოლთან“ მატჩი მიტრიალებდა. ბოლოს როგორც იქნა დამეძინა, თუმცა ისევ ის თამაში დამესიზმრა (იცინის).

**- რამდენიმე წელია, ასეთი გახარებული „სანტიაგო ბერნაბეუ“ არ მინახავს. ხალხი ისე ხარობდა და ხმაურობდა, თითქოს პრიმერა დივიზიონში გაიმარჯვეთ...**

- მატჩის მსვლელობისას სერიოზული პრობლემები შეგვექმნა და ჩემპიონობის შანსი საფრთხეში აღმოჩნდა. ბუნებრივია, ინჩასებმა ბევრი ინერვიულეს. ნაწილს სჯეროდა, რომ თამაშის ბედს შემოვატრიალებდით, თუმცა მათ შიში მაინც არ ტოვებდა. მეორე ნაწილს კი ყოველგვარი იმედი ჰქონდა დაკარგული. ბოლოს რაც მოხდა, ყველამ იხილეთ. სამეფო კლუბმა პრაქტიკულად წაგებული ორთაბრძოლა მოიგო. რა გასაკვირია, რომ ხალხმა ამით მეტისმეტად გაიხარა.

**- ეიფორიას თავი რომ დააღწიოთ, პრობლემაზეც გკითხავთ. რა მოხდა პირველ ტაიმში? როგორ მიეცით პანდიანის იმის უფლება, რომ სამი გოლი გაეტანა?**

- როგორც ყოველთვის, მოტივირებულები და მობილიზებულები გავედით. კატალონიელებმა უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს. სამ გოლს სიურპრიზის გარდა არაფერი ჰქვია. არანაირი ობიექტური გარემოება არ არსებობდა იმისთვის, რომ ურუგვაელს ჰეთ თრიკი შეესრულებინა. მადლობა ღმერთს, ბოლოს სამართალმა მაინც იზეიმა.

**- შესვენებაზე ერთმანეთს რა უთხარით?**

- გასახდელს თვალი გადავავლეთ და ყველამ ერთხმად ვთქვით, რომ ასე არ შეიძლებოდა. ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ თამაშს მოვიგებდით. იმედი წამითაც არ დაგვიკარგავს, რადგან ზუსტად ვიცოდით, შეცდომების გამოსასწორებლად რა უნდა გაგვეკეთებინა. გამარჯვება გონებაში იმდენად გვქონდა ჩამჯდარი, ერთი წამითაც არ დავეჭვებულვართ. მართალია, გოლი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე შევაგდეთ, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ ღელავდა. ფეხბურთი ზოგჯერ ძალიან იოლად პროგნოზირებადია. მოკლედ, შეუძლებელი გახლდათ, „რეალს“ ეს თამაში არ მოეგო.

**- კაპელომ რა გითხრათ? ის ალბათ, ძალიან ბედნიერია, რომ გამარჯვების გოლი სწორედ თქვენს ანგარიშზე ჩაიწერა...**

- არ მგონია, მისთვის მნიშვნელოვანი ყოფილიყო, თუ ვინ შეაგდებდა გამარჯვების ბურთს. მთავარი იყო, მოგვეგო. კაპელო ავტოგოლზეც არ იტყოდა უარს. თუმცა ჩვენს დამრიგებელს არ დავიწყებია, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გატანილი პირველი გოლი მოელოცა. მომილოცა და მითხრა, მომავალშიც დიდი წარმატებები გელისო.

**- მიმომხილველთა და გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ სამეფო კლუბის ბოლოდროინდელი წარმატებების მიზეზი გასაოცარი ერთსულოვნებაა. საინტერესოა, ამ საქმეში კაპელოს დიდი წვლილი მიუძღვის?**

- გუნდის ერთ მუშტად შეკვრა მწვრთნელის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა, თუმცა თუ ფეხბურთელებმა მას მხარი არ აუბეს არაფერი გამოვა. ჩვენს საუბრებსა და დისკუსიებს უკვალოდ არ ჩაუვლია. შედეგს ყველა ხედავს. „რეალის“ ფეხბურთელებმა ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ სეზონის დასრულებამდე ფეხბურთის გარდა არაფერზე ვიფიქრებთ. შესაძლოა, ვერავინ მხედავდეს და შემეძლოს, გვიან დავიძინო, მაგრამ ამას არაფრის გულისთვის გავაკეთებ, რადგან გაცნობიერებული მაქვს, რომ ჩემს მზადყოფნასა და კარგ თამაშზე მთელი გუნდის კეთილდღეობაა დამოკიდებული. დარწმუნებით, ჩვენთან ყველა ასე ფიქრობს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ემოციები საკვირაო ფიასკოს შემდეგ

# კრუიფი ერთობას ითხოვს

## მფრინავი ჰოლანდიელის აზრით, ახლა არა ტირილის, არამედ ერთად დგომის დროა...



იოჰან კრუიფი და ხუან ლაპორტა

**იოჰან კრუიფმა** „ლა ბანგვარდიის" ორშაბათის ნომრის ტრადიციული სვეტი „ბარსელონის" კრიზისულ სიტუაციასა და კონკრეტულად „ბეტისთან" განცდილ წარუმატებლობას მიუძღვნა. ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა სტატია გლობალური თემის განხილვით დაიწყო: *„ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ვთქვი, რომ ნებისმიერი გუნდის წარმატებების ციკლი 3-4 წელს გრძელდება. მაშინ „ბარსელონა" საუცხოოდ გამოიყურებოდა. გუნდი ყველა ფრონტზე იბრძოდა. ბევრმა შურიან ადამიანად მომნათლა, მაგრამ მე ობიექტური გარემოებები მალაპარაკებდა. იმისათვის, რომ წარმატებათა ციკლი 3-4 წელინადზე მეტ ხანს გაგრძელდეს, აუცილებელია ცვლილებები განხორციელდეს. კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებს კი თითქმის არანაირი ნოვაცია არ შემოუთავაზებიათ. როგორც ხედავთ, სეზონის მიწურულს „ბარსა" კატასროფული შედეგების წინაშე აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ გუნდმა მადრიდში ფიასკო განიცადა. ახლა „ბეტისთან" ორი ქულა დაიკარგა და „რეალი" გალიდერდა. ვგრძნობდი, ასე იქნებოდა. ტყუილად არ მითქვამს, ციკლი 3-4 წელზე მეტ ხანს არ გაგრძელდება, თუ რადიკალური ცვლილებები არ გატარდამეთქი. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ „ბარსელონის" ფანტასტიკური ციკლი, რომელმაც „კამპ ნოუზე" ესპანეთის ჩემპიონის ორი ტიტული და ჩემპიონთა თასი მოიტანა, დასასრულს მიუახლოვდა."*

დაგვეთანხმებით, კრუიფი უჩვეულოდ დაუნდობელი, კრიტიკული და პესიმისტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა სტატიის მომდევნო მონაკვეთში ის საოცრად კორექტული, გულისხმიერი და მგძნობიარეა: *„მაგრამ ახლა ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილების დრო არ არის. თეორია თეორიაა, რომელიც ერთმა გოლმა შეიძლება სანაგვეში მოისროლოს. ბედნიერი ვიქნები, თუ ასე მოხდება. წინ ოთხი მატჩია. ახლა კი არ უნდა ვიტიროთ, არამედ ერთად უნდა დავდგეთ და დაკარგული პირველი ადგილი დავიბრუნოთ. შეუძლებელი არაფერია. ყველას მოვუწოდებ, კვანძის გახსნამდე ემოციები მოთოკოს და გუნდის სიმშვიდესა და ერთსულოვნებას ზიანი არ მიაყენოს. რა თქმა უნდა, ყველა ხედავს, „ბარსა" ცუდ მდგომარეობაშია. ფეხბურთელებს ძალა აქვთ გამოცლილი. ცხადია, სამუშაო არასწორად იქნა წარმართული, მაგრამ გევედრებით, დღეს, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. დღეს ჩვენ ყველა ფრანკ რიიკაარდები ვართ. ვისაც უნდა რონალდინიო, მესი, ან დეკუ იყოს. მოკლედ, ვისთვისაც „ბარსას" კეთილდღეობა სულ ერთი არ არის, ჩუმად უნდა იყოს. მნიშვნელობა მართლაც არ აქვს, ტრიბუნაზე ვზივართ, ტელევიზორს ვუყურებთ, თუ მოედანზე ვთამაშობთ. ფეხბურთელი, ექსპერტი და გულშემატკივარი ერთ ორგანიზმად თუ გარდაიქმნება, „ბარსელონა" დაკარგული პოზიციის დაბრუნებას შეძლებს.*

დაპირისპირება

# ვიგანი ვესტ ჰემის წინააღმდეგ

## პოლ ჯუელმა თანამდებობა დატოვა, შემდეგი გაჩერება მანჩესტერ სიტი?

**კარლოს ტევესის** გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩი მის ვესტჰემურ კარიერაში, შეიძლება, უკანასკნელი აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, მისი და **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერებისათვის "ჩაქუჩები" 5.5 მილიონი გირვანქით დააჯარიმეს. გარიგება კანონმდებლობის უხეში დარღვევით განხორციელდა. პრემიერლიგის სატრანსფერო რეგლამენტი კატეგორიულად კრძალავს კონტრაქტის გაფორმებას იმ ფეხბურთელთან, რომელიც მესამე მხარის საკუთრებაა. ტევესისა და მასკერანოს შემთხვევაში, მესამე მხარე **კია ჯურაბჩიანის** კონსორციუმი MSI (მედია სპორტს ინვესტმენტი) იყო და არა "კორინთიანსი", საიდანაც არგენტინელი ფეხბურთელები აიყვანეს. ფინანსური სანქცია ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე შევიდა ძალაში. ფეხბურთელს დარჩენილი მატჩები უნდა გაეცდინა, მაგრამ "ვესტ ჰემი" და MSI ასე მორიგდნენ: ჯურაბჩიანი ტევესთან დროებით წყვეტდა ურთიერთობას, თავდამსხმელს კი თამაშის გაგრძელების საშუალება ეძლეოდა. თუ ლონდონელები კარლოსს გაყიდიან, კონსორციუმი თავის წილ სარგებელს მიიღებს.

რატომ დააკისრეს "ვესტ ჰემს" მხოლოდ ფინანსური სანქცია და არ ჩამოაკლეს ქულები? ესაა კითხვა, რომელსაც ბოლო ტურის წინ "ვიგანისა" და "შეფილდ იუნაიტედის" პრეზიდენტები, **დეივ ველანი** და **კევინ მაკეიბი** სვამდნენ. "ჩაქუჩებისთვის" ქულების ჩამოკლების შემთხვევაში, ეს კლუბები ავტომატურად დარჩებოდნენ პრემიერლიგაში. კვირას "ვიგანი" შეფილდში ჩავიდა და 2:1 გაიმარჯვა. მასპინძლები გავარდნენ, სტუმრები დარჩნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, ვიგანელები "ვესტ ჰემის" წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ. რატომ? იმიტომ, რომ მათი აზრით, ლონდონური კლუბი ისევ არღვევს სატრანსფერო კანონმდებლობას, რაკი MSI-სთან შეთანხმება მხოლოდ ფორმალურად აქვს შეწყვეტილი. პრემიერლიგას ამ საკითხზე ახალი კომენტარი არ გაუკეთებია.

ამასობაში, "ვიგანის" თავკაცი **პოლ ჯუელი** გადადგა. მისი ადგილი მეორე მწვრთნელმა **კრის ჰაჩინსმა** დაიკავა. ეს სვლა პროგნოზირებადი იყო. 42 წლის ჯუელმა ჩათვალა, რომ უმაღლეს დივიზიონში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ახალი სამსახური უნდა მოეძებნა - ის და "ვიგანი" ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. მიმომხილველთა ვარაუდით, გაისად "ვიგანი" ერთ-ერთი აუტსაიდერი იქნება. მათი ყოფილი დამრიგებელი კი უფრო დიდ კლუბში გააგრძელებს კარიერას. პოლს "მანჩესტერ სიტიში" მისვლას უწინასწარმეტყველებენ. წუხელ "სიტიმ" კარისკენ მიუთითა **სტიუარტ პირსს**. მის დათხოვნას მარტშიც აპირებდნენ, მაგრამ გადარჩა, სამაგიეროდ, ბოლო ოთხ ტურში სამმა დამარცხებამ მოუსწრაფა კარიერა. პირსის შეგირდებმა სეზონი ერთი ანტირეკორდით დაასრულეს: მათ საკუთარ მოედანზე მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 9 ბურთი გაიტანეს. ახალი სამსახურის შოვნამდე სტიუარტი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიქცევს თავს. ის ამ გუნდის დროებით მწვრთნელია.

ჯუელი "ვიგანში" 2001 წელს მივიდა. იმ დროს კლუბი მეორე დივიზიონში ბინადრობდა. 2003 წელს ვიგანელები პირველ დივიზიონში ალზევდნენ, 2005 წელს კი - პრემიერლიგაში. პრემიერლიგის სადებიუტო სეზონში ჯუელის გუნდმა მე-10 ადგილი დაიკავა და ლიგის თასის ფინალში გავიდა. წელს კი ბეწვზე გადაურჩა დაქვეითებას. ვიგანელებს პრემიერლიგაში ყველაზე მცირე ბიუჯეტი აქვთ. ისინი ბევრი ქომაგითაც ვერ დაიკვეხნიან, რადგან ისეთ ადგილას ბინადრობენ, საიდანაც გულშემატკივრებს ხელის განვდენით მანძილზე ჰყავთ "ლივერპული", "ევერტონი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "მანჩესტერ სიტი".



კარლოს ტევესი

ინტერვიუ ფრანკ რიიკაარდთან

# ჩვენი შანსები მხოლოდ გაფერმკრთალდა

## ჰოლანდიელს სჯერა, რომ მისი ბიჭები ჩემპიონები გახდებიან...

**კრუიფის მოწოდებას საზოგადოების უდიდესი ნაწილი გაგებით გამოეხმაურა. ისინიც ფიქრობენ, რომ თავდასხმებისა და კრიტიკის დრო ჯერ არ დამდგარა. მაშინ, როცა სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, ჭკუის სწავლება სასურველ შედეგს არ გამოიღებს. მოკლედ, ხალხი მზადაა აქტუალური კითხვები მომავლისთვის გადადოს, ოღონდ „ბარსა" ჩემპიონი გახდეს... და მაინც, კატალონიურ საფეხბურთო წრეებში ყველა ერთნაირად არ ფიქრობს. ფრანკ რიიკაარდის გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ბარსას" სიყვარულით გულანთებულმა რამდენიმე გულშემატკივარმა ვერ მოითმინა და ჰოლანდიელ სპეციალისტს ლიად შეუტია.**



ფრენკ რიიკაარდი

**- ეს თქვენი დანაშაულია. პასუხი უნდა აგოთ იმ გაწბილებული ადამიანების წინაშე, რომლებმაც სტადიონი გაოგნებულებმა დატოვეს.**

- ძალიან გთხოვთ, ერთმანეთის მიმართ კორექტულები ვიყოთ. პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ, მაგრამ საუბრისა და აზრების გაზიარებისთვის ელემენტარული კულტურაა საჭირო. ძალიან გთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**- იოლი სათქმელია. როგორ უნდა ვიყო მშვიდად, როცა პირველი ადგილი დავკარგეთ.**

- მეც ძალაინ დამწუხრებული ვარ, მაგრამ ეს არ იყო სეზონის უკანასკნელი მატჩი.

**- შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

- ბოლო წუთებს თუ არ ჩავთვლით, ყვლაფერი კარგად გავაკეთეთ. საუბედუროდ, ერთმა შეცდომამ ყველაფერი ჩვენთვის საწინააღმდეგოდ შემოატრიალა. აი, ასეთია ჩემი შეფასება.

**- სობისის გოლისას რომელი ფეხბურთელი შეცდა?**

- კონცენტრაცია დავკარგეთ. ზოგჯერ ასეც ხდება. არადა, ვალდებულები ვიყავით, ბოლო წამამდე გვებრძოლა. როგორც ჩანს, ბიჭები დაიღალნენ და გადაწყვიტეს, რომ თამაში მოგებული იყო

**- აგვიხსენით, რატომ შეცვალეთ რონალდინიო?**

- რონადლინიოს შეცვლის მიზეზი ანგარიშის შენარჩუნების სურვილი გახლდათ. იმედი მქონდა, რომ ედმილსონის გამოყვანით ნახევარდაცვა და შუახაზი დამატებით ძალას მიიღებდა. საუბედუროდ, ვერ შევძელით საქმე გამარჯვებამდე მიგვეყვანა.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩემპიონობის შანსი დაკარგეთ?**

- არა, ჩვენი შანსები მხოლოდ გაფერმკრთალდა. „ბარსელონა" ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე იბრძოლებს. იმედია, შემდგომ ტურებში ისევ ჩვენ გავიხარებთ.

**- გჯერათ, რომ თქვენს გუნდს წამოდგომის უნარი შესწევს?**

- რა თქმა უნდა. „ბეტისთან" მატჩში ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ანდალუსიელებმა დაგვჩაგრეს. სტუმრებმა ორი მომენტი შექმნეს და ერთი ბურთი შეგვიგდეს. ჩვენ კი მრავალი შანსი გავუშვით ხელიდან.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მწვრთნელი

# ვოლფსბურგი აუგენტალერს უშვებს

გაზეთ "ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელის **კლაუს აუგენტალერის** პოსტიდან გათავისუფლება გადაწყვეტილი ამბავია. მიუხედავად იმისა, რომ აუგემ "მგლები" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა, გუნდის ხელმძღვანელებს მისი მუშაობა არ აკმაყოფილებთ (მხოლოდ 11 მოგება 50 შეხვედრაში). საქმე იმაშია, რომ "ვოლფსბურგი" შარშანაც ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას და მას მერე აუგენტალერმა გუნდს ვერანაირი პროგრესი ვერ დაატყო, არადა ამ გუნდს გაცილებით დიდი ამბიციები აქვს, ვიდრე ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაა. როგორც ჩანს, ამას თვითონ მწვრთნელიც შეეგუა. *"ცხოვრებაში ორი რამ ცხადია. პირველი: ადამიანი აუცილებლად კვდება. მეორე: მწვრთნელს, როცა იქნება, აუცილებლად ათავისუფლებენ!"* - აცხადებს აუგე.

აქვე გეტყვით, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობას ვერ შეინარჩუნებენ "ჰერტას" დროებითი თავკაცი **კარსტენ ჰაინე**, რომელიც ისევ მოყვარულთა გუნდში დაბრუნდება და "ალემანიის" თავკაცი **მიხაელ ფრონტცეკი**, რომელმაც აახენური კლუბი ბუნდესლიგაში ვერ დატოვა. თუ ეს სამი მწვრთნელი მართლაც გაავდეს, მაშინ გამოდის, რომ ბუნდესლიგის ამ სეზონმა სულ 13 სპეციალისტი შეიწირა, რაც გერმანიის ჩემპიონატების ისტორიაში აბსოლუტური რეკორდი იქნება.

### ჟიული დომენეკის ცოლის საყვარელი?

ფრანგული მედია სენსაციურ ინფორმაციას აქვეყნებს: **რაიმონ დომენეკი ლუდოვიკ ჟიულის** ნაკრებში იმიტომ არ იძახებს, რომ ამ უკანასკნელს რომანი ჰქონდა მწვრთნელის მეუღლესთანო. "ჟორნალ დუ დიმანშში" ვკითხულობთ, რომ 2005 წლის შემოდგომაზე ჟიულიმ რამდენიმე სმს გაუგზავნა **ესტელ დენისს**. ჟიულიმ ბრალდებას ასე უპასუხა: *"თავის დროზე, როცა ეს ამბავი ატყდა, დომენეკთან შეხვედრა ვცადე. მინდოდა, მისთვის ამეხსნა, რომ ესტელთან ურთიერთობა არასოდეს მქონია, მაგრამ მწვრთნელმა საუბარი არ ისურვა."*

### შავიერი ბექჰემთან

**აბელ შავიერი** დევიდ ბექჰემის თანაგუნდელი გახდა. "მიდლსბროდან" წასულმა პორტუგალიელმა მცველმა მხოლოდ რამდენიმე დღეე გაატარა უსაქმურად და "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" გააფორმა კონტრაქტი. შეთანხმების ფინანსური ფინანსური დეტალები უცნობია. მხარეები წელიწადნახევრის განმავლობაში ითანამშრომლებენ.

### ემერსონი ოლივეირას ნაცვლად

"რეალი" და "მილანი" საინტერესო გარიგებას ამზადებენ. "კონტროკამპოს" ცნობით, **ემერსონი** "როსონერიში" გაემგზავრება, **რიკარდო ოლივეირა** და სამეფო კლუბს მიაშურებს. გრანდებს მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ. ცნობილია, რომ ემერსონმა "რეალში" იმედები ვერ გაამართლა. ფეხბურთელს იტალიაში დაბრუნება სურდა და როგორც ჩანს, სურვილს მალე აიხდენს.

საქართველოს
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტი წარმოგიდგენთ
GEORGIA

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# დღეს ფინალი იწყება

| | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი. | მაკაბი | 17 | 639 | 37.6 |
| 2. ზვიად ბაბიაშვილი. | ავიამშენი | 27 | 597 | 22.1 |
| 3. ნოდარ ბერაია. | სტუ | 21 | 425 | 20.2 |
| 4. დავით გვიმრაძე. | დინამო | 23 | 376 | 16.3 |
| 5. ბესიკ ლეჟავა. | თსუ | 28 | 457 | 16.3 |
| 6. სოსო შერმადინი. | მაკაბი | 25 | 366 | 14.6 |
| 7. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 23 | 335 | 14.6 |
| 8. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 26 | 377 | 14.5 |
| 9. შიო ხეცურიანი | თსუ | 24 | 341 | 14.2 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 25 | 345 | 13.8 |
| 11. გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 338 | 13.5 |
| 12. გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 24 | 304 | 12.7 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 26 | 327 | 12.6 |
| 14. გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 11 | 139 | 12.6 |
| 15. კოტე ტულუში | აზოტი | 25 | 313 | 12.5 |
| 16 .ლუკა შანიძე | თსუ | 28 | 339 | 12.1 |
| 17. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 24 | 289 | 12.0 |
| 18. ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 27 | 316 | 11.7 |
| 19. გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 28 | 321 | 11.5 |
| 20. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 22 | 251 | 11.4 |
| 21. შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 284 | 11.4 |
| 22. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 27 | 304 | 11.3 |
| 23. ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 27 | 302 | 11.2 |

| | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 239 | 14.1 |
| 2. სოსო შერმადინი | მაკაბი | 25 | 224 | 9.04 |
| 3. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 27 | 235 | 8.7 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 26 | 209 | 8.0 |
| 5. გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 171 | 6.8 |
| 6. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 27 | 180 | 6.7 |
| 7. დავით მაისურაძე | სტუ | 21 | 139 | 6.6 |
| 8. ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 27 | 154 | 5.7 |
| 9. პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 22 | 121 | 5.5 |
| 10 .ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 23 | 120 | 5.2 |
| 11. დავით გვიმრაძე | დინამო | 23 | 119 | 5.2 |
| 12. ირაკლი ჯგერენაია | მაკაბი | 9 | 46 | 5.1 |
| 13. კოტე ტულუში | აზოტი | 25 | 119 | 4.8 |
| 14. ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 99 | 4.7 |
| 15. შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 117 | 4.7 |
| 16. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 23 | 107 | 4.7 |
| 17. დავით ბარბაქაძე | ავიამშენი | 12 | 56 | 4.7 |

| | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოიან მალოშევიჩი | აზოტი | 9 | 53 | 5.9 |
| 2. ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 147 | 5.9 |
| 3. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 24 | 121 | 5.0 |
| 4. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 26 | 128 | 4.9 |
| 5. შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 115 | 4.6 |
| 6. დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 25 | 105 | 4.2 |
| 7. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 23 | 94 | 4.1 |
| 8. კოტე ტულუში | აზოტი | 25 | 100 | 4.0 |
| 9. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 68 | 4.0 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 25 | 94 | 3.8 |
| 11. შიო ხეცურიანი | თსუ | 24 | 86 | 3.6 |
| 12. ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 74 | 3.5 |
| 13. ზურაბ ბადრიძე | დინამო | 25 | 84 | 3.4 |
| 14. გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 27 | 88 | 3.3 |
| 15. ბუბა ბერიშვილი | თსუ | 27 | 86 | 3.2 |
| 16. ნიკო ნოზაძე | დინამო | 28 | 89 | 3.2 |

| | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბუბა ბერიშვილი | თსუ | 27 | 71 | 2.6 |
| 2. შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 61 | 2.4 |
| 3. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 24 | 53 | 2.2 |
| 4. ნიკო ნოზაძე | დინამო | 28 | 59 | 2.1 |
| 5. ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 27 | 56 | 2.1 |
| 6. კოტე ტულუში | აზოტი | 25 | 49 | 2.0 |
| 7. ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 49 | 2.0 |
| 8. ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 39 | 1.9 |
| 9. ზურაბ ბადრიძე | დინამო | 25 | 45 | 1.8 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 25 | 43 | 1.7 |
| 11. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 26 | 39 | 1.5 |

| | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 39 | 2.3 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 26 | 30 | 1.2 |
| 3. პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 22 | 22 | 1.0 |
| 4. გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 13 | 0.5 |
| 5. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 27 | 14 | 0.5 |
| 6. ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 27 | 13 | 0.5 |
| 7. დავით გვიმრაძე | დინამო | 23 | 11 | 0.5 |
| 8. გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 11 | 5 | 0.5 |

| | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 115 | 6.8 |
| 2. ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 113 | 4.5 |
| 3. შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 109 | 4.4 |
| 4. გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 24 | 90 | 3.8 |
| 5. ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 25 | 91 | 3.6 |
| 6. ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 75 | 3.6 |
| 7. სოსო შერმადინი | მაკაბი | 25 | 78 | 3.1 |
| 8. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 24 | 73 | 3.0 |
| 9. დავით მაისურაძე | სტუ | 21 | 63 | 3.0 |
| 10. გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 24 | 71 | 3.0 |
| 11. გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 73 | 2.9 |
| 12. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 28 | 79 | 2.8 |
| 13. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 27 | 74 | 2.7 |
| 14. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 26 | 66 | 2.5 |
| 15. დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 25 | 59 | 2.4 |

**1/2 ფინალი**

**აზოტი–დინამო 101:80**
**აზოტი–დინამო 92:72**
**დინამო–აზოტი 78:96**
**ავიამშენი–თსუ 109:104**
**ავიამშენი–თსუ 102:97**
**თსუ–ავიამშენი 86:100**

**ფინალები (სამ მოგებამდე)**

15 მაისი, რუსთავი
**17:00. აზოტი–ავიამშენი**
16 მაისი, რუსთავი
**17:00. აზოტი–ავიამშენი**
18 მაისი, თბილისი
**16:00. ავიამშენი–აზოტი**
19 მაისი, თბილისი
**16:00. ავიამშენი–აზოტი***
21 მაისი, რუსთავი
**17:00. აზოტი–ავიამშენი***

**მე-3 ადგილისთვის (ორ მოგებამდე)**

15 მაისი, თბილისი
**13:00. თსუ–დინამო**
16 მაისი, თბილისი
**13:00. დინამო–თსუ**
18 მაისი, თბილისი
**13:00. თსუ–დინამო***

**- თუ საჭირო გახდა*




ბურთით - ნახევარფინალების საუკეთესო მოთამაშე ზვიად ბაბიაშვილი

დღეს საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერია დაიწყება. ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს შარშანდელი ფინალისტები რუსთავის "აზოტი" და თბილისის "ავიამშენი" იბრძოლებენ.

სერია სამ მოგებამდეა და საწყის ორ მატჩს ქვემოქართლელები უმასპინძლებენ. გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" ორივე გუნდის წარმომადგენლები უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ პრესკონფერენცია არ ჩატარდა (რატომ? ამ კითხვაზე ვერც ჩვენ გიპასუხებთ). თუმცა, გადამწყვეტი სერიის წინ მწვრთნელებმა მცირე კომენტარები მაინც არ დაიშურეს.

ჯერ "აზოტის" თავკაც **დავით უსტიაშვილს** დავურეკეთ: *"ფინალებისთვის რუსთავში ვემზადებოდით და ვფიქრობ, გუნდი მოსაგებად მზადაა. საბედნიეროდ არც ტრავმიანობას ვუჩივით და ძალიან გვინდა, "აზოტის" ქომაგებს იმედი გავუმართლოთ. რუსთავური გუნდი ხომ არაერთხელ მოხვდა ფინალში, მაგრამ მიზნისთვის ერთხელაც არ მიუღწევია."*

"ავიამშენის" მწვრთნელის **ლევან მოსეშვილის** საუბრიდან გამომდინარე, დარჩა შთაბეჭდილება, რომ ის ფავორიტად "აზოტს" მიიჩნევს, თუმცა ზედიზედ მეორედ ოქროს მოსაპოვებლად ბრძოლას აპირებს: - *ბევრის აზრით, ფინალური სერია "აზოტმა" უნდა მოიგოს. ვეცდებით მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ, თუმცა, ვერც იმას ვიტყვით გამარჯვების შანსი ჩვენ არ გვაქვს-მეთქი. ვფიქრობ, ბევრს გადაწყვეტს რუსთავში გასამართი საწყისი ორი მატჩი, მათგან რომელიმეს მოგება ჩემპიონობის შანსს გაგვიზრდის. ტრავმირებულები არ გვყავს. დაგვიბრუნდა კაპიტანი ირაკლი ხოშტარია, რომელსაც 15 დღე არ უვარჯიშია. ირაკლი ფორმის აღდგენას იმ შემთხვევაში მოასწრებს, თუ სერია ხუთ მატჩამდე გაგრძელდება.*

დაველოდოთ 17 საათს, როცა რუსთავში "აზოტისა" და "ავიამშენის" კალათბურთელები მოედანზე ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან.

ახლა ცხრილებს მივხედოთ, რომლებშიც ნაჩვენებია ჩემპიონატის საუკეთესოთა მონაგარი, რეგულარული პირველობისა და ნახევარფინალის ჯამური სტატისტიკის მიხედვით.

შეგახსენებთ, რომ როგორც "აზოტს" "დინამოს" დასამარცხებლად, ასევე "ავიას" თსუ-ს ძლევისთვის სამი მატჩი დასჭირდათ.

სუპერლიგის ინიციატივით მოწყობილ გამოკითხვაში ნახევარფინალის პირველი დღის MVP-დ "ავიატორი" **ზვიად ბაბიაშვილი** (28 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა) დასახელდა. მეორე დღეს საუკეთესო ზვიადის თანაგუნდელი **ირაკლი ბერიშვილი** (42 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა) იყო. ხოლო მესამე დღეს №1-ის ტიტული ბაბიაშვილმა დაიბრუნა - 34 ქულა, 15 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## სუმო

# ისევ ოძეკი, კვლავ მარცხი

მაისის ბაშოზე ორი დღის შემდეგ ქართველი სუმოისტი **ლევან ცაგურია** (კოკაი) ჯერ გაუმარჯვებელია. კოკაი მეორე დღესაც ოძეკის ხვდებოდა. მას არც მონღოლ **ჰაკუჰოსთან** გამოუვიდა რამე და უვატენაგეს ილეთით დამარცხდა. ჰაკუჰომ მარცხენა ხელით კოკაის მავაში იგდო და ეფექტური გდებით მეტოქე დოჰიოს დაანარცხა. დღეს კოკაის მეტოქე პირველ მაეგაშირა ჰომაშოს შეხვდება, ურთიერთშეხვედრებში იაპონელი 2:1-ს იგებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



**ნაცუ ბაშო (მაისის სუპერტურნირი)**

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ჰაკუჰო 0:1 (უვატენაგე), ასაშორიუ-ჰომაშო 1:0, კოტოოშუ-ტოიონოშიმა 1:0, კაიო-კოტოშოგიკუ 1:0, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ 1:0, ამა-ტოინოშიმა 1:0, კოტომიცუკი-კაკიძოე 1:0, კისენოსატო-ტოჩიოძანი 1:0, ამინიშიკი-ტაკეკაძე 1:0, კასუგაო-კაკურიუ 1:0, ტაკამისაკარი-ტოკიცუუმი 1:0, ვაკანოსატო-როჰო 1:0.

III დღე. კოკაი-ჰომაშო, ასაშორიუ-კისენოსატო, კაიო-კაკიძოე, ჩიოტაიკაი-კოტოშოგიკუ, ჰაკუჰო-ტამანოშიმა, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, კოტომიცუკი-ამინიშიკი, ამა-ტოიონოშიმა, ტოკიტენკუ-ტაკეკაძე, ვაკანოსატო-კაკურიუ, ასასეკირიუ-ტოკიცუუმი, მიაბიამა-კასუგაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## ჯობავა რუსეთის პირველობაზე

საქართველოს საუკეთესო მოჭადრაკე **ბაადურ ჯობავა** რუსული კლუბის "ლადიას" წევრი გახდა და გასულ კვირას რუსეთის საკლუბო ჩემპიონატშიც ითამაშა. "ლადია" ქალაქ ყაზანის გუნდია და კარგი მოჭადრაკეებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ სხვათა ფონზე მძლავრად ვერ გამოიყურება: ათკლუბიან ჩემპიონატში, სადაც ექვს დაფაზე მიდის თამაში, "ლადია" საშუალო რეიტინგით მეცხრეა და მხოლოდ ქალაქ სარანსკის გუნდს უსწრებს. არადა სარანსკში პირველ დაფაზე **ვასილი ივანჩუკი** (2729) თამაშობს, მეორეზე - **ანდრეი ვოლოკიტანი** (2654) - მესამე **ევგენი ნაიერია** (2624), მეოთხე დაფა - **სერგეი ვოლკოვი** (2640), მეხუთე - **მიხეილ ქობალია** (2639). სულ გუნდში 8 წევრია.

ჯობავა მესამე დაფაზე თამაშობდა - პირველზე რუსი **სერგეი რუბლიოვსკი** იყო (2680), მეორეზე **არტიომ ტიმოფეევი** (2658). ბაადურსაც ტიმოფეევის ტოლი რეიტინგი აქვს - 2658. ახლა წარმოიდგინეთ სხვა კლუბთა შემადგენლობა...

წრიული სისტემით, 9 ტურად ჩავლილ ჩემპიონატში ჯობავას კლუბმა მერვე ადგილი დაიკავა 5 ქულით და "სამხრეთ ურალსა" და "პოლიტექნიკს" გაუსწრო. პირველობა კი ტომსკის გუნდს ერგო, რომელმაც 18 შესაძლებლიდან 18 ქულა აიღო, ანუ ყველა შეხვედრაში იმარჯვა. მიხვდით ალბათ, რომ მოგებისთვის 2 ქულა ენიჭებოდა გუნდს, ყაიმზე - 1, წაგებაზე კი - 0. ტომსკელთა რიგებში თამაშობდნენ: **ალექსანდრ მოროზევიჩი** (2762); **დმიტრი იაკოვენკო** (2708); **სერგეი კარიაკინი** (2686); **რუსტამ კასიმჯანოვი** (2677); **ერნესტო ინარკიევი** (2669); **ვლადისლავ ტკაჩოვი** (2652); **ვიორელ ბოლოგანი** (2636) და **პაველ სმისნოვი** (2631). ასეთი შემადგენლობით გამარჯვება ნამდვილად არ გახლავთ უცნაური...

ბაადურმა თავის დაფაზე ცხრავე პარტია ითამაშა, მაგრამ დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის: ორი მოიგო, სამში დამარცხდა და ოთხი ყაიმით დაასრულა.

**ზვიად შათირიშვილი**

## ვერც სისწრაფეში ვივარგეთ

ჰეიდარ ალიევის სახელობის საჭადრაკო ფესტივალი 11 მაისს დასრულდა, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობას ბაქო არ დაუტოვებია და მეორე დღეს კვლავ მიუსხდა საჭადრაკო დაფებს - ამჯერად სწორედ ბლიცში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 19 ქართველიდან ბლიცში თამაში რვამ ისურვა: **კონსტანტინე შანავამ, დავით შენგელიამ, ლევან აროშიძემ, ბაჩანა მორჩიაშვილმა, ივერი ჭილაძემ, ნინო ბაციაშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა და ანა გავაშელმა.**

რეიტინგფავორიტი ამჯერად შვეიცარიელი **ვადიმ მილოვი** იყო და მანაც შესანიშნავად შეიფერა პირველობა - ერთი ტურით ადრე გაინაღდა გამარჯვება; საბოლოოდ კი 8 ქულით დაასრულა ტურნირი. შესანიშნავად ითამაშეს მასპინძლებმა - მეორედან მეშვიდეს ჩათვლით სატურნირო საფეხურებზე აზერბაიჯანელები განლაგდნენ; მერვე უკრაინელი იყო, მაგრამ წარმოშობით ისიც აზერბაიჯანელია - **ელდარ გასანოვი**. ქართველთა მონაგარი კი აქაც მწირია - საუკეთესო შედეგი **დავით შენგელიას** აღმოაჩნდა, რომელმაც 6 ქულით მეათე ადგილი დაიჭირა. მეცამეტე იყო **ლევან აროშიძე; კონსტანტინე შანავა** - 21-ე.

იმედი გვქონდა, რომ ქალთა შორის მაინც ვიმარჯვებდით, მით უფრო, რომ **ბელა ხოტენაშვილი** მშვენივრად მიდიოდა წინ, თუმცა ბოლო ტურში, უშუალო კონკურენტთან, **ნარგიზ უმუდოვასთან** შავებით დამარცხდა და პირველობაც, და 100-დოლარიანი პრიზიც მას გადაუღოცა.

**ზვიად შათირიშვილი**

1. ვადიმ მალოვი (შვეიც. 2675)-8.
10. დავით შენგელია (2523)-6.
13. ლევან აროშიძე (2500)-6.
21. კონსტანტინე შანავა (2532)-5.5.
29. ბელა ხოტენაშვილი (2301)-5.
41. ივერი ჭილაძე (2346)-4.5.
55. ანა გავაშელი (2175)-4.
57. ნინო ბაციაშვილი (2317)-3.5.
78. ბაჩანა მორჩიაშვილი (2396)-2.5

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## ოქსანას ასორმოცდაათი

გუშინ ATP-ისა და WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყდნა. **ირაკლი ლაბაძემ** კიდევ 8 ადგილი დაკარგა იძულებითი უქმობის გამო, ირაკლი მსოფლიოს მე-200 ჩოგბურთელია. ლაბაძეს 202 ქულა აქვს, მას მაისის ბოლოს ეტლინგენის ჩელენჯერში შარშან მიღებული 22 ქულაც დააკლდება და ორასეულიდანაც გავარდება. სამი წლის წინათ ლაბაძე მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო. ორი საფეხურით წაიწია წინ **ლადო ჩიხლაძემ**, ლადო მსოფლიოს 466-ე ჩოგანია, მას 60 ქულა აქვს. **ნოდარ ითონიშვილი** 1330-ე ჩოგანია.

ქალთა რეიტინგში **მაკა ჩახნაშვილი** მსოფლიოს 150-ე ჩოგანია (+2), მაკას 206 ქულა აქვს. წლის რბოლაში მაკა 168-ე ადგილზეა, წყვილთა რეიტინგში - 179-ეზე. წინ წაიწია **ანა ტატიშვილმა**, მას 68 ქულა აქვს და კლასიფიკაციაში 318-ე პოზიციაზე იმყოფება, რაც წინა კვირის შედეგს 14 ადგილით სჯობს. წლის რბოლაში ტატიშვილი 201-ე ადგილზეა. **სალომე დევიძემ** და **სოფიო მელიქიშვილმა** უკან დაიხიეს, დევიძე 538-ე ჩოგანია (-11), ხოლო მელიქიშვილი - 560-ე (-17). **სოფიო შაფათავა** 15 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 706-ე ჩოგანია, მან ერთ კვირაში 12 პოზიცია დაკარგა. კვირის ნახტომი კი **ოქსანა კალაშნიკოვას** ეკუთვნის, 16 წლის ჩოგბურთელმა ზუსტად 150 საფეხურით წაიწია წინ და კლასიფიკაციაში 767-ე ადგილზე მოკალათდა. სხვა ქართველები: 780 (-11) **ეკა გორგოძე**, 837 (-23) **მანანა შაფაქიძე**, 1071 (-5) **თეონა ცერცვაძე**, 1089 (-6) **სოფიო ქვაცაბაია** და 1308 (+2) **მარიამ ქურდაძე**.

## ჩახნაშვილი რუსის წინააღმდეგ

ფრანგულ სენ გოდენში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი (50 ათასი დოლარი), სადაც მე-4 ნომრად არის განთესილი **მაკა ჩახნაშვილი**. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი რუს ევგენია როდინას (174) შეხვდება.

ანთალიაში ალი ბეის კლუბის კორტებზე 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო. საკვალიფიკაციო ბრძოლებში ხუთი ქართველი ჩაება. **სოფიო ქვაცაბაია** პირველივე წრეში თანამემამულეს გადაეყარა, და ნათია გეგიას მოუგო - 6:1, 6:4. **მანანა შაფაქიძე, სოფიო შაფათავა და თინათინ ყავლაშვილი** პირველ წრეში ისვენებდნენ. ქვაცაბაიამ მეორე წრეში მე-15 ნომრად განთესილი ბელარუსი ვოლჰა დუკო დაამარცხა - 6:3, 6:2. ყავლაშვილი თურქ კაგლა ბუიუქაქჩაისთან დამარცხდა - 6:4, 4:6, 6:7. შაფაქიძემ ებრაელ იულია გლუშკოსთან წააგო - 1:6, 7:5, 6:7. მოიგო შაფათავამ, რომელმაც რუსი ანჟელიკა ბალიუკი დაამარცხა - 6:2, 6:1. ფინალურ ეტაპზე ქვაცაბაიამ მე-2 ნომრად განთესილი ბრიტანელი ანა სმიტი (481) დაამარცხა-6:4, 6:2. შაფათავაც ძალიან იოლად გავიდა ძირითად ბადეში, მან უკრაინელ კატერინა ნეჟურას მოუგო - 6:1, 6:1.

ქვაცაბაია ძირითად ბადეში პირველ ნომრად განთესილ გერმანელ კატრინ ფიორლეს (213) შეხვდება, შაფათავას უფრო გაუმართლდა ის პირველ წრეში ასევე საკვალიფიკაციოდან გასულ ბრაზილიელ როქსანა ვაისემბერგს შეხვდება.

ამერიკულ პალმ ბიჩ გარდენში (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო წრეში **სალომე დევიძე** და **სოფიო მელიქიშვილი** შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ნომრად განთესეს. დევიძე მეორე წრეში ამერიკელ კელი კამბურელისს ხვდება, ხოლო მელიქიშვილი ამერიკელ ლორენ ჰენრის შეხვდა.

ესპანეთის ქალაქ ბალაგუერში 10-ათასიანი ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საკვალიფიკაციო წრეში ორი ქართველი მონაწილეობდა: **ნოდარ ითონიშვილი** და ეროვნული ნაკრების წევრი **გიორგი ხრიკაძე**. ურეიტინგო ხრიკაძე პირველივე წრეში დამარცხდა ესპანელ ამადორ რომერო-ტორესთან - 2:6, 2:6. ითონიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბრიტანელ ოსკარ პოდლევსკისთან დამარცხდა - 6:3, 4:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცხენოსნობა

## გალელი მხედარი კასპიის თასის პრიზიორია

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანი და, კერძოდ, მისი დედაქალაქი ბაქო, სამხრეთ კავკასიაში საცხენოსნო სპორტის განვითარების ყველაზე თვალსაჩინო კერად იქცა და ეს, სულ მოკლე ხანში მოხდა. საქმე მხოლოდ ცხენთა სულადობის ზრდაში არ არის, რაც თავის მხრივ მხედართა რიცხვის პირდაპირ პროპორციულია, არამედ უფრო საყურადღებოა ხარისხი, რისი გარანტიაც მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო ჯიშის მერნებით საჯინიბოს შევსებაა. სწორედ ასეთი ბედაურები შეიძინეს აზერბაიჯანელმა კერძო მფლობელებმა და, აკი ვთქვით, დღეს ეს ქვეყანა რეგიონში მოწინავედ იქცა. საქართველოსგან განსხვავებით, ბაქოში უმაღლეს დონეზე აიყვანეს სპეციფიკური ინფრასტრუქტურაც. ის, რომ ახლა სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ ბაქოშია ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობა ჩატარდეს საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) მოთხოვნების შესატყვისი დონის ასპარეზობა, ფეიმ უმალვე დაგეგმა თავისი ეგიდით საერთაშორისო ტრნირი "კასპიის თასის" გათამაშება და კალენდარშიც შეიტანა. საგულისხმოა, რომ ტურნირი საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის წინადადებით დაიგეგმა და ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებში აზერბაიჯანელი მეგობრებისთვის დახმარების გაწევაც ჩვენ ფედერაციას დაევალა. ერთი მხრივ, ეს იმან განაპირობა, რომ საქართველოს ფეის ეგიდით ტურნირების გამართვის ჩატარების რამდენიმეწლიანი გამოცდილება გააჩნია. ამასთან, სწორედ საქართველოს წარმომადგენელია დანიშნული საერთაშორისო ფედერაციის მიერ კავკასიის რეგიონისა და მისი მეზობელი ქვეყნების კოორდინატორის თანათავმჯდომარედ.

საერთოდ, ფეის ეგიდით ყველა შეჯიბრება ღია ასპარეზობად ითვლება, რაც ტურნირების პრესტიჟს ამაღლებს. გარდა ამისა, ცხენების ტრანსპორტირება დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან და "ღია წესი" პრობლემებს გარკვეულწილად აბალანსებს. ბაქოს ამჟამინდელ ტურნირში, რომელიც "კასპიის თასის" სახელდებით პირველად ჩატარდა, მასპინძლების გარდა, მხოლოდ საქართველოს ცხენ-მხედრები, გერმანიიდან კი მხოლოდ ორი ცხენოსანი (ორივე აზერბაიჯანელთა ცხენებით გამოვიდა სარბიელზე) ასპარეზობდა. ერთი თურქი გოგონა, მაგრამ გერმანიის მოქალაქე (შეგახსენებთ, რომ ცხენოსნობაში, როგორც ვაჟები, ისე ქალები, ერთი პროგრამით იბრძვიან წარმატებისთვის, ასეა ყველა რანგის შეჯიბრებებში, ოლიმპიადების ჩათვლით).



ივანე ნორაკიძე და ცოტნე ლაბაშია

საქართველოდან ტურნირში 8 მხედარი და 9 ცხენი გამოდიოდა (ერთმა ჩვენმა მხედარმა - ივანე ნორაკიძემ, ორ მერანზე იასპარეზა). დებულებით მხოლოდ უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობა იყო ნებადართული. შეჯიბრება გაიხსნა ჰეიდარ ალიევის თასის გათამაშებით. ადრე ტრადიციული იყო ალიევის სახელობის ასპარეზობა. ტურნირის ორგანიზატორებმა მემკვიდრეობა შეინარჩუნეს, რამაც უფრო გაალამაზა ძირითადი შეჯიბრება და ინტერესიც შემატა მას. ალიევის თასის გათამაშებაში V-VI ადგილი გაიყვეს სქართველმა მხედრებმა **ივანე ნორაკიძემ და ცოტნე ლაბაშიამ**. "კასპიის თასზე" გალელი ცოტნე ლაბაშია მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა (ცხენი "პეგასი"). ცხენ-მხედარი ამჟამად თბილისის "ჟოკეი-კლუბის" წარმომადგენელია. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ პირველი-მეორე ადგილი აზერბაიჯანელებს ხვდათ წილად, შესაბამისად, საიდ მუსაევი პირველი იყო, **რამიზ რზაევი** - მეორე.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**
ბაქოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

ეროვნული ნაკრები

# შემდეგი გაჩერება პრაღაა

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები აგრძელებს სამზადისს საშემოდგომო მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სადაც გათამაშდება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები. როგორც იცით, ქართული კრივის უპირველესმა გუნდმა უკან მოიტოვა ბაქოსა და კიევის საერთაშორისო ტურნირები. როგორც გუშინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** გვითხრა, "შემდეგი გაჩერება" პრაღის საერთაშორისო ტურნირია, რომელიც 16-20 მაისს გაიმართება.

- ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებზე სიარულის პრობლემა მოხსნილი აქვს. ჩეხეთში ნაკრები ზეგ გაემგზავრება. პრაღის ტურნირი A კლასისაა და საკმაოდ ძლიერი შეჯიბრებაა. ჩვენი ინფორმაციით, იქ დაახლოებით 12-13 გუნდი ჩამოვა და ყველა ქვეყანა უძლიერეს შემადგენლობას ჩამოიყვანს.

**- რა შემადგენლობით მიდიხართ პრაღაში?**

- 48 კილოგრამში ტურნირი არ ტარდება, 51-ში კი ჩვენ არ მოგვყავს არავინ. რაც შეეხება დანარჩენ წონით კატეგორიებს, პრაღაში იჩხუბებენ ნიკოლოზ იზორია (54 კგ), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), გიორგი ნაკანი (75), დავით წიკლაური (81) და ბექა ლობჟანიძე (+91).

**- 91 კილოგრამშიც არავინ მიგყავთ?**

- როგორც იცით, ამ წონის ლიდერმა იაგო კილაძემ კიევის ტურნირზე ნოკაუტი მიიღო, რის გამოც ექვსთვიანი იძულებითი შვებულება აქვს. მეორე ნომერი კი შათირიშვილია, რომელსაც წლეულს საქართველოს ჩემპიონატის გარდა, არსად უასპარეზია. ჩეხეთში მისი წაყვანა იმიტომ არ გავრისკეთ, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ეყოლება და ისიც რომ დაანოკაუტონ, გამოდის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე 91 კილოგრამში ველარავის წავიყვანთ. შათირიშვილს თავის გამოჩენის შანსს ოდნავ მოგვიანებით, ცოტა სუსტ ტურნირზე მივცემთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატამდე კიდევ რომელ ტურნირებზე აპირებთ გამოსვლას?**

- ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანში გადაწყდება მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის საკითხი. თავიდან, მსოფლიო ჩემპიონატი სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო, მოსკოვში. მერე რუსეთს მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს და ტურნირის გამართვა იგეგმებოდა კორეაში. დღეისათვის კი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება 17 ოქტომბრიდან ჩიკაგოში იგეგმება. კრივის საერთაშორისო ფედერაციის ასეთმა მერყეობამ ბევრ ქვეყანას და მათ შორის, ჩვენც აგვირია მოსამზადებელი ეტაპის განრიგი. როდესაც იცი, მსოფლიო ჩემპიონატი სად და როდის ტარდება, სამზადისი გაცილებით იოლია.

**კობა ხატისაშვილი**

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჯერ ბრინჯაო, მერე ოქრო

გლდანის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის დარბაზში ხვალ დაიწყება ეროვნული ჩემპიონატის ფლეი ოფი, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბრინჯაოს მედლის მაძიებლები – "ქარიშხალა" და "იმედი". ფინალური სერიის მსგავსად, აქაც ორ მატჩში გადაწყდება გამარჯვებულის ვინაობა. რაკილა რეგულარულ ჩემპიონატში "იმედი" მესამე იყო, "ბრინჯაოს ფლეი ოფში" საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს. შესაბამისად, ხვალ, 14 საათზე, იმედელები "ქარიშხალას" სტუმრად ეთამაშებიან. საპასუხო მატჩს "იმედი" საკუთარ მოედანზე – ასკ-ში 18 მაისს გამართავს. თუკი ორი შეხვედრის ჯამში ბურთების სხვაობა თანაბარი იქნება, უპირატესობა ენიჭება მეტოქის მოედანზე გატანილ გოლებს. აქაც თანაბარი ბალანსის დაფიქსირება საქმეს მიიყვანს პენალტების სერიამდე.

მესამეადგილოსნის გარკვევის მეორე დღეს, 19 მაისს, გაიმართება საჩემპიონო ფლეი ოფის გადამწყვეტი მატჩი. როგორც იცით, პირველ მატჩში სტუ-"თელავმა" საკუთარ მოედანზე ექვსბურთიანი სხვაობით მოუგო "თბილისს" და თუკი შაბათს, ასკ-ს მოედანზე უფრო დიდი ანგარიშით არ წააგო, ჩემპიონობას მეჩვიდმეტედ იზეიმებს. სხვათა შორის, ამჟამად, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდების მთავარი მწვრთნელები – **ირაკლი კეკელიძე** და **მამუკა მჟავანაძე** ნორვეგიაში იმყოფებიან მწვრთნელთა სემინარებზე. ისინი თბილისში 15 მაისს დაბრუნდებიან.

# განა შეგვეხმიანა

როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **თამაზ თევზაძე** ამასწინათ, საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, რამდენიმე ქვეყანას შეუთანხმდა სამომავლო თანამშრომლობაზე. პირველი შეგვეხმიანა განის ხელბურთის ფედერაცია. აფრიკელებს საქართველოში ჩამოსვლა და ქართველებთან ამხანაგური მატჩების ჩატარება სურთ. თევზაძე ამჟამად თურქეთში იმყოფება დელეგატთა სემინარებზე და საკითხი მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

## სამბო

# ჭაბუკთა პირველობა

საქართველოს ყველა რეგიონის 220 სპორტსმენი მონაწილეობდა **ლევან თედიაშვილის** სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში გამართულ საქართველოს პირად პირველობაში. 1991-1992 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის (მთავარი მსაჯი **ემილ რაში**). ცალკეულ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები არიან: **ტარიელ ნამგალაური** (40, რუსთავი), **ალექსი გოგლიჩიძე** (42, ქუთაისი), ვახტანგ **ჩიდრაშვილი** (45, თელავი), **გენადი ჩირგაძე** (48, ქუთაისი), **ბექა ტულუში** (51, ფოთი), **გიორგი ჭიმუხაძე** (55, ხაშური), **ლევან დადვანი** (59, თბილისი), **გიორგი ქაშიბაძე** (63, გორი), **ზაურ გაგნიძე** (68, რუსთავი), **ზურაბ ბუტიკაშვილი** (73, თბილისი), **გიორგი ქოჩორაძე** (78) და **ლევან რევესიძე** (მძიმე, ორივე - დმანისი).

**ომარ ჩხაიძე**

## რაგბი

ლეგიონერები

# ხუთნი ფლეი ოფში

**საფრანგეთის პირველ დივიზიონში, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. საჩემპიონო ფლეი ოფში გამსვლელი ოთხი გუნდიდან სამი უკვე ცნობილია. მათ შორის ერთ-ერთი გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის "კლერმონია".**

დაძაბული ვითარებაა სატურნირო ცხრილის ფსკერზე. ერთი გუნდი, "ნარბონი" უკვე გავარდნილია. მეორე ხელმოცარულს ბოლო ტური გამოავლენს. "პრეტენდენტი" ოთხია, მათ შორის - **მამუკა გორგოძის** "მონპელიეც". აბსოლუტურად მოულოდნელად აღმოჩნდა გასავარდნთა შორის, საქართველოს ეროვნული ნაკრების კონსულტანტის, **ანრი ბრონკანის** მომავალი გუნდი "აჟენი". გამორიცხული არაა "ჯადოქარმა" ახალი სეზონი ისევ მეორე დივიზიონში გაატაროს.

ბოლოსწინა 25-ე ტურში, **შველიძისა და ზირაქაშვილის** "კლერმონმა" შინ "ალბი" მიიღო და 70:6 გაანადგურა. ვულკანების განაცხადში ზირაქაშვილი არ იყო, შველიძე კი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო.

სენსაციური გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მოედანზე, მოწინავე ოთხეულის წევრ "ბიარიცთან" **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ" 39:29. ჩვენებურის გუნდს ბოლო ტურში კიდევ ერთი გმირობის ჩადენა მართებს. ამჯერად სტუმრად "ბიარიცის" უშუალო კონკურენტი, კატალონური "პერპინიანი" უნდა დაამარცხოს.

**აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა" შინ გაიმარჯვა **ავთო კოპალიანის** "მონტობანთან" 25:13 და აწი აღარაფერი ემუქრება. კოპალიანი განაცხადში არ იყო, გიორგაძე იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

სტუმრად დამარცხდა "ბაიონთან" **ირაკლი გიორგაძისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** 'ბურგუენი" 11:18. გიორგაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXV ტური. **ტულუზი-აჟენი 47:0, ბაიონი-ბურგუენი 18:11, კასტრი-მონტობანი 25:13, კლერმონი-ალბი 70:6, ნარბონი-ბრივი 21:42, მონპელიე-ბიარიცი 39:29, სტად ფრანსე-პერპინიანი 12:11.**

ბოლო ტურის წინ: 1.სტად ფრანსე-83 ქულა **2.**ტულუზი-82, **3.**კლერმონი-81, **4.**ბიარიცი-71 / 5.პერპინიანი-71, **6.**ბურგუენი-57, **7.**მონტობანი-53, **8.**კასტრი-49, 9.ბრივი-49, **10.**მონპელიე-47, 11.ბაიონი-47, 12.ალბი-45 / 13.აჟენი-44, 14.ნარბონი-39

**მეორე დივიზიონში გაიმართა ბოლო ტური, რომლის შედეგებსაც მნიშვნელობა პრაქტიკულად აღარ ჰქონდა. პირველ დივიზიონში ერთი გადასულის ვინაობა რამდენიმე კვირის წინ გაირკვა, მეორეს კი პლეი ოფი დაასახელებს. აქ ოთხეულში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. გია ლაბაძისა და გიორგი კუთარაშვილის "ტულონი" ნახევარფინალში "ლა როშელს" დაუპირისპირდება. ირაკლი მაჩხანელის "ბეზიეს" მოწინააღმდეგე კი "დაქსი" იქნება. დივიზიონს "ლიმოჟი" და კოლომიე" დატოვებენ.**

ბოლო, 30-ე ტურში **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე"სტუმრად დამარცხდა **მერაბ კვირიკაშვილის** "პოსთან" 27:45. მაჩხანელი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. კვირიკაშვილი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

დივიზიონის გამარჯვებულმა, **ილია ზედგინიძის** "ოშმა" შინ დაამარცხა **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგი" 37:27. ზედგინიძეს დამაგრაქველიძეს არ უთამაშიათ, აშვეთია თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო.

**გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" სტუმრად დაამარცხა **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" 39:21. ქართველებიდან მხოლოდ ლაბაძემ ითამაშა - ტულონელთა კაპიტანმა მოედანზე თავიდან ბოლომდე დაჰყო.

II დივიზიონი. XXX ტური. **პო-ბეზიე 45:27, მონ დე მარსანი-ლიმოჟი 35:36, დაქსი-ოიონაქსი 40:17, ლიონი-გაიაკი 52:20, ოში-მეტრო რასინგი 37:27, გრენობლი-ტულონი 21:39, ლა როშელი-ბორდო 31:25, კოლომიე-ტარბი 12:22.**

საბოლოო მდგომარეობა: **1.**ოში-110 ქულა / **2.**დაქსი-98, **3.**ლა როშელი-93, **4.**ტულონი-88, **5.**ბეზიე-83 / **6.**ლიონი-79, **7.**ოიონაქსი-70, **8.**პო-68, **9.**მონ დე მარსანი-62, **10.**ბორდო-60, **11.**გაიაკი-60, **12.**მეტრო რასინგი-58, **13.**ტარბი-56, **14.**გრენობლი-55 / **15.**ლიმოჟი-54, **16.**კოლომიე-40

**ბესიკ ჯანგავაძე**



კლერმონი-ალბი

ზე 14. ნახევარფინალი

# რაგბი ულელოოდ, ფინალი უზელანდიოდ

"შარქსმა" შინ, დურბანში ზელანდიური "ბლუზი" 34:18 დაამარცხა და ზე-14-ის ფინალში პირველად გავიდა, როგორც მასპინძელი გუნდი. იქნებ, "შარქსმა" ორი მარცხის მერე პირველი ტიტულიც მოიგოს. "ბლუზმა" ყოჩაღად დაიწყო, თუმცა "შარქსი" თავს კარგად იცავდა და ჯარიმებით 6:3 დაწინაურდა კიდეც. შემდეგ **ბუჩ ჯეიმსმა** 40 მეტრიდან არეკნი გაიტანა. პირველი ლელო ტაიმის მიწურულს გავიდა, **ეიჯეი ფენტერის** კარგი თამაშის შემდეგ ლელო **ჯონ მულერმა** გაიტანა. ტაიმში ბოლო აკორდი მაინც ზელანდიელების იყო, **ვეილონ მარეი** დაჯარიმდა და **ისა ნათევამ** ზუსტად შეასრულა საჯარიმო - 14:6.

მეორე ტაიმი "ბლუზმა" უკეთ დაიწყო **ნათევამ** ლელო გაიტანა და გარდასახვაც აკურატულად შეასრულა, ზელანდიელები 18:14 დაწინაურდნენ, "შარქსმა" თამაშში **ალბერტ ფანდენბერხი, ედი ჯეკობსი, ბობი სკინსტადი** და **ბისმარკ დუპლესი** ჩართო. იქვე ნათევამ ოფსაიდიდან ითამაშა და **მონტგომერიმ** ჯარიმა გაიტანა - 17:18. მალე "შარქსი" მოლით მიანვა მეტოქეს, რომელიც კვლავ დაჯარიმდა. და მონტგომერიმ 20:18 დააწინაურა თავისიანები. ამის შემდეგ მასპინძლებმა ჯეიმსისა და მარეის ლელოებით ფინალში გასვლა საბოლოოდ გაინაღდეს - 34:18.

"ბულზმა" ჩემპიონი "კრუსეიდერზი" 27:12 დაამარცხა და ისტორიაში პირველად გავიდა ზე-14-ის ფინალში, რომელიც პირველად აფრიკული იქნება. პრეტორიაში ერთი ლელოც კი არ გასულა, ყველაფერი **დერიკ ჰუხარდის** გატანილმა რვა საჯარიმომ და არეკნმა გადაწყვიტა "ხარების" სასარგებლოდ. "კრუსეიდერზის" ბექებმა საშინლად ითამაშეს, ფულბეკ **ლიონ მაკდონალდს** ალბათ, კარიერაში ყველაზე ცუდი მატჩი ჰქონდა, მხოლოდ **დენ კარტერი** კი ვერას გახდა. ნახევარი საათის თამაშის, 9:9-ის მერე ინიციატივა ხელთ "ბულზმა" იგდო, ტაიმის ბოლომდე აფრიკელებმა ორი საჯარიმო გაიტანეს - 15:9.

მეორე ტაიმი ზელანდიელთა შეტევებით დაიწყო, ბევრს ცდილობდნენ კარტერი და **ტუიალიკი**, მაგრამ ისინი ფიზიკურად ძლიერ მეტოქესთან ვერას გახდნენ, ჰუხარდი კი ძალიან ზუსტად ურტყამდა საჯარიმოებს - 27:12. 19 მაისს ზე-14-ის ფინალში, რომელიც დურბანში გაიმართება, აფრიკელი "ზვიგენები" "ხარებს" შეხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ზე-14. ფლეი-ოფი

**შარქსი-ბლუზი 34:18**

შარქსი (აფრ): 3ლ (მულერი, ჯეიმსი, მარეი), 2გ,4ს (მონტგომერი), ა (ჯეიმსი)

ბლუზი (ზელ): 2ლ (ვულფი, ნათევა), გ, 2ს (ნათევა)

**ბულზი-კრუსეიდერზი 27:12**

ბულზი (აფრ): 8ს, ა (ჰუხარდი)

კრუსეიდერზი (ზელ): 4ს (კარტერი)

### ფინალი. 19 მაისი

**შარქსი-ბულზი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. II წრე

# ბულზმა ერთის გაიბრძოლა

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ჩიკაგო (4)-დეტროიტი (1) 102:87**

27:19, 23:24, 27:13, 25:31

**ჩიკაგო:** დენგი (25 ქ. 13 მ), ჰაინრიხი (19 ქ. 10 პ. 4 მ. 2 ჩ), გორდონი (19 ქ. 5 მ. 4 პ), ბ. უოლასი (11 ქ. 17 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ტაირუს ტომასი (10 ქ. 7 მ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (23 ქ. 8 პ. 3 მ), პრინსი (18 ქ. 7 მ. 4 პ. 3 ჩ), რ. უოლასი (14 ქ. 7 მ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (11 ქ. 6 მ. 5 პ), მიური (10 ქ).

**სერია 1:3**

**დასავლეთის კონფერენცია**

**გოლდენ სტ. (8)-იუტა (4) 101:115**

23:25, 26:25, 29:25, 23:40

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (24 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ), ელ ჰარინგტონი (24 ქ), მ. ელისი (15 ქ. 2 ჩ), ბ. დევისი (15 ქ. 7 პ. 4 ჩ), ბიედრინსი (7 ქ. 10 მ. 3 დ).

**იუტა:** ბუზერი (34 ქ. 12 მ. 2 პ), ფიშერი (21 ქ. 5 პ), დ. უილიამსი (20 ქ. 13 ქ. 6 მ. 2 ჩ), ოქური (14 ქ. 7 მ), კირილენკო (12 ქ. 8 მ).

**სერია 1:3**

ერთი მატჩის მოგებით "ჩიკაგო ბულზს" მომდევნო წრეში გასვლის ილუზია არ შექმნია, მაგრამ მოგება მოგებაა და რაც უნდა იყოს, **ბენ უოლასით** გაძლიერებული გუნდი რომ ფლეი ოფს მშრალი ანგარიშით არ უნდა აგებდეს, ესეც ფაქტია.

ილინოისში **სკოტ სქაილზმა** თითქმის საჩემპიონო გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც მომდევნო რეგულარულში დღევანდელი შემადგენლობის შენარჩუნების შემთხვევაში აღმოსავლეთის აშკარა ფავორიტი იქნება. "დეტროიტი" წელს კარს სუპერფინალში გასვლით გაიჯახუნებს, მერე კი კონფერენციას ახალი ფავორიტი და ვეშაპი "ბულზი" დაუბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მოჩანს.

სერიის მეოთხე შეხვედრაც ისე წარიმართა, როგორც ამ გუნდების წინა დაპირისპირება - "ბულზმა" თავიდანვე დიდი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მესამე ჯახისგან განსხვავებით, მასპინძლებმა უპირატესობა არ გაანიავეს და ბოლოს, გადაღლილ "პისტონზს" ბოლო მოუღეს.

**ლუოლ დენგმა** 25 ქულა დააგროვა, **კირკ ჰაინრიხმა ჩონსი ბილაპსს** ამჯერად თავი არ დააჩაგვრინა და "ჩიკაგომაც" ოდნავ მაინც გამოუკეთა განწყობა ფანებს, რომლებსაც იმ დღეს "იუნაითედ სენტრი" პირთამდე შეევსოთ.

შეუდარებელი იყო ბენ უოლასი - ამ მთაკაცმა სამწამიანი ისევე ამოლესა, როგორც "დეტროიტში" დომინირებისას და მოგვარე **რაშიდსა** და **კრის უებერს** ძალიან ბევრი სროლა გააფუჭებინა. საბოლოოდ, უებერმა (17 წუთში 3 არაზუსტი სროლა) და რაშიდმა (43, 16-ში 4) ჯამში მხოლოდ 14 ქულა მოიმკეს, ხოლო ბენმა კი ორივეს ჯამურ მოხსნაზე ორჯერ მეტი (17:8) გააკეთა.

*"სამწუხაროდ, სერია ძალიან ცუდად დავიწყეთ და ახლა აღმოსავლეთის ფინალში გასვლის უკეთესი შანსები "პისტონზს" აქვს. დღევანდელმა მატჩმა ერთხელაც დაადასტურა, რომ ამ "ბულზს" უდიდესი პოტენციალი აქვს. მთავარია, წარუმატებლობიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. მჯერა, რომ ამ მოთამაშეებით მთელი დინასტიის შექმნა შეგვეძლება"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **ანდრეს ნოჩიონი.** არგენტინელმა ფორვარდმა 15 წუთში 9 ქულით (თამაშიდან 8-ში 4 ზუსტი ტყორცნა) გამოიჩინა თავი.

ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა. ისედაც მოტივირებულმა "ჩიკაგომ" ეს 12-წუთეული უმაღლეს დონეზე ჩაატარა და დიდი შესვენებისთვის მოპოვებული 7-ქულიანი უპირატესობა ბოლო მეოთხედის დაწყებამდე გაასამმაგა.

წინა შეხვედრასთან ერთი პარალელი მატჩის მონაწილეებმა ამჯერადაც გაავლეს. "ბულზი" მოდუნდა, სქაილზმა სასტარტოს რამდენიმე წევრი დაასვენა და "დეტროიტმაც" ძირითადის დასრულებამდე 3 წუთითა და 55 წამით ადრე სხვაობა 7 ქულამდე (80:87) დაიყვანა.

*"იმ მომენტში კი გავიფიქრე, რომ წინა მატჩში დაშვებული შეცდომებით ამჯერადაც თავს დავიღუპავდით, მაგრამ ლუოლმა ორი მნიშვნელოვანი სროლა გამოიყენა, ბენმა დაცვაში ჩვეულად ითამაშა და საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა"*, - ამბობს **ბენ გორდონი,** რომელმაც 9-დან ყველა საჯარიმო გამოიყენა და 39 წუთში მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა. ამასთან ერთად, მის ანგარიშზე 5 პერსონალური შენიშვნა იყო.

დენგმა კი პირველ სამ მატჩში "ცოცხალი" სროლების მხოლოდ 38 პროცენტის გამოყენების შემდეგ, ამჯერად 15-დან 10 ზუსტი სროლით დაასრულა შეხვედრა და 13 მოხსნიდან 6-ჯერ თავდასხმაში ივაუკაცა.

იმავე უოლასმა კი 8-დან 5 საჯარიმოს ზუსტად შესრულებით თავისთვის უჩვეულოდ კარგი შედეგი დააფიქსირა, 17 მოხსნით კი პირად საფლეიოფო რეკორდამდე სამი მოხსნალა დააკლდა. "ჩიკაგომ" მოხსნებში მეტოქეს 51:33 გადაუარა. რეზერვისტმა ტაირუს ტომასმა თავისი 10 ქულიდან 8, ბოლო 12-წუთეულში გაჩარხა.

"ჩიკაგოს" საფლეოფო სერია მშრალად 1987 წლის მერე არ წაუგია. მაშინ მაიკლ ჯორდანის გუნდს **ლარი ბერდის** "სელტიქსმა" 3:0 მოუგო. ძირითადი დროის ბოლო წუთზე ბილაპსი და **რიჩარდ ჰამილტონი** მეექვსე ფოლებით გავარდნენ. კრის უებერს ბოლო ორ მატჩში თამაშიდან ერთი ტყორცნაც არ გამოუყენებია.

■■■

იდენტური ანგარიშია "გოლდენ სტეიტისა" და "იუტას" სერიაშიც და "დეტროიტის" არ იყოს, 3:1 დაწინაურებულ გუნდს ყველაფრის შინ მომთავრების ძალიან კარგი შანსი ეძლევა. უბრალოდ, "დეტროიტისგან" განსხვავებით, **კარლოს ბუზერსა** და მის თანაგუნდელებს პირველი სამი მატჩი მიჯრით არ მოეგოთ და მეოთხე შეხვედრის წაგების შემთხვევაში, ამ ჯახში ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა.

"ჯაზი", რომელიც ფლეი ოფში 2003 წლის მერე არ გასულა, ბოლო მეოთხედამდე წინა წრეში "დალასის" დამჩაგვრელ მოწინააღმდეგეს თითქმის ვერაფერში სჯობდა, მაგრამ ბოლო 12 წუთში "ჯაზმა" თითქმის იდეალური გუნდური თამაშით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

**დერეკ ფიშერმა** მეოთხე მეოთხედის 8 წუთში 14 ქულა დააგროვა და ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონის ჩემპიონი კონფერენციის ფინალს კიდევ უფრო მიუახლოვდა.

რაც შეეხება "გოლდენ სტეიტს," გუნდი მიმდინარე ფლეი ოფში შინ პირველად დამარცხდა. "უორიორზის" წაგების მთავარი მიზეზი ამჯერადაც მათი ლიდერების უსაქციელობა იყო. **ბაირონ დევისმა** და **ჯეისონ რიჩარდსონმა** მსაჯს ტექნიკურები დასტყუეს, ხოლო **ელ ჰარინგტონმა** კი არასპორტული ფოლით დაასრულა მატჩი. ეს რომ არა, ბოლო 12 წუთში "გოლდენ სტეიტი" იოლად მიიყვანდა ყველაფერს სასურველ შედეგამდე. სხვაგვარად მოხდა და "ფინიქს"-"სან ანტონიოს" ჯახში გამარჯვებულს ამ წყვილიდან ალბათ "იუტა" დაეჯახება.

**ზურაბ თალაკვაძე**




ბულზმა პისტონზსს, ბენმა კი რაშიდს(36) აჯობა






ენრიკო გასპარატო

ჯირო დ'იტალია

# მოულოდნელი დასაწყისი

დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოს გამო, საიუბილეო, 90-ე ჯიროს ბევრი ძლიერი ველომრბოლი დააკლდა, მაგრამ სეზონის პირველ ველომარათონს თავისი ფავორიტები მაინც ჰყავს და ერთ-ერთი ასეთი იტალიურ გუნდ "ლიკიგაზის" იტალიელი ველომრბოლი, პრო ტურის სერიის პირველი ჩემპიონი **დანილო დი ლუკაა.**

რა თქმა უნდა, მთელი გუნდი თავის ფავორიტზე უნდა მუშაობდეს და ასეცაა, მაგრამ ჯიროს პირველივე ეტაპზე დაფიქსირდა შედეგი, რომელმაც სახტად დატოვა დი ლუკაცა და მისი თანაგუნდელებიც. "ლიკიგაზმა" დროზე გუნდური რბოლა მოიგო, მაგრამ ფინიშის ხაზი პირველმა ლიდერის ნაცვლად, გუნდის იტალიელმა ახალბედა წევრმა, **ენრიკო გასპარატომ** გადაკვეთა.

ეტაპის დასრულების შემდეგ, დი ლუკა ბრაზს ძლივს მალავდა, თუმცა მკვეთრი გამონათქვამებისგან მაინც თავის შეკავება ამჯობინა. *"ეს გუნდური გამარჯვებაა, რომელიც ყველამ დიდი გარჯის შედეგად დავიმსახურეთ. ამ ეტაპზე, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ გადაკვეთდა ფინიშის ხაზს პირველი. მთავარი გუნდური გამარჯვება იყო და ჩვენ ამ მიზანს მივაღწიეთ. დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი იყო"*, - განაცხადა დი ლუკამ.

თავად გასპარატომ კი აღიარა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა: *"არ გამიგია, დანილოს ეთქვას, ტემპი დააგდეო. მე კი შევცდი, როცა დროულად არ დავუთმე მას გზა. დიდი ჩემპიონი ისაა და არა მე. სწორედ ის გაგვიძლვა თანაგუნდელებს, როცა ბოლო აღმართს შევუდექით, მე კი დაღმართში გავუძეხი გუნდს. გუნდის უფროსისგან გავიგე, რომ მეტოქეებთან დაძაბული პაექრობა გვქონდა, რის გამოც, ბოლომდე ტემპი არ დავაგდე. მერე კი, როცა ფინიშის ხაზი გამოჩნდა, შენელება აღარ ვისურვე. ეს ინსტინქტურად მოხდა. თუ დამიჯერებთ, იმ მომენტში საერთოდ არც მახსოვდა, რომ გუნდურ რბოლაში პირველ ადგილს ის იკავებს, რომელიც თანაგუნდელებზე ადრე მივა ფინიშთან. ჩემი მეორე შეცდომა კი ის იყო, რომ არ მახსოვდა - გუნდის შედეგი მეხუთეზე მყოფი ველომრბოლით განისაზღვრება და არა პირველით".*

ასე იყო თუ ისე, კუნძულ სარდინიაზე დაწყებულ ჯიროს, ყველასთვის მოულოდნელად, გასპარატო ჩაუდგა სათავეში. მართალია, სტატუს ქვო მეორე ეტაპზევე შედგა, რომლის შემდეგაც ლიდერის ვარდისფერი მაისურა დი ლუკამ ჩაიცვა, მაგრამ გუშინ ლიდერი კვლავ გასპარატო გახდა. ორივე ეტაპი კი სპრინტერული ფინიშით დასრულდა.

მეორე ეტაპი ავსტრალიელმა **რობი მაკიუენმა** მოიგო, რომელმაც საფინიშო სპურტში დაჯაბნა თავისი ძველი მეტოქე, იტალიელი **ალესანდრო პეტაკი** და კიდევ ერთი იტალიელი - მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **პაოლო ბეტინი.**

გასპარატო ლიდერობას აუცილებლად შეინარჩუნებდა, ფინიშამდე კილომეტრით ადრე ავარია რომ არ მომხდარიყო. რამდენიმე ველომრბოლი დაეცა, რის გამოც, იტალიელს შენელება დასჭირდა. ჰოდა, ვარდისფერი მაისურაც თავის თანაგუნდელს გადაულოცა.

სამაგიეროდ, გუშინდელი ეტაპის შემდეგ, კვლავ უკან დაიბრუნა. ეტაპი კი პეტაკის გამარჯვებით დასრულდა. ეს კაცი არცთუ დიდი ხნის წინ, ლამის ყველა სპრინტს იგებდა, მაგრამ შემდეგ ჩავარდნის პერიოდი ჰქონდა, რის გამოც მის კარიერას ბევრმა წერტილი დაუსვა. მაგრამ პეტაკი არ დანებდა, შედეგი კი გუშინ ვნახეთ.

მან შეტევა ნაადრევად, ფინიშამდე 300 მეტრით ადრე წამოიწყო, რის გამოც ბევრი სპრინტერი (მათ შორის მაკიუენიც) ბოლომდე ვერ გაჰყვა.

ამ ეტაპიდან, ჩემი კარიერა ხელახლა იწყება და ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან, კვლავ მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერთა შორის მომიხსენიებენო - განაცხადა "ალე-ჯეტმა" (შემოკლებით რეაქტიული ალე-სანდრო), ვინც ნაფინიშევს სიხარულის ცრემლიც ბლომად ღვარა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**I ეტაპი**

კაპრერადან მადალენამდე (გუნდური რბოლა, 25.6 კმ)

**1. ლიკიგაზი 33.38 (45.668 კმ/სთ); 2. ასტანა 0.13; 3. CSC 0.30; 4. ლამპრე-ფონდიტალი 0.42; 5. დისქავერი ჩენელი 0.49; 6. აკვა ე საპონე-კაფე მოკამბო 1.02; 7. ტინკოფ კრედიტ სისტემი 1.04; 8. კრედიტ აგრიკოლი 1.13; 9. კაისე დ'ეპარნი 1.23; 10. სონიე დიუვალ-პროდირი 1.25...**

**II ეტაპი**

ტემპიო პაუსანიადან ბოზამდე (205 კმ

**1. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 5:07.13 (40.232 კმ/სთ); 2. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) იგივე დროში; 3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი); 4. ასან ბაზაევი (ყაზახეთი, ასტანა); 5. მაქსიმილიანო რიკეზე (არგენტინა, კერამიკაპანარია-ნავიგარე); 6. ალიაკსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი); 7. ხოსე ხოაკინ როხას ხილი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი); 8. სტეფანო გარძელი (იტალია, აკვა ე საპონე); 9. ლორენცო ბერნუჩი (იტალია, T-მობილი); 10. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) ყველა იგივე დროში...**

**III ეტაპი**

ბარუმინიდან კალიარიმდე (181 კმ)

**1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 4:22:57 (41.072 კმ/სთ); 2. რობერტ ფორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი) იგივე დროში; 3. მაქსიმილიანო რიკეზე (არგენტინა, კერამიკაპანარია-ნავიგარე); 4. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 6. ალიაკსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი); 7. ლოიდ მონდორი (საფრანგეთი, Ag2r პრევოიანსი); 8. ენრიკო გასპარატო (იტალია, ლიკიგაზი); 9. ხოსე ხოაკინ როხას ხილი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი); 10. ვოლოდიმირ ბილეკა (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) ყველა იგივე დროში...**

**კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ**

**1. ენრიკო გასპარატო (იტალია, ლიკიგაზი) 10:03:48; 2. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) +0:00; 3. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 0:00; 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0:00; 5. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკიგაზი) 0:00; 6. ჩარლზ ვეგელიუსი (ბრიტანეთი, ლიკიგაზი) 0:00; 7. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 0:13; 8. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 0:13...**

კალათბურთი

## რეალი ფლეი ოფისთვის ემზადება

გასულ უიქ ენდზე ესპანეთის ჩემპიონატი დასრულდა. რეგულარული სეზონი "ტაუგრესმა" მოიგო, რომელმაც ერთი მოგებით გაუსწრო მადრიდის "რეალს". ახლა, ჩემპიონატის 8 საუკეთესო გუნდი ფლეი ოფში გააგრძელებს ბრძოლას.

"სამეფო კლუბმა" სეზონის გადამწყვეტი მატჩებისთვის დაიწყო ზრუნვა და სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი ფრანგ ცენტრალურ თავდამსხმელ **ჟერომ მუაზოს.** ასეთი ხანმოკლე ხელშეკრულების გაფორმება იმის გამო გახდა საჭირო, რომ "რეალს" ტრავმირებული ჰყავს ორი ტანმაღალი კალათბურთელი - **რატკო ვარდა** და **ვენსონ ჰემილტონი,** რომლებიც ფლეი ოფში ვერ ითამაშებენ.

ჭადრაკი

## დიდი სლემი ჭადრაკსაც ექნება

მსოფლიო ჭადრაკის ხუთი დიდი ტურნირის ორგანიზატორებმა მოილაპარაკეს და 2008 წელს, "დიდი სლემის" სერიის დაარსების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.

საუბარია ვეიკ-ენ-ზეეს (ჰოლანდია), ბილბაოს, ლინარესის (ორივე - ესპანეთი), მეხიკოსა (მექსიკა) და სოფიას (ბულგარეთი) ტურნირებზე.

"დიდი სლემის" სერიის პირველი დაპირისპირება ჰოლანდიაში 11-27 იანვარს შედგება, შემდეგ იქნება ლინარესი - 15 თებერვალი-9 მარტი, მესამე ეტაპი - სოფია (6-18 მაისი), მეოთხე - მეხიკო (21 ივნისი-6 ივლისი).

"დიდი სლემის" ფინალური ეტაპი ბილბაოში გაიმართება. ნამყვანი დიდოსტატები 15-27 სექტემბერს გაითამაშებენ მთავარ პრიზს. დამაგვირგვინებელი ტურნირის საპრიზო ფონდი 400 ათასი ევრო იქნება.

NHL ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ანაჰაიმმა ვიდეოთამაში მოიგო

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)–ანაჰაიმი (2) 3:4 (ო)**

0:1, 2:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 რ. ნიდერმაიერი-2 (გეტცლაფი-6, პერი-4), 1:1 მიოლტბი-1 (ლიდსტრიომი-11, კლირი-4), 1:2 ე. მაკდონალდი-5 (პერი-5, პრონგერი-9), 2:2 ლიდსტრიომი-4 (კლირი-5, ლანგი-3), 3:2 დაციუკი-6 (ლანგი-4, ზეტერბერგი-5), 3:3 მოენი-4 (პალსონი-7), 3:4 ს. ნიდერმაიერი-2 (რ. ნიდერმაიერი-2, პალსონი-8).

სერია 1:1

ამ სერიას კარგა ხანი არ უწერია დასრულება და შეიძლება ისე მოხდეს, რომ სტენლის თასის ფინალისტის გასარკვევად შვიდივე მატჩის ჩატარება გახდეს საჭირო. თანაბარი ძალის მეტოქეთა მეორე შეხვედრაში, გამარჯვებული ოვერტაიმმა გაარკვია. "ანაჰაიმის" რიგებში სტენლის თასის ერთადერთი მფლობელი - **სკოტ ნიდერმაიერი**, მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ ასრულებდა თავის მოვალეობებს, ამასთან, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და პირველი დამატებითი დროის მე-15 წუთზე, მისმა უძლიერესმა დარტყმამ მიზანს მიაღწია. ეს გოლი მთლიანად "დეტროიტის" ჩეხი მეკარის - **დომინიკ ჰაშეკის** სინდისზეა. მართალია, დარტყმა ძლიერი იყო, მაგრამ "დომინატორს" არ ეკადრებოდა ახლო კუთხეში შაიბის გაშვება.

მატჩის შემდეგ, ნიდერმაიერმა აღიარა, რომ შაიბა ბადეში მხოლოდ ვიდეოგამეორების შემდეგ დაინახა: *"მომეჩვენა, რომ შაიბა ძელს მოხვდა, მხოლოდ პარტნიორების რეაქციით მივხვდი, რომ მოვიგეთ"*.

სხვათა შორის, იმ დღეს, ვიდეოგამეორებებმა კარგი სამსახური გაუწიეს სტუმრებს. **ენდი მაკდონალდისა და ტრევის მოენის** გოლების შემდეგ, მსაჯებს საგოლე ეპიზოდების რამდენჯერმე ნახვა მოუწიათ იმის გასარკვევად, გადაკვეთა თუ არა შაიბამ ჰაშეკის კარი. თუ მაკდონალდის შემთხვევაში, საკამათო თითქმის არაფერი იყო, მოენის დარტყმა "დომინატორმა" მოიგერია, მაგრამ ყინულზე დაეცა და კარში შესრიალდა. გამეორებაზე აშკარად ჩანდა, რომ ამ შემთხვევაშიც გოლი ჩასათვლელი იყო.

*"პირველ მატჩში, რიკოშეტებმა კარგი სამსახური გაგვიწიეს, ამჯერად კი, ჩვენს მეტოქეს გაუმართლა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ, დეტროიტელმა **ჰენრიკ ზეტერბერგმა**.

"ანაჰაიმმა" ამ მატჩში ხუთიდან ვერცერთი რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა, რითაც გააგრძელა მეტად უსიამოვნო სერია - "იხვებმა" უკვე ზედიზედ 27-ჯერ ვერ შეძლეს ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება.

"ანაჰაიმს" უპირატესობა ჰქონდა დარტყმების რაოდენობით - 33:27, შესაბამისად, ჰაშეკმა 29 შაიბა მოიგერია, მისმა ვიზავიმ, **ჟან-სებასტიან ჟიგერმა** - 24. მართალია, ბოლო გოლი ჩეხი მეკარის შეცდომის შემდეგ გავიდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ თამაში ოვერტაიმში გაგრძელდა, სწორედ "დომინატორის" დამსახურებაა, რომელმაც რამდენიმე ურთულესი შაიბა მოიგერია.

ასეა თუ ისე, "ანაჰაიმმა" დამსახურებულად მოიგო და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. სერიის მომდევნო ორი მატჩი, სწორედ "იხვების" არენაზე გაიმართება.



მოენის გოლის შემდეგ შაიბა აშკარად კარის შიგნით აღმოჩნდა



ტრეკი

# ჰოის რეკორდი გააუმჯობესა



მაღალმთიანი ლა პასის (ბოლივია) ღია ველოდრომ "ალტო ორპავიზე" ასპარეზობისას, 500 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა ბრიტანელმა ველომრბოლმა **კრის ჰოიმ**. მან დისტანცია 24.758 წამში გაიარა და 1.092 წამით გააუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც ფრანგ **არნო დუბლს** 2001 წელს იმავე არენაზე ჰქონდა დაფიქსირებული.

ჰოი ბოლივიაში სპეციალურად, რეკორდების დასამყარებლად გაემგზავრა. პირველად მან კილომეტრიან დისტანციაზე სცადა რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ ზედიზედ ორჯერ მოეცარა ხელი. ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენი ფრანგი **არნო ტურნანია**, რომელმაც ყველა დროის საუკეთესო დრო შვიდი წლის წინათ დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ ჰოი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია ტრეკზე კილომეტრიან სპრინტში. სხვათა შორის, ზღვის დონეზე, ამავე დისტანციაზე ის მსოფლიოს რეკორდსაც (1:00.711 წამი) ფლობს და მან ის ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლისას დაამყარა, რითაც ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. ლა პასში კილომეტრზე მისი საუკეთესო შედეგი 0:58.880 წამი იყო, რაც 0.005 წამით უარესია სარეკორდო დროზე.

ლა პასის ველოდრომი "ალტო ორპავი" მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა (3417 მეტრი) მდებარე ველოტრეკია და შესაბამისად, აბსოლუტური რეკორდების დასამყარებლად, მას ველომრბოლები ხშირად იყენებენ ხოლმე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ტურნირები

# ფელიქსის სპრინტერული დუბლი

ყატარის IAAF-ის სუპერ დიდ პრიზზე გამოსვლისას, ამერიკელმა სპრინტერმა **ელისონ ფელიქსმა** 400 მეტრზე სირბილში სეზონის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. 200 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონმა სტადიონს ერთ წრეზე 50.40 წამში შემოურბინა, რის შემდეგაც, 100 მეტრზე სპრინტიც მოიგო (სპრინტერებისთვის იშვიათი დუბლია).

*"მსოფლიოს ჩემპიონატზე ისევ 200 მეტრზე ვიასპარეზებ, რის შემდეგაც, 4x400 მეტრზე ესტაფეტაზეც გამოვალ. ეს თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ ოსაკაში არ ვაპირებ ას მეტრზე სპრინტში ასპარეზობას. ეს ჩემთვის მეტისმეტი იქნება"*, - განაცხადა ფელიქსმა.

400 მეტრზე სირბილში ამერიკელმა აჯობა ისეთ ძლიერ მეტოქეებს, როგორებიც არიან სენეგალელი **ემი მბაკე თიამი** (50.99) და იამაიკელი **შერიკა უილიამსი** (51.12). ას მეტრზე სპრინტში კი მისი შედეგი ნაკლებად შთამბეჭდავი იყო. ყველაზე პრესტიჟული დისტანცია მან 11.27 წამში გაირბინა, როცა სეზონის საუკეთესო შედეგი 11.07 წამია და ის იამაიკელ **ვერონიკა კემპბელს** ეკუთვნის, ვინც 200 მეტრზე სპრინტში ოლიმპიური ოქრო ათენის ოლიმპიადაზე მოიპოვა და იქვე 4x100 მეტრზე სპრინტში მეორე ოქროსაც დაეუფლა.

დოჰაშივე, სეზონის კიდევ რამდენიმე საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა: ქალების სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ხორვატ **ბლანკა ვლასიჩს**, ვინც 2.04 მეტრს გადაევლო და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აჯობა ევროპის ჩემპიონს ბელგიიდან **ტია ჰელებაუტს**. 110 მეტრზე კაცების თარჯრბენში სეზონის საუკეთესო დროით (13.12) მოიგო ამერიკელმა **დევიდ პეინმა**, კაცების 1 500 მეტრზე სირბილში ასევე სეზონის საუკეთესო დროით (3:31.73) კენიელმა **აუგუსტინ ჩოგემ** გაიმარჯვა, მისმა თანამემამულე **ელიუდ კიპჩოგემ** კი 3 000 მეტრი მოიგო (7:33.06).

როგორც ყოველთვის, საინტერესო გამოდგა კაცების 100 მეტრზე სპრინტი, რომელშიც ყველაზე სწრაფი ტრინიდადელი **დარელ ბრაუნი** (10.13) გამოდგა. მან უკან მოიტოვა იამაიკელი **მაიკლ ფრეიტერი** (10.19) და ამერიკელი **შონ კროუფორდი** (10.20). ეს უკანასკნელი ოლიმპიური ჩემპიონია 200 მეტრზე სპრინტში, მაგრამ ამ დისტანციაზე ამჯერად მეორე შედეგს (20.59) დასჯერდა. ფინიშთან პირველი კი იამაიკელი **კრის უილიამსი** (20.24) მიიჭრა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთი**

## რიოჩი ჰიუიტს გაწვრთნის?

როგორც უკვე ვწერდით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა - **როჯერ ფედერერმა** 13 მაისს დაითხოვა ცნობილი ავსტრალიელი მწვრთნელი, **ტონი როჩი**.

ავსტრალიური პრესის ინფორმაციით, როჩი დიდხანს არ დარჩება უმუშევარი. მას თანამშრომლობას სთავაზობს თანამემამულე **ლეიტონ ჰიუიტი**, რომელიც ამ კვირას რეიტინგის საუკეთესო ოცეულის მიღმა აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ როჩი, თავის დროზე წარმატებით მუშაობდა ავსტრალიის ნაკრებთან დევისის თასის გათამაშებაში.

თავის მხრივ, გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფედერერი მწვრთნელად მიიწვევს კიდევ ერთ ავსტრალიელ სპეციალისტს - **დარენ კეჰილს**.

რაც შეეხება შვეიცარიელისა და როჩის შეწყვეტილ თანამშრომლობას, მწვრთნელის დათხოვნის მიზეზი როჯერის თიხნარზე სუსტი გამოსვლა არ ყოფილა. ჩოგბურთელი არ დაეთანხმა უიმბლდონისთვის მზადების გრაფიკს, რომელიც მას როჩმა შესთავაზა.

## როლან გაროსზე ინვალიდები ითამაშებენ

პირველად საფრანგეთის ღია პირველობის ისტორიაში, "როლან გაროსის" კორტებზე ინვალიდთა ოფიციალური ტურნირი გაიმართება, რომელშიც მსოფლიოს ყველა უძლიერესი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

ინვალიდებს ადრეც უთამაშიათ "როლან გაროსის" კორტებზე, მაგრამ ისინი მხოლოდ საჩვენებელ მატჩებს მართავდნენ, ახლა კი, მათთვის სპეციალურად მოეწყობა ტურნირი, რომელიც 6-8 ივნისს გაიმართება - იუწყება საფრანგეთის ღია პირველობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

## უილიამსები სამხედრო ბაზას იყიდიან

**სერენა** და **ვენუს უილიამსებს** სერიოზული გეგმები აქვთ. ამერიკელი დები, ჩერნოგორიის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ელიტური საწვრთნელი ბანაკის აშენებას აპირებენ.

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, უილიამსების დედა - **ორასინი** უკვე ჩავიდა ჩერნოგორიაში და მოინახულა დაცარიელებული ბაზის ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი 250 კვადრატულ მეტრს უდრის.

**ჰოკეი**

## 2012 წელს ფინეთში

მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ მორიგი კონგრესი გამართა, რომლის დროსაც გაირკვა, რომ 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა ფინეთი იქნება.

სკანდინაველთა წინასწარი განაცხადის მიხედვით, დაგეგმილი იყო პირველობის ტურკუსა და ჰელსინკიში გამართვა, მაგრამ, რადგან ტურკუში ახალი არენის აშენება აქვთ განზრახული, გამორიცხული არ არის, რომ მთელი ტურნირი სწორედ ამ ქალაქში გაიმართოს.

შეგახსენებთ, რომ ფინეთამდე, მსოფლიო ჩემპიონატები კანადაში (ჰალიფაქსი, კვებეკი, 2108), შვეიცარიაში (ციურიხი, ბერნი, 2009), გერმანიასა (კიოლნი, მანჰაიმი, 2010) და სლოვაკეთში (ბრატისლავა, კოშიცე, 2011) გაიმართება.

აქამდე, ფინეთს მსოფლიო ჩემპიონტისთვის ექვსჯერ უმასპინძლია.

## შკოდა გინესის წიგნში

ჩეხური საავტომობილო კონცერნი - "შკოდა" გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ეს კომპანია უკვე 15 წელიწადია ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციასთან თანამშრომლობს და სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატის სპონსორი გახლავთ.

როგორც ირკვევა, ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არცერთ კომპანიას არ დაუსპონსორებია სპორტის ნებისმიერ სახეობაში პლანეტის ჩემპიონატი.

გინესის წიგნის რედაქტორებმა უკვე დააფიქსირეს რეკორდის დამყარების ფაქტი.

## ჯგუფები დაკომპლექტებულია

მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატი ორი დღის წინათ დასრულდა, მაგრამ უკვე ცნობილია საგაისო პირველობის ჯგუფური ეტაპის მონაწილეები და ქვეჯგუფების შემადგენლობები.

კანადაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე 16 ნაკრები ითამაშებს და ისინი ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად არიან გადანაწილებულნი:

A ჯგუფი (კვებეკი): შვედეთი, შვეიცარია, ბელარუსი, საფრანგეთი;
B ჯგუფი (ჰალიფაქსი): კანადა, აშშ, ლატვია, სლოვენია;
C ჯგუფი (ჰალიფაქსი): ფინეთი, სლოვაკეთი, გერმანია, ნორვეგია;
D ჯგუფი (კვებეკი): რუსეთი, ჩეხეთი, დანია, იტალია.

## ელიაში თაღლითთა მსხვერპლი გახდა

"ნიუ ჯერსი დევილზის" თავდამხსმელი **პატრიკ ელიაში** სასამართლოში უჩივის თავის ყოფილ აგენტებს - **მარკ განდლერსა** და **ტოდ დაიმონდს**.

ჰოკეისტი ამ ორ პიროვნებას თაღლითობაში, კონტრაქტის პირობების დარღვევაში, მოვალეობების არშესრულებასა და გაფლანგვაში ადანაშაულებს.

The Hockey News იუწყება, რომ აგენტებმა ელიაშს ფული ჩაადებინეს ორ რესტორანში - ნიუ იორკსა და ჩიკაგოში, მაგრამ სინამდვილეში, თანხა დაბანდებულ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის ორ კომპანიაში, რომლებიც განდლერისა და დაიმონდის მიერ იყო დაარსებული.

**სამთო თხილამურები**

## მილერმა ნაკრები დატოვა

ცნობილი ამერიკელი მოთხილამურე - **ბოდე მილერი** აშშ-ის ნაკრებს ტოვებს და დამოუკიდებლად აპირებს მომავალი სეზონისთვის მზადებას.

*"ბოდე დიდი სპორტსმენია და იმედი გვაქვს, რომ ის მომავალშიც დიდ წარმატებებს მიაღწევს"*, - წერია ქვეყნის სათხილამურო სპორტის ფედერაციის სპეციალურ პრეს-რელიზში.

როგორც ცნობილია, ადრე მილერმა განაცხადა, რომ 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას არ მიიღებდა. *"სპორტისთვის თავი დანებებული რომ არც მქონდეს, ოლიმპიადაზე მაინც არ გამოვალ. შენგან ყველა ოქროს ითხოვს და ამის გამო, უდიდესი ზეწოლის ქვეშ ექცევი. ძნელია იქ საკუთარი სიამოვნებისთვის სრიალი"*, - ამბობდა მაშინ მილერი.

ხოლო ტურინის ოლიმპიადის წინ, მილერმა CBS-ს სენსაციური ინტერვიუ მისცა, რომლის დროსაც განაცხადა, რომ ხშირად ტრასაზე არაფხიზელ მდგომარეობაში გადის. ამის გამო, მოთხილამურე კრიტიკის ობიექტი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?

# ფედერერი კითხვის ნიშნის ქვეშ



ნებისმიერი დიდი მოთამაშის კარიერას ახლავს თან ჩავარდნა. მაგალითად, **პიტ სამპრასს** ასეთი პერიოდი 1996 წელს ჰქონდა, როცა ამერიკელის სიტყვებით, მან სეზონი ამერიკის ღია პირველობის მოგებით გადაარჩინა. იმას ვერ ვიტყვით, რომ სამპრასი ზედიზედ აგებდა ყველასთან. სულაც არა, მან 17-დან 8 ტურნირი მოიგო, ხოლო მისთვის ყველაზე უხერხულ "როლან გაროსზე", კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - ნახევარფინალში გავიდა. მაგრამ, ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრეში **მარკ ფილიპუსისთან** და უიმბლდონის მეოთხედფინალში **რიხარდ კრაიჩეკთან** ნაგებამ, პიტის საჩოგბურთო ტახტზე ყოფნის სერიოზული ეჭვი გააჩინა.

**როჯერ ფედერერმა** ისევ წააგო... და ეს უკვე ტენდენციად იქცა. ამჯერად შვეიცარიელი რომის მასტერსზე, იტალიელ **ფილიპო ვოლანდრისთან** დამარცხდა (2:6, 4:6), რომელიც ძირითად ბადეში უაილდ-ქარდის წყალობით მოხვდა. მაგრამ ჯერ, ალბათ, ნაადრევია მეფის შერყეულ სავარძელზე საუბარი და შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება. თავიდან უნდა ვნახოთ, შეძლებს თუ არა როჯერი სათიხნარო მღელვარების დაძლევას.

უკვე წლის დასაწყისში, შეუიარაღებელი თვალით ჩანდა, რომ როჯერ ფედერერი მოტივაციის ნაკლებობას უჩიოდა. დრო და დრო, ის აშკარად ხელებჩამოშვებული თამაშობდა, მის თვალებში ამოიკითხავდით - *"მომიგეთ ვინმემ, გეხვეწებით!"* უშვებდა უამრავ შეცდომას და საერთოდ, არ ავლენდა თავისი შესაძლებლობების 100 პროცენტს. რატომ? იმიტომ, რომ ესეც საკმარისი იყო გასამარჯვებლად. ხანდახან ჩანდა, რომ როჯერი ცეცხლს ეთამაშებოდა - გაიხსენეთ მისი საშინელი მატჩი **ტომი რობრედოსთან** ავსტრალიის ლიაზე, რომელიც მაინც სამ სეტში მოიგო. იმავე ავსტრალიაში, **ენდი როდიკის** სამაგალითო და საჩვენებელი დასჯა, გამონაკლისი უფრო იყო - როჯერმა იცის, როგორ განაწყოს საკუთარი თავი მნიშვნელოვანი მატჩებისთვის. როდიკთან მას ისეთი განწყობა ჰქონდა, რომ მეტოქეს სულ 6 გეიმი მისცა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ძლიერ მოწინაალმდეგესთან კონკრეტული მატჩისთვის განწყობით, შეიძლება საერთო მოდუნებაზე მსჯელობა. როდიკის შემდეგ იყო **ფერნანდო გონსალესი**, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით ანადგურებდა ყველას, ხოლო **ტომი ჰაასთან** მატჩის შემდეგ დაიყვირა: *"როჯერ, შენ შემდეგი ხარ!"* მაგრამ ჩილელმა ფინალში სეტიც ვერ მოიგო. შეიძლება, რომ არ დამუქრებოდა, ერთი პარტია მაინც აელო.

მაგრამ, ადრე თუ გვიან, ცეცხლთან თამაში ხანძრით მთავრდება. თანაც საფრთხე იქედან მოდის, საიდანაც ამას ნაკლებად მოელი. მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები კვლავ ვერაფერს უხერხებენ ფედერერს. **რაფაელ ნადალი** არ გვყავს მხედველობაში - ეს ცალკე ისტორიაა. ამ სეზონში, ჰარდზე ფედერერი ვერც ჰაასმა, ვერც **ჯოკოვიჩმა**, ვერც როდიკმა და სხვებმა ვერ დაამარცხეს. თიხნარზე მას ვერ მოუგეს **ხუან კარლოს ფერერომ** და **დავიდ ფერერმა**. მაშინ ვინ მოუგო ფედერერს? ჰარდზე ეს იყო **გილერმო კანიასი**, რომელმაც ინდიანა უელსში კვალიფიკაცია წააგო და ძირითად ბადეში, როგორც ლაქი-ლუზერი, ისე მოხვდა. იგივე კანიასი, მაიამის მასტერსზე კვალიფიკაციიდან გავიდა. ახლა კი, გრუნტზე როჯერმა ფილიპო ვოლანდრისთან წააგო, ეს უკანასკნელი კი, რომში უაილდ-ქარდის წყალობით მოხვდა. აი, სად არის ჩამალული საფრთხე - კვალიფიკაციიდან გასულები, ლაქი-ლუზერები, უაილქარდელები.

სავსებით ნათელია, რომ ამ დამარცხებების მიზეზი მოტივაციის ნაკლებობაშია და არა, ცუდ ფორმაში. როჯერმა თავად განაცხადა, რომ რომში სხვა მოთამაშეებზე ადრე ჩავიდა, სავარჯიშოდ სხვებზე მეტი დრო ჰქონდა და ვარჯიშებზე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. პირველი მატჩიც ტურნირზე შესანიშნავად წარმართა. თანაც, ეს იყო შეხვედრა არც ისე უბრალო მოწინაალმდეგესთან, **ნიკოლას ალმაგროსთან** - გრუნტის კიდევ ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა ჩოგბურთელთან. და აი, როგორ დასრულდა ყველაფერი. ბოლოს, როჯერმა ასეთი დამამცირებელი ანგარიშით 2004 წელს, მაიამიში ნადალთან წააგო, როცა მხოლოდ 6 გეიმი მოიგო. რომი ზედიზედ მეოთხე ტურნირი გახდა, რომელშიც ფედერერმა მიიღო მონაწილეობა და ვერ მოიგო. მას შემდეგ, რაც როჯერი რეიტინგის სათავეში მოექცა, ასეთი რამ მის პრაქტიკაში პირველად მოხდა.

თავად ფედერერი მიზეზებზე არ საუბრობს. ასეთი შემთხვევებისთვის, ყველა ჩოგბურთელს მორიგე ფრაზა აქვს, რომ ისინი გააგრძელებენ საკუთარ თავზე მუშაობას. როჯერიც საუბრობს იმაზე, რომ მას უფრო მეტი დრო ექნება ჰამბურგის "მასტერსისთვის" მოსამზადებლად. თუმცა, არც ისე გასაგებია, რა აზრი აქვს ამას, რადგან რომაულ ვარჯიშებზეც ფედერერი შესანიშნავად გამოიყურებოდა, მაგრამ როგორ დასრულდა ყველაფერი, კარგად ვიცით.

დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. ბევრ კითხვას ჰამბურგის მასტერსმა უნდა გასცეს პასუხი, რომელიც გუშინ დაიწყო. ის, რაც რომში მოხდა, წმინდა წყლის შემთხვევითობაა. ჰამბურგში კი, შესაძლებლობა გვექნება გავიგოთ - რა ხასიათისაა ეს შემთხვევითობა? ფედერერი უბრალოდ, მოდუნდა? თუ ფედერერმა არ მოინდომა ფინალში ნადალთან შეხვედრა?

ჰამბურგის მასტერსი ნადალს არ სწყალობს. იქ მან სულ ერთხელ ითამაშა - 2003 წელს და მესამე წრეში წააგო **გასტონ გაუდიოსთან**. მაგრამ, რაფა ჰამბურგში იმიტომ კი არ ჩადის, რომ არ უნდა - უბრალოდ ვერ ახერხებს ამას. ბოლო ორი წელიწადი, მას ურთულესი ფინალები ჰქონდა რომში. 2005 წელს, არგენტინელ **გილერმო კორიასთან** მარათონული ფინალი ითამაშა - შეხვედრა 5 საათსა და 6 წუთს გაგრძელდა. შედარებისთვის, **მარატ საფინსა** და ფედერერს შორის, 2005 წლის ავსტრალიის ღიას ეპოქალური ნახევარფინალი 5 საათზე ნაკლებ დროს მიმდინარეობდა.

გასულ კვირას ცხადი იყო, რომ რაფა რომის მასტერსს იოლად მოიგებდა, რაც დადასტურდა კიდეც. არსებობდა ერთი ამოუცნობი ობიექტი გონსალესის სახით, მაგრამ ავსტრალიის ღიას შემდეგ, ჩილელმა აშკარად მოუკლო და მან ფინალში მხოლოდ ოთხი გეიმი მოუგო ნადალს.

რაფა ჰამბურგში საკმაოდ მოტივირებული ჩავა. ერთის შეხედვით, გერმანიაში ნადალს არაფერი აქვს დასაცავი, მაგრამ მეორეს მხრივ, არსებობს ერთი რკინის მოტივი - ეს არის თიხნარზე წაუგებელი ფენომენალური სერია და მას სათუთად მოპყრობა სჭირდება.

ასე რომ, ჰამბურგში დღის წესრიგში ორი საკითხი დგას. პირველი - მოინდომებს თუ არა ფედერერი ფინალში გასვლას და იქ ნადალთან ნერვების წყვეტას. მეორე - თუ მოინდომებს, მაშინ რას მოიმოქმედებს იქ ესპანელის წინააღმდეგ. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ფინალში გადაწყდეს როლან გაროსის ბედი, რომელიც სულ მალე, 27 მაისს დაიწყება.

**ელენე თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 15 მაისი. სამშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**14:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**18:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:05** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**19:35** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:35** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:35** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**23:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:35** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი ოფი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:00** სპორტკლუბი.
**10:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
**11:45** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სტალი-დინამო.
**13:30** სპორტ-დოსიე.
**14:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**14:40** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**15:10** სპორტკლუბი.
**16:10** სპორტის სახეები.
**16:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**18:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:45** ჰოკეი. სტენლის თასი.
**21:40** სპორტინფორმი.
**22:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
**00:55** სპორტინფორმი.
**01:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**02:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
**05:45** მხატვრული ტანვარჯიში.

#### EUROSPORT

**10:30** მულტისპორტი.
**11:00** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
**11:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ოსასუნა.
**13:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ესპანიოლი.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
**20:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:00** სუმო.
**22:00** პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
**23:00** პროფესიული კრივი. IBF. რ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
**00:00** პროფესიული კრივი. ს. იბრაჰიმოვი (რუსეთი)-ხ. მორა (მექსიკა). ნიუ იორკი. აშშ.
**01:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
**01:30** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ესპანიოლი.
**02:30** მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**13:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**13:30** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. მანამა. ბაჰრეინი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ვერდერი.
**17:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ესპანიოლი.
**18:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ოსასუნა.
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**21:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:30** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. მონცა. იტალია.
**23:15** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. მონცა. იტალია.
**00:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ იორკი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.
**03:00** ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იროკოისი. ჰალიფაქსი. კანადა (LIVE)

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7015 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4875 |
| 3(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2955 |
| 4(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 5(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2760 |
| 6(5). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2735 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2595 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2220 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2180 |
| 10(10). ენდი მარეი (ბრიტ) | 2120 |
| 11(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2100 |
| 12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1990 |
| 13(13). რიშარ გასკე (საფ) | 1795 |
| 14(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1725 |
| 15(16). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1685 |
| 16(14). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1650 |
| 17(17). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1415 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1375 |
| 19(19). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1355 |
| 20(21). გილერმო კანიასი (არგ) | 1267 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 4119 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3388 |
| 3(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2867 |
| 4(3). ამელი მორესმო (საფ) | 2701 |
| 5(6). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2372 |
| 6(7). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2279 |
| 7(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1957 |
| 8(16). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1906 |
| 9(10). დინარა საფინა (რუს) | 1898 |
| 10(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1822 |
| 11(12). სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 12(9). ნადია პეტროვა (რუს) | 1713 |
| 13(14). ელენა დემენტიევა (რუს) | 1600 |
| 14(13). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1589 |
| 15(15). შაარ პეერი (ისრ) | 1448 |
| 16(17). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1390 |
| 17(19). პატი შნიდერი (შვეიც) | 1372 |
| 18(17). ნა ლი (ჩინ) | 1281 |
| 19(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1253 |
| 20(21). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 1007 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 465 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 361 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 352 |
| 4(10). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 241 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 225 |
| 6(4). ენდი მარეი (ბრიტ) | 213 |
| 7(6). ტომი ჰაასი (გერ) | 210 |
| 8(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 196 |
| 9(8). მიხაილ იუჟნი (რუს) | 188 |
| 10(14). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 185 |
| 11(12). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 183 |
| 12(13). ტომი რობრედო (ესპ) | 175 |
| 13(9). დავიდ ფერერი (ესპ) | 173 |
| 14(11). გილერმო კანიასი (არგ) | 172 |
| 15(15). რიშარ გასკე (საფ) | 145 |
| 16(18). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 136 |
| 17(16). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 128 |
| 18(17). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 126 |
| 19(19). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 123 |
| 20(20). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 113 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1665 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1520 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1361 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1246 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1096 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1030 |
| 8. ნადია პეტროვა (რუს) | 961 |
| 8. დინარა საფინა (რუს) | 961 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 955 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 938 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 885 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 865 |
| 14. შაარ პეერი (ისრ) | 862 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 851 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 777 |
| 17. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 650 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუს) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 635 |
| 20. ვენუს უილიამსი (აშშ) | 520 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 1 733 695 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 587 120 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 177 815 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 795 530 |
| 5. ტომი ჰაასი (გერ) | 595 590 |
| 6. მიხაილ იუჟნი (რუს) | 575 485 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 565 640 |
| 8. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 559 495 |
| 9. ენდი მარეი (ბრიტ) | 537 955 |
| 10. გილერმო კანიასი (არგ) | 483 900 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 455 700 |
| 12. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 449 830 |
| 13. ბობ ბრაიანი (აშშ) | 396 835 |
| 13. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 396 835 |
| 15. ტომი რობრედო (ესპ) | 387 627 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპ) | 379 737 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 323 780 |
| 18. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 311 990 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 281 715 |
| 20. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 280 010 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 444 403 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 860 200 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 608 971 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 582 592 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 575 677 |
| 6. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 564 648 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 495 814 |
| 8. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 414 159 |
| 9. ანა ივანოვიჩი (სერ) | 412 051 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 382 176 |
| 11. შაარ პეერი (ისრ) | 352 759 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 348 177 |
| 13. ამელი მორესმო (საფ) | 329 169 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 319 811 |
| 15. სამანტა სტოსური (ავტრა) | 314 647 |
| 16. დინარა საფინა (რუს) | 299 363 |
| 17. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 297 396 |
| 18. ნა ლი (ჩინ) | 287 603 |
| 19. კარა ბლეკი (ზიმ) | 286 179 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 261 983 |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი** | |
| შრიუსბერი-მილტონი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონპელიე-ჰავრი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-გაის | 0:1 |
| ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 1:0 |
| გოტებორგი-გეფლე | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1:2 |
| ნორჩეპინგი-ჰააკენი | 2:2 |
| სირიუსი-სილვია | 1:0 |
| სუნდსვალი-ოსტერსი | 3:0 |
| **ფინეთი** | |
| ვიიკინგიტი-მიუპა | 1:4 |
| **ირლანდია** | |
| დერი-შემროკი | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| რეიკიავიკი-კეფლავიკი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ლიბერეცი | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-მეტალისტი | 0:2 |
| **უნგრეთი** | |
| დებრეცენი-რეაკ | 4:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰამბურგი** | |
| ალმაგრო-ფერკერკი | 6:1, 6:3 |
| მატიო-ო. როხუსი | 6:1, 7:6 |
| სიმონი-ჟიკელი | 6:1, 6:0 |
| შტეპანეკი-კლემანი | 3:6, 7:6, 3:6 |
| ფერერო-ვავრინკა | 6:1, 7:6 |
| ანდრეევი-ტურსუნოვი | 6:2, 6:0 |
| გასკე-გაუდიო | 6:1, 6:4 |
| კანიასი-ჩელა | 1:6, 6:4, 1:6 |
| მონაკო-ჰრბატი | 6:2, 6:2 |
| სერა-ბოლელი | 6:7, 6:2, 6:2 |
| კალერი-ჰიუიტი | 3:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-ჯინეპრი | 4:6, 6:4, 6:3 |
| ფერერი-ბიორკმანი | 6:4, 3:6, 6:2 |
| ბერდიჩი-ვერდასკო | 7:6, 6:4 |
| კოლშრაიბერი-ბაღდატისი | 7:5, 6:3 |
| საფინი-მასუ | 7:6, 6:4 |
| **WTA. რომი** | |
| ბრიანტი-ვოსკობოევა | 2:6, 3:6 |
| ლუა-შონესი | 3:6, 2:6 |
| პაჩეკი-პრატი | 6:7, 6:0, 6:2 |
| სუგიამა-კირილენკო | 6:4, 5:7, 7:5 |
| კასტანიო-კნაპი | 6:1, 7:5 |
| კრაიჩეკი-პუჩკოვა | 6:1, 6:2 |
| ჰანტუხოვა-რეზაი | 4:6, 6:1, 6:2 |
| პეერი-ა. რადვანსკა | 6:0, 6:0 |
| შპრემი-დანილიდუ | 3:6, 6:4, 6:3 |
| ა. ბონდარენკო-სუნი | 6:7, 7:5, 6:2 |
| დემენტიევა-კამერინი | 6:1, 6:2 |

# მსურველებს შეუძლიათ, გადაიხადონ

## ბავშვთა სპორტი დღევანდელ საქართველოში

გაგრძელება. იხ. ლელო N 110

პატარა სპორტული მოედნის გახსნაზე, გინდა მას ერთი ნორმალური გასახდელის ფართობი ჰქონდეს, დიდი ზარზეიმია ხოლმე და გრძელ-გრძელი სიტყვები ითქმება ტელევიზიით. გაცილებით დიდი სპორტული ბაზის გაუქმება, რასაკვირველია, სამარისებურ სიჩუმეში ხდება.

სულ ბოლო ხანს ასეთი ბედი ეწია გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ისტორიულ ტანვარჯიშის სკოლას, პეტრიაშვილის ქუჩაზე. აქ მოღვაწეობდნენ თვითონ გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ბაბილოძე, გულო რცხილაძე და ჩვენი სპორტის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ეს იყო პირველი სპორტული სკოლა არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში. მას საფუძველი 1936 წელს ჩაეყარა დიდი გიორგი მერკვილაძის თაოსნობით.

სპორტული სკოლის დირექტორმა, წარსულში სახელოვანმა ტანმოვარჯიშემ, ქალბატონმა **როზა ბერიკაშვილმა**, რომელსაც თვითდაფინანსებაზე გადასვლის დღიდან სახეზე სასოწარკვეთილება ეტყობა, გვითხრა, რომ იქ ორჯერ ყოფილან მერიის წარმომადგენლები და ამხელა დარბაზში მოვარჯიშე სულ 3-4 ბავშვი უნახავთ (ეს, ცხადია, მოხდა თვითდაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ). მიზეზების ძებნა არ დაუწყიათ, გამოუტანიათ დასკვნა, სკოლა არარენტაბელურიაო და მის გასახლებასაც რაღა დაუდგებოდა წინ. აქ თქვენს ნაცვლად "ერისიონი" უნდა გადმოვიდესო, - ასე უთქვამთ სკოლაში. ტანმოვარჯიშეები კი სანაპიროზე მდებარე სპორტულ ცენტრში უნდა გადაბარგდნენ. ერთი ნიშანდობლივი შტრიხიც: რამდენიმე თვით ადრე ეგნატაშვილის სახელობის სკოლაში ტანმოვარჯიშეებისთვის 43.5-ათასლარიანი რემონტი ჩატარდა.

ჩვენ ვკითხეთ "ერისიონის" ხელმძღვანელს, ბატონ **ჯემალ ჭკუასელს**, მართლაც გადადიან თუ არა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ოფისიდან, რომელიც ხანგრძლივი ვადით უზუფრუქტის წესით აქვთ აღებული.

სახელოვანი ანსამბლის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ ამის თაობაზე საუბარი მართლაც იყო. *"როცა შემოგვთავაზეს სხვაგან გადასვლა, ჩვენ ჩვენი პირობები წავუყენეთ, რამდენი ოთახი, რა ფართობი დაგვჭირდებოდა ნორმალური მუშაობისთვის. თუ შესაბამის პირობებს შეგვიქმნიან, გადავალთ. აქ ყოფნა ჩვენი თვითმიზანი არ არის, მარტო ამ შენობის რემონტს 10 მილიონი მაინც დასჭირდება"*, - გვითხრა ბატონმა ჯემალმა.

მისივე თქმით, "ერისიონს", საერთოდ, ყურადღება არ აკლია და მათთან დაკავშირებულ საკითხებს მათს გარეშე არ წყვეტენ...

როგორც ზემოთ ვთქვით, გაიზარდა მოვარჯიშეთა რაოდენობა სანაპიროს ტანვარჯიშის ცენტრში, რომელსაც ახლა პეტრიაშვილის ქუჩიდან, ზემდგომთა მითითებით აყრილი სკოლა დაემატა. მაგრამ ეს სასიკეთო მატება არ არის: ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ქალბატონი **რუსუდან სიხარულიძე** პირდაპირ გამაოგნებელ რიცხვს ასახელებს, თუ რამდენად შემცირდა დედაქალაქში მომეცადინეთა რაოდენობა ტანვარჯიშში მათი თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შემდეგ - ლამის 70 პროცენტით! თვითონ ქალბატონი როზას სკოლაში კი კონტინგენტი განახევრებულია. *"ძალიან ნიჭიერი ბავშვები მოდიან, მაგრამ მერე ველარ ვზრდით, საშუალება არ გვაქვს. ინვენტარი ხომ ნიკოლოზის დროინდელია"*, - გვითხრა სკოლის დირექტორმა. თბილისის ამ სპორტულ სკოლასაც იანვრის ჯამაგირი სანუგეშო კომპენსაციად ჩაუთვალეს და მას შემდეგ არიან ასე, თავისუფალნი, ანუ უხელფასოდ. მაგრამ ჯერჯერობით, ავარჯიშებენ ბავშვებს, ასე ვთქვათ, ინერციით.

გინდაც ყველა მოსწავლეს გადაახდევინონ ფული, ტანვარჯიშში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ვერაფერი შეღავათია. ერთ მწვრთნელს, უკეთეს შემთხვევაში, 5-6 ტანმოვარჯიშის მომზადება შეუძლია, სრულფასოვან ვარჯიშს ვგულისხმობთ. ვთქვათ, გადასახადი 30 ლარია, მეტს ხომ ვერ მოსთხოვ. დანარჩენს კი მარტივი არითმეტიკა გიჩვენებს: 6X30=180 ლარს. ამის 40 პროცენტი 72 ლარია - მწვრთნელების ყოველთვიური ჯამაგირი (საუკეთესო შემთხვევაში). დაცინვა ხომ არ გამოდის?!



სანაპიროზე დიდი სივიწროვეა, რადგან ტანვარჯიშის ხუთივე სახეობას იქ მოუყარეს თავი - სხვა გასაქანი არ აქვთ. ასეთ პირობებში ვარჯიშის რომელ ნორმალურ რეჟიმზეა ლაპარაკი. ტანვარჯიშში ე.წ. მოსამზადებელი ჯგუფებია საჭირო. ადრე მუშაობდა ჯგუფები დიღომში, გლდანში, ავჭალაში, მე-3 მასივში, ვარკეთილში...

**რუსუდან სიხარულიძე**, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში: თბილისში ბავშვთა სპორტი ვიღაცამ ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალა. ვინ არის ამ იდეის ავტორი, ესეც გასაიდუმლოებულია. ხანდახან სპორტიდან წასვლაზე ვფიქრობ, თუ სკოლა აღარ დამრჩა, მოწაფე და მწვრთნელი, რაღა ვაკეთო? ახლა აქ ძალიან ვიწროდ ვართ, ტანვარჯიშის ყველა სახეობა აქ არის, მაგრამ თუ სპორტსმენებისა და მწვრთნელების დღევანდელი დენადობა გაგრძელდება, მაშინ მხოლოდ ჩვენ, ხელმძღვანელები, ალბათ დავრჩებით და დავეტევით კიდეც, სხვა აღარავინ... სამი საუკეთესო სპორტსმენი ჩამოვიყვანეთ ქუთაისიდან - ორი ბიჭი და გოგო. ველარ ვარჯიშობენ - ფული არ აქვთ.

ამიტომ, ალბათ, როცა ყველა ქუჩაში ალმოჩნდება, მაშინღა დაიწყებენ ფიქრს, ტანვარჯიშს ვუშველოთო. ქვეყანაში, სადაც ტანვარჯიში არ არის და მძლეოსნობა, სპორტის კულტურაზე ლაპარაკი არ შეიძლება. დღეს ყველაფერი პიარზეა აგებული. აგერ, დაიწყეს "მხიარული სტარტების" მსგავსი შეჯიბრება, ხშირად აჩვენებენ ტელევიზორში, პირველად ტარდება საქართველოშიო. რა პირველად, კომუნისტების დროს ასეთ სტარტებში გავიზარდე...

გვეუბნებიან, სპორტულმა ფედერაციებმა იშოვეთ სახსრებიო. ჩვენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვართ. ქვეყანაში, სადაც არ არის კანონი სპონსორების შესახებ, მათი დაყოლიება ძალიან ძნელია. უამრავ ნაცნობ-მეგობარს ვთხოვე, უამრავი ადამიანი შევაწუხე, ზოგჯერ დამეხმარნენ კიდეც, მაგრამ სპონსორებს გარანტია სჭირდებათ.

რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციას მარტო ბატუტზე მხტომელებისთვის ბიუჯეტიდან წელიწადში 300 ათას დოლარს აძლევენ. მათ კი შარშან, ევროპის ჩემპიონატზე გუნდური პირველობაც მოვუგეთ და გოლოვინაც ჩემპიონი გაგვიხდა. "ეს არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. იმ სახსრებით, რომლითაც არსებობთ, თქვენ არაფრის მოგების თავი არ უნდა გქონდეთ", - შეჯიბრების შემდეგ გაკვირვებული მეუბნებოდა რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელი.

ჩვენ, ტანვარჯიშის ფედერაციას ასეთ პირობებში მაინც გვაქვს 3-4 ოლიმპიური ლიცენზიის იმედი. მაგრამ ხვალ ნიჭიერი ბავშვები აღარ მოვლენ. ყველგან ყველაფერი რომ დახურეს, სად უნდა მოამზადო ისინი?..

ამას წინათ, ქალბატონმა რუსუდანმა მოუწოდა კოლეგებს, რომ დღეს სიჩუმე ღალატის ტოლფასია, მაგრამ ეს "გაოგნების სიწყნარე" ვერ დაარღვია. ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტს, ზემოთქმულის გარდა, შეშფოთების სხვა მიზეზიც აქვს: ბოლო წლებში აშშ-ს მიაშურა სპორტული ტანვარჯიშის ათზე მეტმა წამყვანმა სპეციალისტმა (არნოლდ კვეტენაძე, ლევან სისაური, ნუგზარ ლვინიაშვილი, პაატა შამუგია, სერგო მურადხანიანი და ა.შ.), დღეს კი მწვრთნელთა დენადობა, ასე ვთქვათ, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ბატუტზე ხტომასა და აკრობატიკაში უფრო უარესი მდგომარეობაა, ასევე მხატვრულ ტანვარჯიშში. რაღა დაგვრჩენია, მადლობა უნდა ვუთხრათ ქალაქისა და, არა მარტო ქალაქის ხელმძღვანელებს: პატარა საქართველო მსოფლიოს დიდ სპორტს ეხმარება...

**მერაბ კეკელიძე**, მიხელ კეკელიძის სახელობის 58-ე საკალათბურთო სკოლის დირექტორი (სკოლას ახლა, სხვების მსგავსად, ოლიმპიური მომზადების მთავარი ცენტრის ფილიალი ჰქვია): "თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესახებ გასული წლის ნოემბრის დასაწყისში შეგვატყობინეს. რა გვექნა, კრება ჩავატარეთ და ყველას მოვაწერინეთ ხელი ახალ პირობებზე. თავიდან ძალიან დიდი იყო დენადობა, განსაკუთრებით მარტში, მშობლებს თანხა ვერ მოჰქონდათ. მაგრამ ახლა უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა თვითდაფინანსებამდე არსებული კონტინგენტი 15-20 პროცენტით მეტი იყო დღევანდელზე.

ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ დაეწესებინათ რაღაც გარდამავალი პერიოდი, რომ მშობლებს მომზადების საშუალება ჰქონოდათ. ზოგს ორი-სამი შვილი დაუდის ვარჯიშზე და რა ქნას? გვითხრეს, რომ მერიამ ხელმოკლე ოჯახების შვილებისთვის დახმარება გაითვალისწინაო, გვპირდებიან ამ თანხის ჩარიცხვას. ვიდრე ეს მოხდება, ჩვენ უფასოდ ვამზადებთ იმ ბავშვებს, ვისაც ასეთი ბარათი აქვს. რა ვქნათ, დანაშაულის ტოლფასია, ბავშვს სურვილი ჰქონდეს და არ ავარჯიშო.

ძალიან პერსპექტიული ბავშვები მოდიან. ფული მათ იქით უნდა მისცე, რომ ივარჯიშონ - მგზავრობის, კვების... ადრე ამას როგორღაც ვახერხებდით, ნიჭიერებს ვეხმარებოდით, მაგრამ ახალ პირობებში ეს შეუძლებელია. თუ მხოლოდ იმან ივარჯიშა, ვისაც ფული აქვს, ასე საქართველოში სპორტი არ იარსებებს. ახლა ჩვენთან 600-მდე მოზარდი მეცადინეობს. ყველამ რომ გადაიხადოს ფული, მაინც ძალიან გაგვიჭირდება. კალათბურთის დარბაზებს ამხელა ფართობი უკავია, ამდენი კომუნალური გადასახადია გასასტუმრებელი. ბოლო დროს კი ყველაფერი გაძვირდა: წყალი, განათება, გათბობა... კომუნალურ გადასახადებში რომ შეღავათი მოგვცენ, გაცილებით უკეთესად გვექნება საქმე. ზოგი მწვრთნელი თავისას იკლებს, რომ ნიჭიერი მოწაფე არ დაკარგოს. ენანება ამდენი ხნის შრომა და მათი ნიჭი"...

ამ სახელოვან სკოლას ქალაქის ბიუჯეტიდან შარშან 491.850 ლარი ჰქონდა გამოყოფილი, წლეულს კი იგი მხოლოდ თვითდაფინანსების იდეით გაამდიდრეს.

დაახლოებით იგივეს, ანდა უარეს სიტუაციას წააწყდებით სხვა სკოლებში. მაგალითად, თბილისის მძლეოსნების ოლიმპიური მზადების ცენტრს დაახლოებით 40 პროცენტით შეუმცირდა კონტინგენტი; ახალ პირობებში მორაგბეთა სკოლა "ლელო" 380-დან 261-მა სპორტსმენმა და 11-დან შვიდმა მწვრთნელმა დატოვა...

ჩვენ ერთი და იმავე კითხვით მივმართეთ სამ ოლიმპიურ ჩემპიონს, მიაღწევდნენ თუ არა ასეთ დიდ წარმატებებს, ბავშვობიდანვე სპორტში მეცადინეობა რომ ფასიანი ყოფილიყო?

**ლევან თედიაშვილი**, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში: "რას ამბობთ, ეგ რომ მამაჩემს გაეგო, მაშინვე მეტყოდა - პურს ძლივს გაჭმევ და ახლა ვარჯიშისთვის მომთხოვე ფულიო. ჩვენი სპორტი ღარიბი გლეხის, ღარიბი ხალხის შვილების სპორტია, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიონ. მარტო მე კი არა, გარშემო, ვისაც ვიცნობდი, ვერავინ გადაიხდიდა ფულს ვარჯიშისთვის და არც ამდენი ჩემპიონი გვეყოლებოდა"...

**რობერტ შავლაყაძე**, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში: "ვარჯიშში რომ ფული მეხადა, ძალიან ძნელი სათქმელია, საერთოდ, ვიქნებოდი სპორტსმენი თუ არა. ოჯახში ხუთი და-ძმანი ვიყავით და ამ ფულის გადახდა ძალიან გაუჭირდებოდათ ჩემს მშობლებს. მე კი არა, თუ გნებავთ, პირდაპირ გვარებით ჩამოგითვლით, რამდენი ცნობილი მძლეოსანი ვერ გახდებოდა სპორტსმენი. განსაკუთრებული პრობლემა შეექმნებოდათ რაიონებიდან ჩამოსულებს. მათ სპორტულ ინტერნატში აბინავებდნენ და ასე უწყობდნენ ხელს. ახლა ინერნატიც აღარ არის"...

**ნინო სალუქვაძე**, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ტყვიის სროლაში: "ადრე, ჩემს დროს, ვარჯიშისთვის თვეში 20-30 მანეთი რომ დაეწესებინათ, ამის საშუალება იყო, ახლა კი აღარ არის. სროლაში ვარჯიშის მსურველი ბევრია, მაგრამ ყველას ვერ ვიღებთ, ისედაც სპორტსმენების ნახევარს უფასოდ ვამზადებთ, მათ ნიჭს ვუფრთხილდებით. ახლების მიღების დროსაც ასეა - ვცდილობთ, მათ შორის ნიჭიერები გამოვარჩიოთ, თუკი ფულის გადახდის საშუალება არ აქვთ. რა ვქნათ, სროლა ძვირადღირებული სპორტია: იარაღს, ტყვია-წამალს ფული სჭირდება... ადრე იმდენი მსროლელი იყო, ვერ დაითვლიდი, ახლა კი მათი მეათედი, მეოცედიც არ არის დარჩენილი. ყველას რომ ერთად მოუყარო თავი, 100 მსროლელს ერთად ვერ მოაგროვებ" (ნინო სალუქვაძის სროლის ცენტრი ვაკეში, სპორტის დეპარტამენტის შენობაშია).

მთლიანად საქართველოში, მუნიციპალიტეტების ხარჯზე (ე.ი. ბიუჯეტიდან) 47 ათასამდე მოზარდი სპორტსმენი მეცადინეობს. არის კიდევ კერძო სკოლები და კლუბები.

საბედნიეროდ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა შეაჩერა რეგიონების სპორტულ სკოლებში თვითდაფინანსებაზე გადასვლის პროცესი, ვიდრე არ დამტკიცდება ახალი სისტემა ამ სკოლების არსებობისთვის (ან მათს შესაცვლელად).

**- კი მაგრამ, ქალაქის მერიამ წინასწარ არ მოგმართათ, როცა ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას იღებდა და სპორტული სკოლები თვითდაფინანსებაზე გადაჰყავდა? არ აინტერესებდა თქვენი - დეპარტამენტის აზრი?** - ვკითხეთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს **დავით ნამგალაურს**.

- ჩვენ, რა თქმა უნდა, გვქონდა ჩამოყალიბებული აზრი თვითდაფინანსების შესახებ, რაც შევთავაზეთ კიდეც ქალაქის მერიას. ჩვენი აზრით, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კიდევ ორიოდე სახეობის გარდა, სხვა დანარჩენებს ძალიან გაუჭირდებოდათ თვითდაფინანსებაზე გადასვლა, ჩვენი ტრადიციული, ეროვნული და სტრატეგიული დისციპლინების თვითგადარჩენა სათუო გახდებოდა ახალ პირობებში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არსებული სოციალური ფონის გამო მოსახლეობის ახალგაზრდული ნაწილი ფინანსური დახმარების გარეშე ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

ამიტომ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, რაც შევძელით და მოვახერხეთ, რაიონების იმ სპორტსკოლებს, რომლებიც მუნიციპალურ დაფინანსებაზე იყვნენ, არსებული პირობები შევუნარჩუნეთ მანამდე, ვიდრე ახალი მოდელი არ შემუშავდება.

**გიორგი ჩოჩიშვილი**

გაგრძელება იქნება


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა